ქართველი ქალების პოლიტიკური
წინააღმდეგობის ქრონიკა 2024-2025

მპრის მვილები

მაროს შვილები

ქართველი ქალების წინააღმდეგობის ქრონიკა 2024-2025

კოკა ვაშაკიძე

SilkRoadFragments

აბრეშუმის გზის ფრაგმენტები
გამოცემა: 001 / ქართული ვერსია

გამოცემულია: თბილისში, საქართველო 2026
ზომა: 176x250 მმ / ფერადი გვერდები

შესავლის რედაქცია: რუსიკო კობახიძე

ნამუშევარი ყდაზე: თინათინ ცხადაძე

რედაქცია და დიზაინი: კოკა ვაშაკიძე

წარმოდგენილი მასალები ეკუთვნით
მათ კანონიერ მფლობელებს

ამ ნაშრომში მოყვანილი ყველა ციტატა
საჯარო სივრცეშია დაფიქსირებული

ყველა უფლება დაცულია
© 2026, კოკა ვაშაკიძე

www.silkroadfragments.com
silkroadfragments@gmail.com

შესავალი

მარტოხელა დედა სასტიკად ნაცემი დემონსტრანტების ჯგუფს გამოეყო და ფარებით აწყობილი პოლიციის კორდონი ფეხით შეანგრია... აქციაზე გასვლის წინ ქალმა ხელზე წარწერა გაიკეთა, რომ ის ალერგიულია და რომ უგონოდ პოვნის შემთხვევაში, ექიმებს გარკვეული წამლები არ გამოეყენებინათ. „ვორლდ პრესს ფოტოს“ გამარჯვებულია ქალის სურათი, რომელიც სპეცრაზმის წინ გაშლილი ხელებით დადგა და წაყვანას ითხოვდა, რადგან მისი მეგობარიც დაჭერილი იყო. იზოლატორში მას ამცირებდნენ და ვიდეოებს უღებდნენ. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ პროტესტის ერთი წლის თავზე, ადამიანები წყლის ჭავლისგან მიღებული დამწვრობების ფოტოებს გამოაქვეყნებდნენ და ამას წყალში გარეული ქიმიკატებით ახსნიდნენ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აიკრძალა.

2025 წლის 28 ნოემბერს, საქართველოში უწყვეტმა პოლიტიკურმა პროტესტმა 365- დღიან ნიშნულს გადააჭარბა და ჯერ კიდევ არაფერია გარკვეული. თუმცა, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ეს ამბავი უკვე მსოფლიოს უახლესი ისტორიის ნაწილია და რომ ის ქალის სახეს ატარებს. დიდი ცვლილებების მოლოდინში უკვე მოხდა ერთი შეუმჩნეველი რევოლუცია. მას სამოქალაქო თანასწორობის და თანასწორობის გადააზრება შეიძლება ეწოდოს.

სამხრეთ კავკასიის უკიდურესად კონსერვატიულ ქვეყანაში ქალთა საპროტესტო მუხტით ინსპირირებულმა მოძრაობამ 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი, უწყვეტი წინააღმდეგობის და გამძლეობის მაგალითი შექმნა. მაგრამ მცდარი იქნებოდა ამ პროცესის ახალი იდენტობის ფორმირებით განსაზღვრა... პირიქით, უმრავლესობისთვის ის საკუთარი იდენტობის დაცვისა და კულტურულ საწყისებთან დაბრუნების მცდელობასთან უფრო ასოცირდება, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამ, თითქმის ერთი საუკუნით შეაფერხა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადებული პარტიის პრემიერ-მინისტრის განცხადებამ ევროკავშირში გაწევრიანების შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს გარდა, აბრეშუმის გზის შუა კორიდორზეც დიდი გავლენა იქონია. დასავლეთმა ალტერნატიული სატრანზიტო გზების ძებნა დაიწყო, რამაც სომხეთ-აზერბაიჯანს შორის 30 წლით გაყინული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება

და ევროკავშრთან ეკონომიკური თანამშრომლობის მოდელებზე მოლაპარაკებების დაწყებას შეუწყო ხელი.

მშვიდობა - „ქართული ოცნების“ მთავარი საარჩევნო ლოზუნგი იყო. მაგრამ ევროპარლამენტმა სახაროვის პრემია მზია ამაღლობელს გადასცა. მედია-მენეჯერს, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი პატიმარი ქალი ჟურნალისტი გახდა. საერთაშორისო დიპლომატები და ადგილობრივი პუბლიკა ერთხმად საუბრობენ ჰიბრიდულ ანექსიაზე და მედიისა და სიტყვის თავისუფლების შემზღუდველ ახლებურ მეთოდებზე... და, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალა ბრალდებებს უარყოფს და მის ევროპულ ინსპირაციებს ამტკიცებს, შემდგარი ფაქტია, რომ 16 ოქტომბერს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ეუთოს თავმჯდომარე და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - ელინა ვალტონენი გზის გადაკეტვის ბრალდებით 5 ათასი ლარით დააჯარიმეს. თუმცა ესეც მსუბუქ სასჯელად შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგივე აქტს, გამეორების შემთხვევაში, სისხლის სამართლის დანაშაულთან გაიგივებას შევადარებთ.

დახურვის საფრთხის წინაშე დგას თითქმის ყველა მცირე გამოცემა, რომლებმაც ცალკე კამპანიაც კი გამართეს სახელწოდებით - სინათლე არ უნდა ჩაქრეს. უკვე დაიხურა ერთ-ერთი მთვარი ოპოზიციური არხი - მთავარი და კიდევ ორი, ტვ პირველი და ფორმულა მუდმივი ფინანსური და სამართლებლივი რისკის ქვეშ იმყოფება.

ბევრი რომ არ გამიგრძელდეს, ეს წიგნი ამ ერთი წლის განმავლობაში მედია საშუალებებით და უშუალოდ მონაწილე ადამიანების სოციალური გვერდებით გავრცელებული მასალების სისტემატიზაციით შექმნილი საარქივო ინსტალაციის მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც მკითხველს პოლიტიკური პროტესტის არსისა და მისი ქალური სახის შექმნის ქრონოლოგიურ და სუბიექტურ გააზრებას სთავაზობს. თავისდაუნებურად „მაროს შვილები“ იმ გლობალურ ფენომენსაც ეხმიანება, რომელსაც უკვე წლებია ვხედავთ ირანში, ბელარუსში, ვენესუელაში... და რომელშიც, საქართველოსაც განუზომელი წვლილი შეაქვს.

არქივიც ხმამაღალი ნათქვამია. „მაროს შვილებს“ ქრონიკა უფრო შეიძლება ეწოდოს, რადგან იმ გაფართოებული ვერსიის მიღმაც უამრავი ადამიანის სახელია დარჩენილი, რომელთა გარეშეც ამ თავგანწირულ წინააღმდეგობაზე საუბარიც კი უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ ქართველი ქალების სამაგალითო ბრძოლის მიუხედავად, ეს არ არის ამ ხალხის იდეალიზაციის მცდელობა. დადგება დრო, როდესაც საქართველოში განვითარებული მოვლენების დეტალური ანალიზი გახდება საჭირო. მაგრამ ეს დეტალები კოლექტიური მეხსიერების ნაკადში და სოციალური ქსელების უწყვეტ ფიდში იქნება დაკარგული ისე, რომ შეიძლება თავად ავტორმაც ვერ გაიხსენოს მათი არსებობა. მედია-ორგანიზაციების დახურვის მცდელობაზეც რომ თავიდან აღარ ვილაპარაკოთ, რაც გამოქვეყნებული მასალების ქსელიდან გაქრობას გამოიწვევდა. სამწუხაროდ, უკვე არსებობს ამის მაგალითები...

მეხსირების გაქრობა - სწორედ ამაზე ვღელავდი, როდესაც ნამუშევარს „მაროს შვილები“ ვუწოდე... მარო, საქართველოში საკმაოდ გავლენიან და უხრუნველყოფილ ოჯახში დაბადებული ახალგაზრდა გოგოს სახელია, რომელიც 1921 წელს თბილისთან მოახლოებულ წითელ არმიასთან მებრძოლთა რიგებს შეუერთდა. სამწუხაროდ, 19 წლის მედდა - მარო მაყაშვილი, ბრძოლის დაწყებიდან მეორე დღესვე აფეთქებულმა ყუმბარამ იმსხვერპლა. ხოლო საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მისი და მისი თანამებრძოლების სახელის ხსენებაც კი აიკრძალა და სასტიკ დევნას დაექვემდებარა ყველაფერი, რასაც მეხსიერების ფრაგმენტული გაცოცხლება მაინც შეეძლო. მხოლოდ ათწლეულების შემდეგ, 2015 წელს, მარო მაყაშვილს პირველი ქალი ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. ხოლო მისი სახელი პოლიტიკური წინააღმდეგობის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. მაგრამ კიდევ უფრო სიმბოლური ისაა, რომ დღეს ამ პროტესტის ეპიცენტრი ზუსტად იქაა, სადაც მარო მაყაშვილის ნეშტი იყო დაკრძალული - საქართველოს პარლამენტის შენობის კიბეებთან, რომელიც რუსული სამხედრო ეკლესიის ნანგრევებზეა აშენებული...

მეშინოდა, უწყვეტი პროტესტი ენერგეტიკულად მარცხთან არ დამეკავშირებინა, მაგრამ, მასში ჩართული აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ის, რაც ეხლა საქართველოში ხდება, ასი წლის წინ დაწყებული ამბის პირდაპირი გაგრძელება და შემდეგი თავია. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ნამუშევარი პროტესტში ჩართული ქალების ინდივიდუალური ან ჯგუფური საპროტესტო აქტებით და გამოცდილებით მოვლენების თანმიმდევრული და პირველ პირში მოყოლილი ამბის გააზრებასთან ერთად, იმ ცალკეული მაგალითების შენახვის მცდელობაცაა, რითიც თავად ისტორია იწერება.

რაც არ უნდა სენტიმენტალურად ჩანდეს, დასასრულს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი უნდა დავამატო, რამაც ამ ნამუშევრის ბოლომდე მიყვანის მთავარი ინსპირაცია მომცა. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, პირველ რიგში „მაროს შვილები“ არც ქალთა წინააღმდეგ ძალადობაზე, არც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე და არც თვითგამორკვევის პროცესზეა. ჩემთვის ამ ნამუშევარზე მუშაობის მთავარი მოტივატორი ჩემი შვილი - ვივიენი იყო, რომლისთვისაც მინდოდა ცოცხალი მაგალითებით მეჩვენებინა, თუ რა წინააღმდეგობებს შეიძლება შეხვდეს ის საკუთარ ბრძოლაში, რომელიც ყველა ადამიანს აქვს გადასატანი და მიუხედავად ყველაფრისა, როგორი შემართებით უნდა შეხვდეს შესაძლო გამოწვევებს.

იმედია, „მაროს შვილებში“ დაარქივებული ინტერვიუები და პირადი ჩანაწერები მომავალში სხვა მკვლევარებსაც გაუადვილებს შრომას და ხელს შეუწყობს განვითარებული მოვლენების ინტერპრეტაციაში.

21 ნოემ / 2024

მონოლოგი

დეა მამისეიშვილის კომენტარი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე / 2024 წ.
მთავარი არხის ეთერი

უწყვეტი პროტესტი ქუჩაში და დროსა და კონტექსტს მოწყვეტილი „ქართული ოცნება“, რომეილც ეგრედ წოდებულ პარლამენტში შესაკრებად ემზადება. იმ ეგრედ წოდებულ პარლამენტში, სადაც მხოლოდ 89 სკამი შეივსება და ყველა „ოცნების“ მიერ. არჩევნებიდან ერთი თვე მიილეა და ე.წ. ხელისუფლებისთვის ევროპიდან მიმლოცველი არავინ გამოჩნდა. ბოდიში, ერთი გამოჩნდა, ისიც ვითომ ევროპელი, პუტინის მეგობარი ორბანი. ქუჩაში გასულ ახალგაზრდებს ისევ გომელაურის პოლიციელები დასდევენ, ძალადობენ და აკავებენ. ისევ ცნობილ ციკლს მიჰყვება ეს საოცნებო ქვეყანა. ასეა, როდესაც მუნდირზე დიდი ფასი შენთვის ერთი აშლილ-მოშლილი კაცის სიტყვას აქვს, იქ ფეხქვეშ ყველას და ყველაფერს თელავ. შუბლზეც ძარღვი ერთხელ თუ გაწყდა, აღარ მთელდება და სულ იმ წითელ ხაზს მიღმა მოქმედებ, რომელიც გადალახე.

შუბლის ძარღვზე გამახსენდა. მას შემდეგ რაც ყველა გამოკითხეს, ვისაც არ ეხებოდა, ბოლოს პროკურატურამ ცეესკოს თავმჯდომარე – კალანდარიშვილი მიიხმო. მისვლა დაგვიმალეს და გამოსვლის დროს კი, ცეესკოს გიორგი გაიქცა. კალანდარიშვილი პროკურატურიდან მიიმალა. რომელი გასასვლელით არ ვიცით. მაგრამ ჟურნალისტების თვალს რო მიეფარა, ეგ შემდგარი ფაქტია. აბა მართალი კაცები არ გარბიანო? დღეს და ერთხელ კარგი, მაგრამ ზოგადად თვალს რომ მოეფაროთ, გაგიჭირდებათ ბატონო გიორგი. ოცნების ბევრი წევრისგან განსხვავებით, თქვენ სიმბოლოც გაქვთ... კი არადა ხართ, შავი ლაქა.

მთლად ურიგო არ უნდა იყოს არა? ოცნების რამდენი ჯარისკაცი უძეგლოდ დაიკარგა და თქვენი სახელობის დროშებიც კი შეიქმნა.

და ბოლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ისევ სპეც რაზმი შეესია. რა თქმა უნდა სწავლა-განათლებისთვის არა. იქ მყოფი სტუდენტ-ახალგაზრდობის დასაშლელად და ტერიტორიის მოსასუფთავებლად. ამ უნივერსიტეტს შეიარაღებული ბანდ-ფორმირებების კარმა, შორეული წლებიდან მოყვება და გამონაკლისი არც 21-ე საუკუნე და ქვეყნის ეგრედ წოდებული მმართველი – რუსი ივანიშვილია. ეს ღამის მთავარია და მე დეა მამისეიშვილი.

ვსაუბრობთ საქართველოზე, რომელიც იბრძვის.

24 ნოემ / 2024

ჩვენ ვრჩებით - შენ წადი

ანნა გოგოლაძის ინტერვიუ ქალთა მარშიდან მთავარი არხის ეთერი

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, მარტო სამი წელი რომ ავიღოთ რეალურად, 160 ათასმა ქალმა დატოვა ქვეყანა, რაც ნიშნავს იმას, რომ ასი ათასობით ბავშვი ამ ქვეყანაში იზრდება დედის გარეშე. ყველაზე მძიმედ თუ ვინმეს შეეხო ავტორიტარული რეჟიმი, ბოლო 12 წლის განმავლობაში, ეკონომიკური სიდუხჭირე, უსამართლობა, დემოკრატიის არ ქონა – ესენი იყვნენ ქალები და ბავშვები, რომელიც აქ დატოვეს რეალურად.

ერთადერთი ალეტერნატივა, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ აპრილში დაგვიანონსა, მაშინ როდესაც გვითხრა, რომ არჩევნებს წაგვართმევდა და არჩევნების წართმევასთან ერთად, სამშობლოს წაგვართმევდა – გვითხრა რომ იყო მხოლოდ ემიგრაცია. და დღეს გვთავაზობს ამას... ემიგრაციას გვთავაზობს მათ, ვისაც არ გვინდა რუსეთში ცხოვრება და მათ, ვისაც არ გვინდა უპერსპექტივო ქვეყანაში ცხოვრება. ყოველთვის საქართველოში ბრძოლის მთავარი ხაზი და ძირითადი ხაზი, გადიოდა მებრძოლ ქართველ ქალებზე. და აი ამ მოძრაობის სათავეშიც აუცილებლად, იყვნენ, არიან და ვიქნებით ქალები. მნიშვნელოვანია, რომ დღეს ბიძინა ივანიშვილს ქვეყანა ჰყავს ჩიხში შეყვანილი და ამ ჩიხიდან ერთადერთი გამოსავლი არის მოძრაობა ცვლილებებისთვის და მოძრაობა ცვლილებებისკენ. თუ რამე უნდა დღეს „ქართულ ოცნებას“ ეს არის ამ მოძრაობის გაჩერება. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოძრაობა არ გაჩერდება მანამ, სანამ ახალი არჩევნები ამ ქვეყანაში არ ჩატარდება

ქალთა მარშის მიერ ორგანიზებული ცარიელი ჩანთების პერფორმანსი ივანიშვილის სასახლესთან
ფოტო: ვახო ქარელი/აპრილი მედია

28 ნოემ / 2024

ღირსეულად

ახლად დანიშნული პრემიერ მინისტრის - ირაკლი კობახიძის გამოსვლის სრული ტექსტი, ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერების თაობაზე

საქართველო არის ევროპული ქვეყანა, რომლისთვისაც ორგანული და ძვირფასია ტრადიციული ევროპული ღირებულებები. როგორც უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, საქართველო ყოველთვის იყურებოდა ევროპისკენ, როგორც ქრისტიანობის დაცვის მთავარი ბასტიონისკენ. ჩვენ ვართ ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ქვეყანა, რომლებმაც ევროპული ღირებულებები ქართული სამოქალაქო აზროვნების ლაიტმოტივად აქციეს.

ჩვენი პასუხისმგებლობაა საქართველოს ისტორიისა და ჩვენი დიდი წინაპრების წინაშე, საქართველო ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრად ვაქციოთ. შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, საქართველო 2030 წელს გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რისთვისაც ძალისხმევას არ დავიშურებთ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, თავისი შინაარსით, ორმხრივია და მხოლოდ ორმხრივი შეიძლება იყოს. ჩვენ ვართ ამაყი და თავმოყვარე ერი დიდი ისტორიით. შესაბამისად, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, ევროკავშირში ინტეგრაცია განვიხილოთ როგორც მოწყალება, რომელიც ევროკავშირმა ჩვენთვის უნდა გაიღოს. მეტიც, მიგვაჩნია, რომ საქართველოს, თავისი მდიდარი კულტურითა და პოტენციალით, ზუსტად ისევე შეუძლია გაამდიდროს ევროკავშირი, როგორც ევროკავშირს შეუძლია გაამდიდროს საქართველო.

ამ ფონზე, ქართველი ხალხისთვის კატეგორიულად მიუღებელია ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილის მცდელობა, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ცალმხრივ მოვლენად წარმოაჩინონ. კიდევ უფრო მიუღებელია შეურაცხყოფების მთელი კასკადი, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში ამ ადამიანებისგან ვისმენთ.

ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებმა ევროპარლამენტი აქციეს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟის შიშველ იარაღად, რაც ევროკავშირის უდიდესი სირცხვილია. ევროპარლამენტმა გასული 3 წლის მანძილზე მიიღო სიცრუითა და შეურაცხყოფით სავსე 5 რეზოლუცია, რომლებიც არათუ ქართულმა საზოგადოებამ, ევროკომისიამ და ევროპულმა საბჭომაც კი არ გაიზიარა.

სრულიად საქართველო იყო საპარლამენტო არჩევნებში ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილის ჩარევის მომსწრე, რაც დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების უხეში დარღვევაა. დღეს კი, იგივე ადამიანები ლეგიტიმურ არჩევნებს თავს ესხმიან. მეტიც, ისინი ზუსტად ისეთივე შემართებით ესხმიან თავს ეუთო/ოდირის არჩევნების შემფასებელ მისიას, რომელმაც არჩევნები კონკურენტულად შეაფასა, როგორც ამას საქართველოში რადიკალური ოპოზიციის ლიდერები აკეთებენ.

ასევე, ვხედავთ, რომ ევროპელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები გამოყოფილ გრანტებსა და სესხებს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟისთვის იყენებენ. ყველას გვახსოვს, როგორ გეგმავდნენ 2021 წლის არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე საქართველოსთვის 75 მილიონი ევროს მოცულობის სესხის გაუქმებას, რათა ამით არჩევნებზე არალეგიტიმური გავლენა მოეხდინათ. მსგავსი ნაბიჯი გადაიდგა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც, თუმცა, ამან ქართველი ხალხის არჩევანზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია. ფულის შანტაჟისთვის გამოყენებაც არის შეურაცხმყოფელი პრაქტიკა, რომელიც თავმოყვარე ქართველი ხალხისთვის არასოდეს გახდება მისაღები.

ყველას გვახსოვს ისიც, თუ როგორ იქნა გამოყენებული კანდიდატის სტატუსის საკითხი საქართველოს დასაშანტაჟებლად, ქვეყანაში არეულობის შემოსატანად და საზოგადოების გასახლეჩად. უკრაინაში ომის დაწყების ფონზე, იმ დროს, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა სიმშვიდე, ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილმა კანდიდატის სტატუსის თემა ქვეყანაში რევოლუციის მოწყობის მცდელობისთვის გამოიყენა. აღნიშნულ რევოლუციის მცდელობაში ღიად იყვნენ ჩართული ორგანიზაციები, რომლებიც ევროკავშირიდან იღებენ დაფინანსებას. თითქმის 2 წლის განმავლობაში, კანდიდატის სტატუსის თემა გამოიყენებოდა საქართველოში რადიკალიზმისა და ე.წ. პოლარიზაციის გაღვივების მთავარ ინსტრუმენტად, რაც საქართველოს მიმართ არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს.

ახლა კი, ვხედავთ, რომ ამ ადამიანებმა კანდიდატის სტატუსი მოლაპარაკებების გახსნით ჩაანაცვლეს. მოლაპარაკებების გახსნა დღეს ზუსტად ისევე გამოიყენება ჩვენი ქვეყნის დაშანტაჟებისა და საზოგადოების გახლეჩის ინსტრუმენტად, როგორც მანამდე კანდიდატის სტატუსი გამოიყენებოდა. ესეც არის სრულიად ხელოვნური მოვლენა, მით უმეტეს, რომ

მოლაპარაკებების გახსნის თარიღზე გაწევრიანების თარიღი საერთოდ არ არის დამოკიდებული.

მთავარია არა ის, თუ როდის გავხსნით მოლაპარაკებებს, არამედ ის, თუ როდის დავხურავთ მას. როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ უკრაინაზე და მოლდოვაზე გვიან დაიწო მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებასთან და უვიზო რეჟიმის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა, სამივე შემთხვევაში წარმატებას ამ ქვეყნებზე ადრე ან ამ ქვეყნების თანადროულად მიაღწია. იმასაც შეგახსენებთ, რომ მონტენეგრომ და სერბეთმა, შესაბამისად, 2012 და 2014 წელს გახსნეს მოლაპარაკებები ევროკავშირთან, თუმცა, ამას მათი ევროინტეგრაცია ოდნავადაც არ დაუჩქარებია. თურქეთს კი, ევროკავშირმა 2005 წელს გახსნილი მოლაპარაკებები 2016 წელს, საერთოდაც, შეუწყვიტა.

ტექნიკური თვალსაზრისით, მოლაპარაკებების გახსნიდან ევროკავშირში გაწევრიანებამდე მხოლოდ წელიწადნახევარი-2 წელიწადი არის საჭირო, 2030 წლამდე კი, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება არავის აქვს დაგეგმილი. აქედან ჩანს, თუ რამდენად ხელოვნური და შესაბამისად, უკიდურესად შეურაცხმყოფელია ის შანტაჟი, რომელსაც ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილი მოლაპარაკებების გახსნის თემით საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებს.

ამასთან, ამ ფონზე, საქართველოს თხოვენ არა რეფორმებს, არამედ მხოლოდ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ღირსებაზე უარის თქმას ნიშნავს. ეს არის „ენჯეოების“ გამჭვირვალობის შესახებ კანონის გაუქმება, ლგბტ-პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის გაუქმება, სანქციების დაწესება და საქართველოს ეკონომიკის ჩვენივე ხელით ჩამოშლა, მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლება და სხვ.

ჩვენ მხოლოდ ღირსებით ვივლით წინ ევროკავშირისკენ. ეს არის ქართული საზოგადოების, იმ 1 120 000 ამომრჩევლის დაკვეთა, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ და „ქართული ოცნების“ კურსს მყარი ნდობა გამოუცხადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი. ასევე, 2028 წლის ბოლომდე უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან.

2028 წლის ბოლო არის ის დრო, როდესაც საქართველო იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით სათანადოდ მომზადებული, რათა გახსნას მოლაპარაკებები 2030 წელს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ჩვენ არ ვჩერდებით და განვაგრძობთ ასოცირების დღის წესრიგითა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და როგორც დღეს დამტკიცებულ სამთავრობო პროგრამაშია აღნიშნული, 2028 წლისთვის ამ ვალდებულებების 90 პროცენტზე მეტი გვექნება შესრულებული. ამასთან, ყველა ამ ვალდებულებას შევასრულებთ საკუთარი დაფინანსებით, ევროკავშირის ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე. ჩვენ ვაპირებთ არა მათხოვრობით და ცალ ფეხზე დგომით ევროკავშირში შესვლას, არამედ ევროკავშირში ღირსეულად გაწევრიანებას, გამართული დემოკრატიული სისტემითა და ძლიერი ეკონომიკით.

ჩვენ განვაგრძობთ სვლას ევროკავშირისკენ, თუმცა, არავის მივცემთ საშუალებას, დაგვტოვონ მუდმივი შანტაჟისა და მანიპულაციის რეჟიმში, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სრულიად შეურაცხმყოფელია. მიგვაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ურთიერთობების გაჯანსაღებაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის. შესაბამის ევროპელ პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებს, რომლებიც სრულად არიან დაცლილი ევროპული ღირებულებებისგან, ჩვენ მკაფიოდ უნდა დავანახოთ, რომ ისინი საქართველოს არა შანტაჟითა და შეურაცხყოფით, არამედ ღირსეულად უნდა ელაპარაკონ. მოლაპარაკებების გახსნის საკითხის გამოყენება საზოგადოების გახლეჩისა და მანიპულაციის ინსტრუმენტად, ევროკავშირს საქართველოში სერიოზულ რეპუტაციულ ზიანს აყენებს. ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება ევროკავშირს ამ რეპუტაციულ ზიანს სამომავლოდ აარიდებს თავიდან.

დასასრულს, კიდევ ერთხელ თამამად გვინდა განვაცხადოთ, რომ 2030 წლისთვის საქართველო ყველა კანდიდატ ქვეყანაზე მეტად იქნება მზად ევროკავშირში გასაწევრიანებლად. საქართველო მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ეს არის ჩვენი დაპირება ქართველი ხალხის მიმართ, რომელსაც აუცილებლად შევასრულებთ.

28 ნოემ / 2024

წააკითხეთ 78-ე მუხლი

მოქალაქეთა პროტესტი “ქართული ოცნების” შტაბთან სოფიო შამანიდის კომენტარი ევრო-ინტეგრაციის შეჩერებაზე მთავარი არხის ეთერი

რეალურად ჩვენ ყველამ ვიცოდით რომ აქეთ მიდიოდა ქართული ოცნება. სამწუხაროდ ქართული ოცნების მხარდემჭერები ამას უარყოფდნენ და იძახდნენ, რომ არა, აი ჩვენ ორ ფეხზე და ღირსებით... აი ეხლა ორ ფეხზე და ღირსებით, მიბრძანდით რუსეთში, ქართული ოცნების მხარდამჭერებო.

იმიტომ, რომ ის რაც ეხლა თქვენ გამოგიცხადათ რუსმა ირაკლი კობახიძემ, და ის, რომ პუტინმა მას მიულოცა და მოუწონა ეს... იქნებ ეხლა მაინც ცოტატი გაანძრიოთ ტვინი და მიხვდეთ საით მიჰყავხართ ქართულ ოცნებას.

არ ვიცი, რავიცი აი ამაზე მეტი რა უნდა ქნას. დანარჩენი ეხლა დარჩა, რომ რუსის ჯარი შემოიყვანოს, თორემ ყველაფერი იკადრა ივანიშვილმა აი ამ თავის მაჯლაჯუნებით

წარმოუდგენელია მართლა რა გვაკადრა. გადაიხია კონსტიტუცია თავზე. 78-ე მუხლი წაიკითხოს. უგულებელჰყო საქართველოს მოსახლეობის 85% -ს სურვილი ევროინტეგრაციისა. არაფერი არ აინტერესებთ, ამათ აინტერესებთ მარტო ფულის კეთება.

ესენი არიან ბიძინა ივანიშვილის ფულის მცველები. როგორც გრაალს, ისე იცავენ ბიძინა ივანიშვილის ფულს. მეტი ამათ არაფერი არ აინტერესებთ. აქამდე გვეგონა მარტო ბიძინას მონები არიან, ეხლა აღმოჩნდა, რომ პირდაპირ პუტინის მონები არიან. დუგინი ულოცავს, კაი სპორტსმენიაო კობახიძე – დღეს ვნახეთ და რავიცი მეტი რაღა უნდა მოხდეს, მართლა არ ვიცი

ფიცი ვის წინაშე დადეთ?

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თავისუფლების მოედანზე განლაგებულ სპეცრაზმს მიმართავს ფორმულას ეთერი

თქვენი მოვალეობა არის, რომ დაიცვათ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობა. დაიცვათ მოქალაქეები. თქვენი მოვალეობა არ არის, რომ დაშალოთ ხალხი. რუსეთს ემსახურებით თუ საქართველოს? ფიცი ვის წინაშე დადეთ? მაინტერესებს პასუხი... თქვენ პრეზიდენტს არ პასუხობთ? შეიძლება ჩამოწიოთ?... არ პასუხობთ თქვენ პრეზიდენტს?.. თქვენს მომავალზე არ ფიქრობთ ხომ? არც ქვეყნის, არც შვილების? ისარგებლეთ შემთხვევით, სანამ რუსი პრეზიდენტი არ გეყოლებათ...

29 ნოემ / 2024

ძლივს გამოვიხედე თვალებიდან

ანნა მდივანი აღწერს წყლის ჭავლის ეფექტს, სასწრაფო დახმარების მანქანიდან ტვ პირველის ეთერი

ვაშუქებდით ამ მოვლენებს, რა დროსაც წყლის ჭავლის მანქანა წამოვიდა ჩვენსკენ და მთლიანად სახეში შემესხა... ოცი წუთია სასწრაფო დახმარების მანქანაში ვარ და ძლივს გამოვიხედე ეხლა თვალებიდან.
მე გამიშუქებია სხვა ბევრი აქცია, გამოუყენებიათ წიწაკის სპრეი, მაგრამ ის, რასაც ეხლა იყენებენ წარმოუდგენელია. სპაზმური შეტევა მქონდა, არ შემეძლო სუნთქვა. აი გეუბნებით, ოცი წუთია ვზივარ მანქანაში... დამწვრობა მაქვს, მეწვის ყველაფერი სადაც მომხვდა ეს წყალი. თვალები მეწვის, სახე მთლიანად მეწვის. თვალებიდან ვერ ვიხედებოდი. მე ნამდვილად არ ვიცი რა არის შიგნით შერეული ამ ხსნარში, ამ წყალში, მაგრამ არის წარმოუდგენელი... უბრალოდ ვერ სუნთქავს ადამიანი... არ ვიცი რა არის, ამაზე პასუხი უნდა გასცეს ალბათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

29 ნოემ / 2024

ეს არ უნდა დავუშვათ

შშმ უფლებათა აქტივისტი - ანნა სიხაშვილი საუბრობს საპოლიციო ძალების ფოწზე
წყარო: ნეტგაზეთი

გადაწყვეტილება, რომ შეაჩეროს ევროპასთან ინტეგრაცია, არის მომაკვდინებელი. სხვათაშორის მინდა გითხრათ რომ ქვეყანა აუცილებლად გადარჩება იმიტომ, რომ ჩვენ გადავარჩენთ, ჩვენ არ დავუშვებთ ამას, რომ ეს ასე მოხდეს, მაგრამ „ქართული ოცნების“ თვითმკვლელობა ნამდვილად იყო, რაც გააკეთეს დღეს.

მე რატომ მოვედი? მე მოვედი იმიტომ, რომ უნდა ვაჩვენოთ, კიდევ ერთხელ ძალიან მკაფიო არა უნდა ვუთხრათ რუსეთს იმიტომ, რომ ქვეყანა არ უნდა გავატანოთ. ეს ქვეყანა მოიტანეს ჩვენმა წინაპრიბმა, ძალიან ბევრი სისხლი დაიღვარა და არ შეიძლება, რომ დავუშვათ ამ ქვეყნის მკვლელობა. არ შეიძლება დავუშვათ ამ ქვეყნის მკვლელობა ისევ ქართველების ხელით იმიტომ, რომ ჩემს უკან სპეცრაზმი თუ პოლიცია, რაც დგას აქ ხო, ვინც დგას... დგანან... ესენიც ქართველები არიან და ამათ გადაწყვიტეს, რომ ჩვენი სახელმწიფო მოკლან

გურამ როგავას გადაღებული სელფი ჰოსპიტალიდან, მასზე სპეცრაზმელის თავდასხმის შემდეგ

30 ნოემ / 2024

სად იყავი, ამიხსენი?

სოფიო ხუნწარია მოითხოვს ღია ეთერს და მოვლენების სამართლიან გაშუქებას საზოგადოებრივი მაუწყებლისგან პირველი არხის ეთერი

- გუშინ ჩვენს შვილებს რო კლავდნენ, მაგ ფორმაზე მელაპრაკები? რომელ ფორმაზე მელაპარაკები? სად იყავი ჩვენს შვილებს რო კლავდნენ, რატო არ იყავი აქციაზე, რატო არ გამოხვედი, მითხარი? მე, როგორც ჟურნალისტი თუ იქ ვდგავარ დილიდან ღამემდე და ჩემს შვილებს ვიცავ, ოღონდ ჩემსას კი არა, ყველას შვილს... თქვენ სად იყავით გამაგებინეთ?

- ვაშუქებდით... – ვასილ მაღლაფერიძე

- რას აშუქებდით? პაპუაშვილი რომ გეჯდათ პარალელურად გუშინწინ... პარალელურად პაპუაშვილი რომ გვატყუებდა დარბევის დროს რაღაცეებს, რაზე მელაპარაკები საერთოდ? რომელ სიმართლეზე, რა გაცინებს ვასიკო? - სოფო ხუნწარია

- სიმწარე მაცინებს

- მეც სიმწარე მაყვირებს, ვასიკო

- თქვენ გგონიათ რომ ადამიანის შეურაცხყოფით და ბულინგით გამოხატავთ...

- რომელი შეურაცხყოფით და ბულინგით... მათხოვე ერთი ეს... გურამ როგავა მომეცით – წინა ღამით განზრახ დაზიანებული ჟურნალისტის, გურამ როგავას ფოტოს ითხოვს – ესენი არიან ჟურნალისტები. ესენი და აი ამათი დარბევის პარალელურად...

- ჩვენი რატო არ მოიტანე? ფოტო, რატო არ მოიტანე? ძალიან მომეწონებოდა – თინა ბერძენიშვილი

- თინა, მე ვილაპარაკე პირდაპირ ეთერში დღეს. გადაახვიე და ნახე სად ვილაპარაკე და როგორ ვილაპარაკე...

- ჟურნალისტს და ოპერატორს და მემონტაჟეს... მე შემეხე, ამათ არ შეეხო... – თინა ბერძენიშვილი

- ნუ გადაგაქვს ლაპარაკი სხვაგან იმიტომ, რომ მე არ ვეხები არც ჟურნალისტს, არც ოპერატორს და არც მემონტაჟეს. ისინი არიან ჩვენი კოლეგები... - ...ეხლა ჯობია შეხვიდეთ და გადაცემა გააკეთოთ – სოფიო ხუნწარია

30 ნოემ / 2024

იცით რა არის კარგი სახელმწიფო?

ნინო ლაღიძე მოპოვებული ღია ეთერიდან საუბრობს პროტესტზე და მის მიზეზებზე
პირველი არხის ეთერი

მე იქ ასი ათას კაცთან ერთად ვდგევარ და მაინც მეუბნებიან, რომ ცოტანი ხართ... არასაკმარისი ხართ, თურმე. იცით რა არის კარგი სახელმწიფო? მე რომ ვდგავარ მარტო და ჩემი ხმა ისმის მთელ ქვეყანაზე, აი ეს არის კარგი სახელმწიფო... მე ამ სახელმწიფოს ვერ ვეღირსე ამ ქვეყანაში ვერასოდეს. ყოველთვის, როდესაც მივდიოდი და ვამბობდი მართალ სიტყვას, ისევე მესეოდნენ ტურები, როგორც დღეს ფოიეში შემომესივნენ ეს ტურები, რომ თურმე მე ვარ ცუდი და თურმე მე ვიღაცას რუსი ვეძახე...

მე ხალხს შევპირდი ვთქვა სამი რამ ამ სტუდიიდან:
თუ თქვენ გეშინიათ და აუცილებლად შეგეშინდებათ... ყველა პოლიციელს უნდა ეშინოდეს მისი შვილის ამ ქვეყანაში... იმიტომ, რომ სწორედ მათ შვილებს ყველაზე მეტად გამოიყენებენ ამ სიბინძურეში... მათი შვილები იქნებიან ყველაზე მთავარი საშანტაჟე ინსტრუმენტი მათ მომავალში, იმიტომ, რომ დამპალია ეს რუსული სისტემა, რომელშიც ვცხოვრობთ და ვერასოდეს ვერ გამოვედით აქედან...

დაწიეთ კამერები!

სპეცრაზმი თავს ესხმის ჟურნალისტებს წიწაკის სპრეით მთავარი არხის ეთერი

- თქვენ ეხლა კადრში ხედავთ, აი ეს შავ-ნიღბიანი... ხელი გაუშვი... ხელი გაუშვი... ნორმალურად იყავი და ხელს ნუ მირტყამ... ხელს ნუ მირტყამ... ძალიან ბევრი მოქალაქე დააკავეს და ეხლა მედიასაც გვიშლიან აქ მუშაობას... გვეჯიკავებიან და... ნომრალურად... გადაიღე ეს ადამიანები... გვაგინებენ ჩვენც იმიტომ, რომ არ უნდათ რო გადავიღოთ როგორ აკავებენ და რა ძალის გამოყენებით აკავებენ ადამიანებს, რომლებიც აქ – შევჩენკოს ქუჩაზე იდგნენ. აქეთ რო გადაიღო შეგიძლია? ძალიან ბევრნი არიან...

- კამერები დაწიეთ!

- ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ და შეგიძლიათ გახვიდეთ აქედან

- დაწიეთ კამერები!

- ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ და აქედან გადით... იგინებიან...

- გადი მაქედან, ნუ უშლი ხელს

- ბალუ, ამ გოგოს გადაუღე, როგორ ექცევიან... მოქალაქეა, რომლის მეგობარიც დააკავეს და შიგნით შეათრიეს... ჩვენც, მედიის წარმომადგენლებსაც გვექცევიან აგრესიულად იმიტომ, რომ არ სურდათ გადაგვეღო ის კადრები, რომლებიც იყო ცოტა ხნის წინ პირდაპირ ეთერში...

პირდაპირი ეთერის დროს, მძიმედ დაშავებული ჟურნალისტი - მარიამ გაფრინდაშვილი ტვ პირველის ეთერი

30 ნოემ / 2024

მოქალაქე საუბრობს დევნის და თავდასხმის მეთოდებზე ფორმულას ეთერი

ვერ წარმოიდგენთ რა გააკეთეს!

ყელში წამიჭირეს, როგორ მაგინეს, უბრალოდ ვერ წარმოიდგენ რა გააკეთეს. აბსოლუტურ შოკში ვარ, ეს... ეს... ეს... ეს... თავს ვაფარებდი ჩვეულებრივად, გაგვიხსნეს კარები, საკმაოდ ბევრნი, მაგრამ ვერც მოვასწარით სხვები შემოგვეყვანა იმიტომ, რომ გვივარდეოდნენ კარებში და გვირტყავდნენ. არ ვიცი ეხლა არ მინდა რომ პირდაპირ ეთერში ის უზრდელური სიტყვები ვთქვა. როგორც მაგინეს როგორც მირტყეს თავში, გამზრდელიც... თქვენ ვის გამზრდელს უნდა შეეხოთ...

თქვენ ეხლა ორ მეტრიანი ვაჟკაცები... ვაჟკაცები კი არა, არაკაცები რო იყავით... უბრალოდ რო შეგეძლოთ რო ქალზე ხელი აგეწიათ და თქვენი ძალის დემონსტრირება მოგეხდინათ... თქვნი უღირსება დამტკიცდა იმით, რომ ყელში წამიჭირეთ, მირტყით, მაგინეთ, წიხლი ამომარტყით, ძალიან შოკში ვარ, ძალიან ვცდილობ რომ ამხელა აგრესია შევიკავო.

ვინც ჩვენ შემოვასწარით... ცდილობდნენ რომ გაეღოთ ეს კარები, თუმცა ჩვენც ბევრნი ვიყავით და უკნიდან ვაწვებოდით, შესაბამისად შევძელით რო დაგვეკეტა ეს კარები... იცი რა მიქნეს? მირტყეს ტანში, ხელში, თავში...

დასისხლიანებული ხალხი ნახე?

დეა მამისეიშვილი მიმართავს პოლიციის დეპარტამენთის მოადგილეს - სერგი ბზიშვილს მთავარი არხის ეთერი

- სერგი, ეს პროპორციული ძალაა? მითხარი რა ხდება რუსთაველის გამზირზე? - დეა მამისეიშვილი

- არაფერი არ ხდება - სერგი ბზიშვილი

- დასისხლიანებული ხალხი სერგი, ვერ ნახე?

- არაფერი არ ხდება

- რის ან ვის სამსახურში ხარ, გამაგებინე? სერგი, ვის სამსახურში ხარ? სერგი, ვის ბრძანებას იცავთ? დასისხლიანებული ხალხის კადრები ნახე, თუ ტელეფონი არ გაქვთ და მხოლოდ რაცია გაქვთ? დასისხლიანებული ხალხის კადრები ნახეთ, სახეში რომ ურტყამენ? სახეში რომ ურტყამენ... სერგი, რაზეც არ გინდათ პასუხი, არა გაქვთ... სერგი ბზიშვილი იყო ეს...

დემონსტრანტი ბარიკადებზე
ფოტო: გურამ მურადოვი

ქართლის დედა ეხვევა სასტიკად ნაცემ - ზვიად მაისაშვილს
ავტორი: ეკატერინე კატო ბექიშვილი

დემონსტრანტის თავით ფეხბურთის მოთამაშე სპეცრაზმელების ეს ვიდეო ამონარიდი, საერთო სიტუაციის საილუსტრაციოდაა მოყვანილი | ვიდეო: თეონა ჭალიძე

ยังไม่ตาย
แต่ความฝัน
เหมือนกลายเป็นเรื่องไร้สาระ!

30 ნოემ / 2024

დექსა არ გამიკეთოთ, ალერგიული ვარ - იწერს ქალი ხელზე დემონსტრაციაზე გასვლამდე
ფოტო: ინგა აბიგლუკოზა

1 დეკ / 2024

ესე ძმებს არ ექცევიან

ბარიკადებზე მარტო მდგომი მანანა სამხარაძე, სპეცრაზმელებს მიმართავს. ორი დღის შემდეგ, მის მეუღლეს - ანტონ ჩეჩინს, პოლიცია დიდი ოდენობით ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დააკავებს. ტვ პირველის ეთერი

- ბარიკადების მიღმა არის გოგონა, რომელიც სპეცრაზმს მიმართავდა წეღან... რა გინდოდათ გეთქვათ, თქვენი ხმა ახლა მთელ საქართველოს ესმის?

- ჩემი ხმა არის ის, რომ დაფიქრდეთ, ჩაიხედეთ გულებში, გაიხსენეთ რომ ჩვენ ერთი ვართ, ჩვენ ვართ ძმები, მეგობრები. მაგრამ ესე ძმებს არ ექცევიან, მტრებს არ ექცევიან ესე. ქართველი ქართველს არ უნდა ექცეოდეს მსგავსად.

- დიდი მადლობა, საკმაოდ ემოციურ მიმართვას მოუსმინეთ ახლა მთელმა საქართველომ პირდაპირ ეთერში. ეს არის გოგონა, რომელიც დგას ბარიკადების მიღმა. ერთადერთი გოგონა შემორჩა იმიტომ, რომ აქ ცოტა ხნის წინ გაუშვეს მხუთავი აირი და შეუძლებელი იყო ინგა, ფაქტიურად დგომა.

შეუძლებელია სახლში გაჩერება

ორი შვილის დედა მთავარი არხის ეთერი

ბოლო რამდენიმე დღეა ფაქტიურად ვარ ქუჩაში. ძალიან მინდა ჩემი საქმით ვიყო დაკავებული. ორი შვილის დედა ვარ და ძალიან მინდა რომ ჩემს შვილებთან ერთად ვიყო ეხლა სახლში... მაგრამ როგორც ყველამ დავინახეთ ბოლო დღეებში მოვლენები უკვე იმ დონეზე განვითარდა, რომ არათუ ხმა არ დაგვიტოვეს, არაფრის უფლება არ დაგვიტოვეს, კონსტიტუციაც თავზე დაგვახიეს. და აბსოლუტურად ყველა ადამიანური უფლება ფეხქვეშ გაგვითელეს. ყველანაერი ღირსება, ყველაფერს გადააბიჯეს. ყველანაერი ღირებულებები, იქნება ეს

ქრისტიანული, მოქალაქეობრივი, ადამიანური... არ ვიცი ჩემთვის შეუძლებელია ეხლა ვიყო სახლში და ეკრანზე ვუყურო ჩემი შვილების ტოლ ან ჩემი მშობლების ტოლ ადამიანებს როგორ უსწორდებიან ქუჩებში. მე პირადად ევროპაში ვსწავლობდი. ვიცი რა არის ევროპა და ძალიან მინდა საქართველო მალე ვიხილო ევროკავშირის წევრად, რადგან ჩვენ ეს ისტორიული არჩევანი გავაკეთეთ თავის დროზე და ვერც წარმომიდგენია სხვანაერად როგორ უნდა გავაგრძელოთ გზა.

2 დეკ / 2024

შვილების და შვილიშვილებისთვის

ხნიერი ქალი პროტესტიდან
მთავარი არხის ეთერი

თავისთავად ცხადია, ჩვენ არ დავთმობთ ჩვენს ქვეყანას. ამდენი საუკუნეა ვებრძვით ამ რუსებს და ვერ მოვიშორეთ. რა თქმა უნდა ახლა როცა მივაღწიეთ დამოუკიდებლობას, არ დავთმობთ, რომ დაგვიჯდეს სისხლის ფასად.

მე ახლა უკვე დავბერდი, წამსვლელი ვარ. ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისა და თაობების გამო ვდგევარ, შვილო. გავიმარჯვებთ, არ შეგეშინდეთ, ღვთიშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ღვთისშობელი გვფარავს და დაგვიფარავს აუცილებლად... მე კიდევ ბევრი ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი...

ქვები

დიდი ალბათობით ეს იყო ქვა, რომელიც ისროლა სპეცრაზმელმა, რადგან უკნიდან მომხვდა. და ამის შედეგად ვიგრძენი ძლიერი სისხლდენა. აღმოჩნდა რო თავზე მაქვს ჭრილობა. სამი ნაკერი დამადეს გუშინ

დაზარალებული ახალგაზრდა ქალი, სასწრაფო
დახმარების მანქანიდან, პოლიციას ქვების
სროლაში ადანაშაულებს
ტვ პირველის ეთერი

3 დეკ / 2024

ფაქტებზე კომენტარისგან თავის არიდების შემდეგ, შსს მინისტრის მოადგილეს - ალექსანდრე დარახველიძეს, ჟურნალისტმა ქეთა ციცქიშვილმა, ბრიფინგზე საკუთარ ტელეფონში ჩაწერილ ძალადობის სცენებს აყურებინა. მთავარი არხის ეთერი

ეს ფოტოები და ვიდეო ნანახი გაქვთ?

- ბატონო ალექსანდრე თქვენ ეს ფოტოები ნანახი გაქვთ? თქვენ ეს ვიდეო ნანახი გაქვთ? თქვენ გურამ როგავაზე თავდასხმის ეს ვიდეო ნანახი გაქვთ?

- ყველა ვიდეო ნანახი მაქვს... დაბრძანდით, დასვით შეკითხვა და გაქცემთ პასუხს...

- შეგიძლიათ მითხრათ ეს სამართალდამცველი ვინ არის?

- დაჯექით... დასვით კითხვა

- განსაკუთრებული დავალებების დეპარტამენტის ეს თანამშრომელი ვინ არის? მინდა რო გამცეთ პასუხი

- დაბრძანდით, გაქცემთ პასუხს... პროვოკაციებს ნუ ვაწყობთ, დასვით შეკითხვა და გაქცემთ პასუხს...

- ბატონო ალექსანდრე გამეცით კიუთხვაზე პასუხი... ვინ არის გდდ-ს ეს თანამშრომელი

- დამშვიდდით, დასვით შეკითხვა და გაქცემთ პასუხს...

- მითხარით გურამ როგავაზე თავდამსხმელი, რომელიც განახეთ ეხლა, სახელი და გვარი ამ ადამიანის, რომელიც არის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი... დაწყებულია თუ არა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე? და გასულია თუ არა რიგებიდან და არის თუ არა აქციებზე? თუ ისევ აგრძელებს მუშაობას, ეს მაინტერესებს მე?

- მე მინდა ყველას მოგიწოდოთ დავრჩეთ პრეს-კონფერენციის ფარგლებში... მე მზად ვარ ყველა კითხვას ვუპასუხო და შესაბამისი ინფორმაცია მოგაწოდოთ, ოღონდ მსგავსი პროვოკაციები ჩემთვის მიუღებელია... რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, შსს-მ ამ საკითხზე გააკეთა არაერთი განმარტება. მოგეხსენებათ რო ეს იყო ძალიან მძიმე ფაქტი და ჩვენ ამის შესახებ ვისაუბრეთ... თუმცა რაც შეეხება სამართალდამცავის მხრიდან შესაძლო დანაშაულის ფაქტის გამოვლენას...

- შესაძლო, ბატონო ალექსანდრე?

- ეს წარმოადგენს სხვა უწყების კომპეტენციას... შესაბამისად დაწყებულია თუ არა ამაზე გამოძიება, ამაზე გააკეთა შესაბამისმა სამსახურმა რომ დაწყებულია

გამოძიება... ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. რაც შეეხება დადგენილი არის თუ არა შესაბამისი პირი და მის მიმართ გატარდება თუ არა შესაბამისი სამართლებლივი ღონისძიებები, ამაზე შესაბამისი უწყება გაქცემთ პასუხს.

- კარგით მეორე კითხვა: ხმის გამაძლიერებლიდან განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის რომელიღაც წარმომადგენელი, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავდით, დიდი ალბათობით ეს იყო ზვიად ხარაზიშვილი, დაახლოვებით ათი წუთის განმავლობაში უწყვეტად რომ იგინებოდა, ეს რა ფარგლებში ჯდება, თუ შეიძლება თქვენ გაგვეცით პასუხი. ვიდეოს განახებთ თუ არ გაქვთ ნანახი.

- ეს საკითხი კონკრეტული პირების მხრიდან ხდებოდა თუ არა ხმა მაღლა მოლაპარაკე საშუალების გამოყენება სხვა მიზნებისთვის, ამის შესახებ მე ინფორმაციას არ ვფლობ...

- ვიდეოს განახებთ...

- რაც შეეხება... რაც შეეხება ხმა მაღლა მოლაპარაკეს, აქციაზე მისი გამოყენება ხდება იმისთვის, რომ აქციის მონაწილეებს... გაკეთდეს მოწოდება ღონისძიების დაწყების შესახებ... და საზოგადოება უწყვეტ რეჟიმში ხედავს, რომ ჩვენ ამ საშუალებას ვიყენებთ. მასში არის წინასწარ ჩაწერილი ხმა, რომელიც მუდმივ რეჟიმში ერთი და იგივე ტექსტს იმეორებს... შესაბამისად მსგავსი შემთხვევა, რომ სხვა პირების მხირდან იქნეს გამოყენებული, არ მინახავს... თუმცა საზოგადოება ასევე ხედავდა, რომ ჩვენი მანქანის ტექსტი გადაწერილი ქონდა ძალიან ბევრ ოპოზიციურ პარტიას, რომელსაც აჟღერებდნენ სხვა ინტერპრეტაციით აქციებზე, შესაბამისად არ არის გამორიცხული სხვა პირების მიერ რომ იყოს გამოყენებული...

ხმაურია... ყველა ერთად ლაპარაკობს, ალექსანდრე ცდილობს დაზარალებული პოლიციელიბის სტატისტიკის გამოცხადებას. ქეთა ციცქიშვილი ცდოლობს მოასმენინოს ჩანაწერი, მაგრამ სხვა დამსწრეები გამიზნულად არ აძლევენ შესაძლებლობას.
- თუ შეიძლება დატოვეთ დარბაზი - მოუწოდებენ მას გასასვლელისკენ, ალექსანდრეც იგივეს იმეორებს ტრიბუნიდან..

- გრცხვენოდეთ - დარბაზიდან გასვლამდე ამბობს ქეთა ციცქიშვილი

3 დეკ / 2024

ჩემი გეშინიათ?!

ნანა ტომარაძე არღვევს პოლიციის ძალების კორდონს
ფოტო: ნიკოლოზ ურუშაძე

- ეს ყველაფერი, რასაც მე ვხედავ, ეს არის საქართველოს წინააღმდეგ. ანუ თქვენ გინდათ, რომ თქვენ გვნახოთ მუხლმოდრეკილები? და რატო ეს დედა აფეთქებული? თქვე ნაგავო ხალხო... მე დავიღალე... მე დავრჩები თქვენ საქართველოში... ანუ რა გინდათ? ანუ რა გინდათ? ანუ რა გინდათ? ჩემი გეშინიათ? მაგარი ყლეები ხართ

- შეაგდე... ამის დედას შევეცი

4 დეკ / 2024

ვისი სახელით?

ელისო ჯარიაშვილი ბრიფინგზე დანიშნულ პრემიერ მინისტრს - ირაკლი კობახიძეს დაუპირისპირდა ფორმულას ეთერი

- დამასრულებინეთ კითხვა: ვის წარმოადგენთ როდესაც საუბრობთ? თქვენ არ გაქვთ არცერთი დემოკრატიული სახელმწიფოს აღიარება. დრო და დრო გილოცავთ და გაქებთ, ხშირ შემთხვევაში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მედვედევი და დუგინი... ვისი სახელით ლაპარაკობთ, როდესაც ეხლა საუბრობთ... დავასრულებ კითხვას, დაიმახსოვრეთ თქვენც კითხვები... შემდეგი კითხვა...

- მოდი სათითაოდ... ჩემთვის მთავარია რომ თქვენ მაღიარეთ იმიტომ, რომ დღეს თქვენ მობრძანდით ოფიციალურად მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში

- ეს შენობა თქვენ არ გეკუთვნით, მე როგორც

ინსტიტუციაში ისე მოვედი... ჩემს აღიარებას იმას თუ ჩათვლით, რომ კითხვას გისვამთ... თქვენ წარმოადგენთ რუსულ რეჟიმს და შესაბამისად იყენებთ მიტაცებულ ინსტიტუციებს... ვის უნდა დავუსვა კითხვა?

- კეზერაშვილის ტელევიზიის წარმომადგენელთან ასეთ დებატებში... კეზერაშვილს დამტკიცებული აქვს ჯარის ძარცვა, ეს ერთი... ბიზნესის რეკეტთან დაკავშირებით მე პირადად მაქვს ინფორმაცია...

- ძალიან დიდი ბოდიში, 13 წელია თქვენი ხელისუფლება ფლობს ძალაუფლებას და ფლობს... მოდით ძალიან გთხოვთ ამ დატკეპნილ რიტორიკას... მოდით ნუ დავღლით ჩვენს მაყურებელს... თქვენ შემპირდით... ვაგრძელებ კითხვის დასმას, ჯერ ვერ გავიგე ვის წარმოადგენთ, ვისი სახელით ლაპარაკობთ?

- გონორით ნუ საუბრობთ... თქვენ წარმოადგენთ კეზერაშვილს, ეს არის მთავარი

- თქვენ ვისი სახელით ლაპარაკობთ? მე არ მრცხვენია ვის წარმოვადგენ... მე წარმოვადგენ ტელეკომპანია ფორმულას, თქვენ ვის წარმოადგენთ?

- მე ვსაუბრობ ქართველი ხალხის სახელით

- რომელი ქართველი ხალხის სახელით, რომელსაც ასახიჩრებთ ქუჩაში? აი მოდით გკითხავთ: თქვენი დაპირება იყო მშვიდობა?

- ერთი წამით, მე ვსაუბრობ მილიონ ასოცი ათასი ამომრჩევლის სახელით, ეს ერთი... მეორე, რაც შეეხება მშვიდობას, ერთმანეთისგან განვასხვაოთ ტერმინები, ეს პირველი... ჩვენ გადავარჩინეთ ეს ქვეყანა ომს

- და ის ომი არ არის, რასაც ეხლა ქუჩაში აკეთებს სპეცრაზმი? ახალგაზრდების დასახიჩრების ბრძანებას რუსეთიდან იღებს ბიძინა ივანიშვილი თუ მისი თვითშემოქმედებაა? ასევე მაინტერესებს, სამშობლოს ღალატში თქვენ ფულს იღებთ თუ ესეც თქვენი თვითინიციატივაა? გეკითხებით როგორც მოქალაქე, გურამ როგავას რომ სასტიკად სცემეს, ვინ გასცა ეს ბრძანება? ვინ გასცა ბრძანება, გეკითხებით? ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული და რატომ არ არის დანაშაული გამოძიებული?

- მომიკითხეთ კეზერაშვილი...

- მომიკითეთ ბიძინა ივანიშვილი და რუსი ოლიგარქები. - ახალგაზრდების დასახიჩრება, მათ შორის ჟურნალისტების, ვისი ბრძანებაა? ივანიშვილის, რუსეთიდან მიღებული ბრძანებაა, თქვენი თვითშემოქმედებაა და თუ რა არის? მიპასუხეთ...

- მე მესმის თქვენი ომიციების...

- თქვენ არავის ემოცია არ გესმით... გეკითხებით, კონკრეტულ კითხვაზე მიპასუხეთ

- კარგით, სირცხვილია

- სირცხვილი იცით რა არის, ქუჩაში რო ხალხს არბევენ, სირცხვილია როცა თავში დამიზნებით ურტყავენ ადამიანებს, გადაივსო კლინიკები, გადაივსო იზოლატორები... ყველა ოპოზიციურ პარტიაში ახალა არის რეიდი... რას ნიშნავს ეს, ვინ გასცა ბრძანება...

- უნდა გრცხვენოდეთ...

- მე არაფრის არ მრცხვენია. გეკითხებით, რა ფასად გაყიდეთ სამშობლო? თუ უფასოდ აკეთებთ ამას?

- სამშობლოს ყიდი კეზერაშვილის ფულის სანაცვლოდ...

- მე ვარ ჟურნალისტი და მხოლოდ ჩემს საქმიანობაში ვიღებ ანაზღაურებას... კეზერაშვილის თემა გავიარეთ, არაფერი არ გაქვთ სათქმელი და თუ გქონდათ, 13 წელი გქონდათ ამისთვის... ვისგან იღებთ დავალებას?

- ბინძურ ფულს იღებ კეზერაშვილისგან...

- თქვენ ხო გინდათ რომ ლეგიტიმურობა გქონეთ? ხომ გგონიათ რომ ლეგიტიმური ხართ. გეკითხებით, ინსტიტუციურად ვინ გასცემს ბრძანებას, ახალგაზრდების დასახიჩრების? რუსეთიდან აქვს მიღებული თუ თვითონ წყვეტს ამას?

- ნაც-მაიდანს არავის არ გავუტარებთ...

- არავის არ უნდა ნაც-მაიდანი, თქვენ ხოცავთ ხალხს ქუჩაში... რა გინდათ სიკვდილამდე მიიყვანოთ ვინმე?

- დებატები ხო გინდოდათ, მოდით ჩვენს არხე დებატებზე

- რა მინდა კეზერაშვილის არხზე, მოდით სადაც გინდათ

- იმ არხზე გინდათ, სადაც პოლიტ-პარტიიდან გადავიდა ვასილ მაღლაფერიძე დირექტორად? თუ იმ არხებზე გინდათ, რომელიც პროპაგანდად გაქვთ გამოყენებული?

- ომის პარტიიდან რატო მელაპარაკებით?

- რომელი ომის? ქუჩაში უწყობთ ომს ახალგაზრდებს.

- ნუ ნერვიულობთ

- არ ვნერვიულობ და თუ ვნერვიულობ იცით რატომ

ვნერვიულობ?

- კანკალებთ...

- იცით რატომ ვნერვიულობ? ჩემი კოლეგები არიან ნაცემები

- ნუ კანკალებთ...

- ახალგაზრდები არიან...

- ჩემი კოლეგები, პოლიციელები არიან ნაცემები თქვენი სამარცხვინო ქმედებების გამო... ნაცმოძრაობის, ნაც-მაიდნის გამო. თქვენ ხართ სამარცხვინო... ნუ კანკალებთ

- სამარცხვინო ვარ მე? თქვენ გამოგიტანათ განაჩენი საზოგადოებამ... რუსო! იცინე...

კობახიძე ტოვებს დარბაზს. ბრუნდება.

- საცოდავები ხართ

- საცოდავი ხარ შენ... მე ვარ საცოდავი? ოდესღაც ნორმალურ ადამიანად გიცნობდა მედია...

4 დეკ / 2024

სისხლში გასვრილი ხელები

პოლიციის წინ შეკრებილი უფლება დამცველები და აქტივისტები, ძალადობას აპროტესტებენ
წყარო: რადიო თავისუფლება

ჩვენი შვილების სისხლში არის პოლიციის ხელები... ამის სათქმელად მოვედი... უმოწყალოდ სცემენ და იმეტებენ... მათ სახე აქვთ დაფარული, მაგრამ ძალიან კარგად იციან თვითონ ვინ, ვინ არის და არცერთი არ არის დასჯილი...

4 დეკ / 2024

ძალიან შეგრცხვება

პოლიტიკური პატიმრის, ზვიად ცეცხლაძის მეუბობალი, მის სახლში შესვლის შემდეგ პოლიციას და ჟურნალისტებს მიმართავს ტვ პირველის ეთერი

- თქვენ ხო ადამიანები არ ხართ... ბიძინამ რას დაგამსგავსათ... თქვე ცხოველებო, თქვენ... შენ კაცი გქვია ეხლა? შე ნაძირალა, შენ...

- რა ხდებოდა?

- არაფერი, სახლში ვიჯექი, ადამიანს ორი ოპერაცია მაქვს გაკეთებული... პედაგოგი ვარ, აგერ ვმუშაობ ზევით სკოლაში და ვერ გამოვდივარ იმიტო, რომ აი ეხლაც რო წავიქეცი, რამე რო მომხვდეს, ერთი თვის ნაოპერაციები ვარ, ვერ გადავიტანე. ჩემი სამი შვილიშვილი, ყველა იქ დგას და მუდმივად იმაშვებიან... მთელი ცხოვრება ვიბრძოდი რომ ჩემს შვილებს, ჩემს მოსწავლეებს კარგი მომავალი ქონოდეთ. ბიძინამ არ გაიხაროს... სიკდილი და ამოწყვეტა დაადგება. მოვესწრები იმ დროს, როცა აუცილებლად გამწარდება. ოღონდ თვითონ დიდ ხანს უნდა იცოცხლოს. მისი საყვარელი ადამიანები უნდა გამწარდნენ, როგორც ჩემი საქართველო ამ დღეში ჩააგდო. ასევე ყველა, ვინც სხვებიც, აი განსაკუთრებით აი ამეებს, (ხელს კიდებს პროპაგანდისტული არხების მიკროფონებს) გრცხვენოდეთ შვილო, ახალგაზრდა გოგო ხარ და ძალიან შეგრცხვება ამ ქვეყანაში ცხოვრების... თქვენი სამარცხვინო ტელევიზია... მოშორდით აქედან, არ ხართ ღირსები რამე გითხრათ... რა იყო? რა იყო, არ მოგწონთ არა შეურაცხყოფები, ყველა პასუხს აგებს, ყველა ვინც 41 შემოხაზა და ჩემი ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო, ვერავინ ვერ გადარჩება... საკუთარი შვილები...

- ზვიადის სახლში რა ხდებოდა?

- არაფერი არ ვიცი... მე ისიც არ ვიცოდი, ეგ ბავშვი რამდენიმე თვის წინ რაღაცეებით შევამჩნიე და არ ვიცოდი ზოგადად რო ისა... ეხლა ჩემმა შვილებმა მომწერეს რო იქო, რვა ნომერში ცხოვრობს თურმეო და აი გამოვარდი როგორც ვიყავი უცბად... კარი ჩავკეტე და გამოვედი –

6 დეკ / 2024

ნანა სანდერი ეკამათება, პარლამენტის შესასვლელთან განლაგებულ სპეცრაზმელებს წყარო: ნეტაზეთი

კრიმინალი ხარ

- შე კრიმინალო შენ... მე ვპროვოკატორობ? ჩემზე ძალადობ და ეს არ უნდა ვთქვა, რო მოძალადეები ხართ? და მე ვარ პროვოკატორი? თქვენმა კოლეგებმა, ორსულებზე, ბავშვებზე, მოხუცებზე, ქალებზე, მოძალადეებმა... ვინ იძალადა? არ უყურებ ტელევიზორს, შე ჩმორო, შემომხედე... კითხვას რო მისვამ, პასუხს გცემ... ვინ იძალადა?! დაიბრმავე თვალები, შე მონა? შენმა ნაბიჭვარმა კრიმინალმა კოლეგებმა... ვინ იძალადა?!

- უზრდელი ხარ!

- უზრდელიც ხარ და გაუზრდელიც. ცხვენოდეს დედაშენს, ქვეყნის გამყიდველი რო გაგზარდა... სამშობლოს ყიდით თქვენ... თქვენ არ იცით სამშობლო რა არის... იმიტომ, რო მენტალურად, კულტურულად რუსები ხართ... და ჩვენ, მარტო საქართველოს მოსახლეობას კი არა, ჩვენ – მილიონზე მეტ ემიგრანტს სამშობლოს გვართმევთ... ჩემი მეგობარი გერმანიიდან, სპეციალურად არის აქ ჩამოსული და კიდე ბევრნი არიან... რატო? გიჟები ვართ აქ რო ჩამოვედით? გერმანული ცხოვრება დავტოვეთ? ჩვენი სწავლა, ჩვენი ცხოვრება, ჩევნი სამუშაო და აქ ვდგავართ? გიჟები ვართ? არა ჭკვიანები ვართ... ჩვენი ქვეყანა გვიყვარს, თქვენგან განსხვავებით... და არ დაგითმობთ ამ ქვეყანას... რუსეთუმე ნაბიჭვრებს არ დაგითმობთ... ხარებას მონებს, ბიძინას მონებს, პუტინისტებს... ჩაენძრიეთ საოკუპაციო ზოლთან თუ რამის ტრაკი გაქვთ... არაფერი გაქვთ თქვენ სათქმელი... შენ ხარ კრიმინალი...

ფოტო: ფრენცის პრიმერსკი

7 დეკ / 2024

მკვლელობის მცდელობა ეთერში

პირდაპირი ეთერის დროს, ტვ პირველის გადამღებ ჯგუფს, მაკა ჩიხლაძეს და გიორგი შეწირულს, უცნობი ნიღბიანები თავს დაესხნენ. მოგვიანებით ორივე მათგანი ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ტვ პირველის ეთერი

- თავდამსხმელების კადრებს, რომლებიც ცდილობენ ჩვენზე... ჩვენს ოპერატორზე თავდასხმას

- ერთი წამი, ვინახართმეთქი... - მაკა ჩიხლაძე

- ესენი არიან, მაკამ მიაგნო თავდამსხმელებს ხელი გაწიე... მაკამ მიაგნო თავდამსხმელებს, ისინი არიან მთაწმინდაზე, სცემენ მოქალაქეებს, ეს არის პირდაპირი ეთერი, პოლიცია ადგილზე არ არის, ხედავთ სისხლიანი ანგარიშსწორებაა კონსერვატორიასთან და პოლიცია ადგილზე არ არის - ნოდარ მელაძე

- უკაცრავად, ვინ ხართ? ხელი არ მოკიდო

- ადამიანები სასტიკად არიან ნაცემები...

- კამერას ხელი არ მოკიდო...

- დავაი აქედან, შენი დედას შევეცი...

- პოლიცია ადგილზე არ არის

ისმის ჩიხლაძის კივილის ხმა. პირზე უკნიდან აფარებს ხელს ნიღბიანი... კამერა ძირს ვარდება

აქ ვდგავარ

ჩემი მეგობრი დააკავეს იქით... აქედან არ გავინძრევი, არა, შანსი არ არის. მოვიდნენ, აქ ვარ, აქ ვდგავარ და მოვიდნენ. აქ ვიდგები, აქ ვიდგები... და ვიბრძოლებ ბოლომდე... მოვიდნენ, არ მეშინია...

ბეატრის გაზდელიანი სპეცრაზმის წინ დგას და მის დაკავებას ითხოვს
ფოტო:
ბასტი მგალობლიშვილი / პუბლიკა

როცა დამაკავეს, გადამიყვანეს განყოფილებაში... შემიყვანეს რაღაც ოთახში, სადაც იყვნენ შსს-ს თანამშრომლები, ნიღბებში... მიღებდნენ ვიდეოებს... მაყენებდნენ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურს და სიტყვიერს... დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ასე მოექცნენ სხვა დაკავებულებსაც... და ეს არის სრულიად მიუღებელი ქმედება სამართალდამცავების მხრიდან... ჯერ არ ვიცი ვუჩივლებ თუ არა, ვფიქრობ... უბრალოდ პოლიციის იმედიც არ მაქვს დიდად და ამიტომაც. მართლა არ ვიცი რა უნდა ვქნა ამ შემთხვევაში. ყველანაერი ძალადობა არის მიუღებელი... და ძალიან მტკივა გული, რომ საერთოდ ეს ხდება, მაგრამ მე მაინც ვაპირებ აქციაზე გამოსვლას და მაინც ვაპირებ, რომ ვიბრძოლო საქართველოს თავისუფლებისთვის



7 დეკ / 2024

სცენის რეკონსტრუქცია: დედა მუხლებზე დაჩოქილი ევედრება პოლიციელებს შვილისთვის
წყარო: რადიო თავისუფლება

სულ პატარა ბავშვია

- ჩემი შვილია, ვაიმე, გაუშვით - დედა

- ნუ იღებ... - ოფიცერი

- მიშველეთ, ვაიმეე...

- ქალბატონი ვინ არის თქვენი? - ჟურნალისტი

- ბავშვს ხელი არ მოკიდოთ, შემიშვით ჩემ შვილთან, გეხვეწებით... გეხვეწებით, შემიშვით

- გადაბრძანდით

- ჩემი შვილია. შენთან არაფერი საქმე არა მაქვს.

- იქით გადაბრძანდით

- არამაქვს მე შენთან არაფერი საქმე...

- ტელეფონი გაწიეთ

- მედია ვარ გენაცვალე, არ ვარ ტელეფონი... წაიკითხეთ, რადიო თავისუფლება...

- ბიჭებო, სულ პატარა ბავშვია, შემიშვით...

- იქ რო შეხვალ რას იზავ?

- დაიჭირეს ჩემი ქმარი და შვილი...- ტირის

თქვენი ბანდები

მაკა ჯანაშია უცნობი ნიღბიანების მიერ თავდასხმაზე მთავარი არხის ეთერი

როგორც ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვარ, ეგრევე თვალში ჩამარტყა, მერე ვიღაცეები მოცვივდნენ და ტელეფონი ესე ხელიდან აიღეს პირდაპირ და გაიტაცეს. ამას დამატებული, ჟურნალისტი ხარ, ხო და წიხლი ამომარტყა. ნიღბიანი ტიპები იყვნენ, აგრესიულები... არ იყვნენ ფხიზელ მდგომარეობაში. ესე გუნდ-გუნდად დადიან ნიღბიანები, შავებში ჩაცმულები. აქციის რამდენიმე მონაწილე ცემეს. ეს არის უბედურება. შსს მინდა მივმართო – გაათრიეთ გომელაურო თქვენი მარბიელი ბანდები. ეს თქვენი ბანდებია, თქვენ ხართ არალეგიტიმური ადამიანები, რომლებიც მარბიელ ბანდებს აგზავნით მშვიდობიან ადამიანებთან...

8 დეკ / 2024

სისუსტის ნიშანი

ჟურნალისტები ხელშეუხებლები უნდა იყვნენ - ნინო ზაუტაშვილი თავდასხმების ღამეზე საუბრობს მთავარი არხის ეთერი

- მედიაზე ძალადობა ეს არის ყველაზე დიდი გამოხატულება, ყველაზე დიდი სისუსტის... და ის რაც ჩვენ გუშინ ვნახეთ, ეს ძალადობა არ იყო, ეს არის მკვლელობის მცდელობა. ნამდვილად ასე დავარქმევ იმიტომ, რომ ძალიან დიდი შანსი იყო, ისევე როგორც გურამ როგავას შემთხვევაში, ასევე მაკა ჩიხლაძის და გიორგი შეწირულის შემთხვევაში, ეს ამბავი დამთავრებულიყო საშინელი შედეგით. რაც გამოიწვევდა, მე აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, იმდენად ყველაფერი თვალნათელია... იმდენად ყველაფერი ყველასთვის უკვე გასაგებია... მე აღარანაერი კითხვის ნიშანი აღარ მრჩება... საერთოდ რასთან გვაქვს საქმე. თუ ვინმეს რაღაც მოსაზრებები აქვს, ეს მის სინდისსზე იყოს, მე უკვე დავწერე, რომ ყველამ თავისი სინდისის კარნახით იმოქმედოს. აი ეს იქნება, ის მთავარი რის მიხედვითაც ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები... ამ რეალობაში ვართ და ამ სიტუაციაში ვართ. მე მათ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ და ქართული მედია იქნება ყოველთვის ფორვარდი, ყველა იმ მოვლენას რომელიც საქართველოში განვითარდება.

ეს არის ჩვენი პროფესია, ეს არის ჩვენი მოვალეობა და ხელშეუხებელი უნდა იყოს ჟურნალისტი. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ყველაზე ცხელ წერტილში, ყველაზე მნიშვნელოვან ამბავს აშუქებს, ყვება და აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას. ძალიან ვღელავ იმიტომ, რომ გუშინ მთელი ღამე მომიწია ამ კადრების ყურება, კონსერვატორიის ქვევით ვიდექით და რაღაცნაერად მოვხვდი ამ ძალიან მძიმე ეპიცენტრში და მე ვუსურვებ ჩემს ქვეყანას, რო ბოლო იყოს ეს, რაც ეხლა ხდება და წავიდეთ იმ განვითარების გზით, რომელიც ყველას გვინდა...

სიმართლეს შეუძლია სისტემის დანგრევა

თეა აბაშიძე მიმართავს სამთავრობო პროპაგანდისტს ფორმულას ეთერი

- სუყველანი უკვე რისკის ქვეშ ვართ, სიკვდილის რისკის ქვეშ ვართ... ჩემი შვილი აგერ მახლავს, ჩემი მესამე, უმცროსი... ამის მამას მივმართავ და ვეუბნები, აი ჩემი სხვა შვილებიც აქ არიან... იცოდეთ, აქ რო ტიტუშკები დარბიან იარაღებიანები, რომლებსაც პროვოკაცია უნდათ, რომლებსაც უნდათ რომ ჩვენ დაგვაბრალონ მერე, რო ჩვენ აქ აი ეს მშვიდობიანი მოსახლეობა, თურმე ვიღაცის თითის ტკენას ვაპირებთ

- ვის მიმართავთ, თქვენ თქვით რო მიმართავდით ბავშვების მამას...

- ბავშვების მამამ ძალიან კარგად იცის ვინც არის... ეს არის შალვა რამიშვილი... ჩემი სიმწრით გაზრდილი შვილები, ჩემს გაჭირვებაში გაზრდილი შვილები, ეხლა არიან რისკის ქვეშ... მათთვის აუტანელი იყო ყველაფერი რაც ჩვენ თავს გადაგვხდა ამ ადამიანის გამო... ეს ადამიანი ბედავს და ეხლა მოძღვრავს იქედან. და ვისაც ამ ადამიანის გჯერათ, შეხედეთ ხალხნო, შეხედეთ. ერთი ჩინოვნიკი მითხარით, რომელიც არ არის მდიდარი... ამათი როგორ გჯერათ მეგობრებო... ჩვენ ყველანი ერთ ბედ ქვეშ ვართ, აბსოლუტურად ყველანი... ჩვენ ყველანი დაჩაგრული ადამიანები ვართ. ამ სისტემის გამო, მე 9 აპრილს ბავშვი ვიყავი და აქ ვიდექი... ყველა მიტინგზე ნამყოფი ვარ... მაგრამ მე პიროვნებებს კი არ ვუჭერდი მხარს, მე ვუჭერდი სისტემას, რომელმაც ჩაკლა ჩვენი სული... მაგრამ ეხლა უნდა გავიღვიძოთ. ძალიან გთხოვთ, ყველამ, სინდისთან დადექით... ნუ უსმენთ პროპაგანდას... ისინი იტყუებიან. ისინი არიან ტროლების ქარხნები... გთხოვთ, მოგმართავთ, ჩემო საყვარელო ხალხო, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, მე ჩემი სამსახურის ხალხიც ძალიან მიყვარს და ყველას სინდისს მოვუხმობ და ვეხვეწები, რომ გამოფხიზლდით ეხლა. თქვენ დადექით მაგრად, ყველგან ვიცი რო იარსებებს ერთი თამამი ადამიანი მაინც. და იმ ერთ ადამიანს შეუძლია შეცვალოს ყველაფერი... იმიტომ, რომ საკაცობრიო ისტორიაც ესეთია. ერთ ადამიანს შეეძლო სიმართლე ეთქვა და ირღვეოდა ყველაფერი, ამან განავითარა მთელი კაცობრიობა... გთხოვთ, გამოფხიზლდით ყველანი, დაგვიცავით... თქვენი ადგილი აღარ არის სამსახურებში, უნდა გაჩერდეს სისტემა... უნდა მორჩეს ეს უბედურება, რაშიც გვაცხოვრებენ ამდენი ხანი... ნუ უსმენთ პიროვნებებს, შეხედეთ ყველაფერს, ყველაფერი ძალიან შიშველია... სისასტიკე ხდება... აი ეხლა, ამ წუთში იქიდან მოვდიოდი და როგორ ურტყამდნენ... როგორ შეიძლება თქვენ გჯეროდეთ ადამიანების, რომლებიც წაქცეულებს ფეხებს ურტყამენ... სინდისი ადამიანებო, სინდისი. მარტო სინდისის წინაშე უნდა დადგეთ ეხლა ყველანი...

8 დეკ / 2024

უსმინეთ სიყვარულს...

ევანგელისტურ-ბაფტისტური ეკლესიის წინამძღოლი - რუსუდან გოცირიძე ძიმართავს ჰოლიციას ეურონიუს ჯორჯიას ეთერი

მე აქ ვდგევარ როგორც ღვთის მსახური, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და როგორც დედა, რომელიც ყოველ საღამოს შვილებს უშვებს იმისი ფიქრით და შიშით, რომ შეიძლება შეეჩეხოს ფორმიანს, რომელმაც შეიძლება სცემოს, დაჩეხოს, დაამტვრიოს და დამიბრუნოს ისე.
მე არ მინდა ესეთ საქართველოში ცხოვრობდნენ ჩემი შვილები... მე მინდა თქვენ გიყურებდეთ თვალებში და არ მეშინოდეს. იცით, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც აქციებზე გამოვდივარ მეშინია, რომ თქვენს შორის ნაცნობი არ ამოვიცნო... მეშინია, ჩემი ნათესავი, ჩემი კლასელი, ჩემი მრევლის წევრი არ ამოვიცნო...

არ მინდა მე ესეთი ქვეყანა. ჩვენ აქ მოვდივართ ნამდვილი მშვიდობისათვის... ნამდვილი მშვიდობა ისეთია, სადაც მე და თქვენ ვაშენებთ ისეთ ქვეყანას, სადაც ჩემი შვილები და თქვენი შვილები ლაღად ივლიან აი ამ პროსპექტზე... ყველა ჯერზე, როდესაც ბრძანებას მიიღებთ იცოდეთ – თქვენს წინ მარტო ჩემი შვილები არ დგანან... თქვენი შვილებიც დგანან...

თქვენი გულის ძახილს უსმინეთ. სამართლიანობას უსმინეთ, სიყვარულს უსმინეთ... ღვთის შვილები ვართ, ამ ქვეყნის შვილები ვართ. ჩვენ ერთი მუჭა ხალხი ვართ და ჩვენ, უერთმანეთოდ მომავალს ვერ ავაშენებთ... დაინდეთ ჩვენი შვილები და დაინდეთ თქვენი შვილები...

14 დეკ / 2024

მოწამლული ნაძვის ხე

საახალწლო ნაძვის ხის გასანათებლად, რუსთაველის გამზირზე პოლიციის დანაყოფები და სპეციალური ძალები იყო მობილიზებული. იგეგმებოდა გზის გათავისუფლება, რათა ქალაქის მერს ნაძის ხის ანთების საზეიმო კონცერტი გაეხსნა. ყველაფერი ისე ვითარდებოდა, რომ ეს შესაძლოა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ნაძვის ხე გამხდარიყო. მერია მხარდამჭერებსა და ბავშვებსაც კი მოუწოდებდა ცერემონიაზე დასწრებისკენ იმავე ადგილზე, რომელიც სულ რამდენიმე დღით ადრე თორმეტი ღამის განმავლობაში უცნობი ქიმიური გაზით იწამლებოდა. ხელისუფლებასა და დემონსტრანტებს შორის დაძაბულობა თანდათან იზრდებოდა. საბოლოოდ, ნაძვის ხის ანთების ცერემონია გადაიდო. სოლიდარობის ჟესტად, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რუსთაველის გამზირზე დემონსტრანტებთან ერთად გამოჩნდა.

- თურმე გადაიდო ამ საღამოს, ამ ნაძვის ხის ანთება, განათება... მე მგონია ბარბარობაზე ჩემთან მოდიან... მე მინდა, რომ გისურვოთ მშვიდობიანი საღამო... არ იყოს აქ არანაერი პროვოკაცია. ნაძვის ხის ანთება ამ საღამოს აღარ იქნება და თქვენ ყველანი ერთად იყავით მშვიდობიანად, იყავით კარგად, მე ვარ თქვენთან ერთად იმიტომ, რომ აქ არავის არ დავუშვებთ და არცერთ პროვოკაციას არ დავუშვებთ...

საახალწლო ნაძვის ხესთან მობილიზებული პოლიცია
ფოტო:
მარიამ ნიკურაძე / ოუსი მედია

27 დეკ / 2024

ძალადობა და სექსუალური შევიწროება

ყოფილი სახალხო დამცველი - ნინო ლომჯარია, სხვა უფლება დამცველებთან ერთად წარადგენს პოლიციის მხრიდან, დაკავებულ ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობის ოფიციალურ ანგარიშს მთავარი არხის ეთერი

დღევანდელ ბრიფინგზე ჩვენ გვსურს ვისაუბროთ პოლიციის მხრიდან ქალი დაკავებულების მიმართ ჩადენილი ძალადობის და სექსუალური შევიწროების და სექსუალური შინაარსის მუქარის ფაქტების თაობაზე... მოგეხსენებათ ნოემბერ-დეკემბრის თვეში პოლიცია აქციებზე აკავებდა არამხოლოდ მამაკაცებს, არამედ ქალებს. 28 ნოემბრის შემდგომ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა ცხელ ხაზზე შემოვიდა ათი შეტყობინება, ათი ქალის დაკავების თაობაზე თუმცა სამწუხაროდ ოფიციალური მონაცემების არარსებობის გამო ჩევნ არ გვაქვს ზუსტი სტატისტიკა თუ ინფორმაცია თუ რამდენი ქალი დააკავეს საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დროს... შემაძრწუნებელია ის გარემოება, რომ აქციაზე დაკავებულმა რამდენიმე ქალმა საჯაროდ ისაუბრა, მათ მიმართ დაკავების დროს და შემდეგ პერიოდში, პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობის, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მობყრობის, სექსუალური შევიწროების და გაუპატიურების მუქარის ფაქტების თაობაზე. ქალების განცხადებით, დაკავების პროცესში სპეც-რაზმი მათ ფიზიკურად გაუსწორდათ, ემუქრებოდნენ გაუპატიურებით და სიცოცხლის მოსპობით... გაუპატიურების მუქარის კიდევ უფრო სიცხადისთვის ადგილი ქონდა, სპეცრაზმელების მიერ გაუპატიურების აქტის აღწერას, უწმაწური სიტყვების გამოყენებით, დაკავების სპეციალური მანქანისკენ წაყვანის მუქარას, რაც მსხვერპლისთვის კიდეც უფრო დამაჯერებელს ხდიდა აღნიშნულ სიტყვებს. აქციებზე დაკავებული ქალის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადების თანახმად, დაკავების მანქანაში მას არ მისცეს საშუალება სკამზე დაჯდომის, მთელი გზა მუხლებზე დაჩოქილი ამგზავრეს და ამასთან ადგილი ქონდა სექსუალური შევიწროების ფაქტს... ერთერთი დაკავებული ქალის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებით, მას პოლიციის განყოფილებაში გადაუღეს ვიდეოები, ამცირებდნენ სექსუალური შინაარსის კომენტარებით... აქციის მონაწილე ერთერთმა ქალმა, რომელსაც სახეზე ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა, საჯაროდ გააკეთა განცხადება, რომ ის აქციის დაშლის დროს პოლიციელებმა, თითქოს და განრიდების მზნით გაიყვანეს, რის შემდეგაც სცემეს...

დაუშვებელია სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან ასეთი ქმედებების განხორციელება, ან ისეთი ქმედებების შესრულების მოთხოვნა, რომლებიც დამამცირებელია. ლახავს მოქალაქის ღირსებას და მიმართულია

სექსუალური თუ სხვა ნიშნით შევიწროვებისკენ... წამება, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მობყრობა არის აკრძალული და წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს... შესაბამისად ჩვემ გვსურს მივმართოთ იმ ქალებს, რომლებსაც შესაძლოა შეემთხვათ მსგავსი ფაქტები და ჯერ საჯაროდ არ უსაუბრიათ... ჩვენ, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები მზად ვართ აღმოგიჩინოთ სამართლებრივი დახმარება, კონფიდენციალურობის სრული დაცვით და წარმოვადგინოთ თქვენი ინტერესები, როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებში. ასევე დაგეხმაროთ მიიღოთ ყველა საჭირო სარეაბილიტაციო სერვისი...

ასევე გვინდა იცოდეს ყველა ქალმა, მათი საპროცესო უფლებების თაობაზე, რომ თქვენი პირადი დათვალიერება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ჩაატაროს იმავე სქესის წარმომადგენელმა. პირადი დათვალიერება არ ხდება ყველას დასანახად... მას შეიძლება დაესწროს მხოლოდ იმავე სქესის წარმომადგენელი. პირადი დათვალიერების დროს დაუშვებელია თქვენი სრული გაშიშვლება. პირადი დათვალიერების დროს, სხეულის ცალკეული ნაწილის დათვალიერება ვიდეო კამერის თვალთახედვის არეალში არ უნდა იყოს მოქცეული. ასევე დაკავების დრო ქალები უნდა განთავსდნენ განცალკევებით მამაკაცებისგან და პატიმრობა შეფარდებული ქალებისთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ჰიგიენური საშუალებები. ასევე თქვენ დაკავების დროს და დაკავების შემდგომ პერიოდში უფლება გაქვთ რომ მოითხოვოთ ადვოკატთან დაკავშირება, და ზარის განხორციელება უნდა უზრუნველყოს იზოლატორის ადმინისტრაციამ.

21 დეკემბერი - ათობით ათასი მოცეკვავე და რიგითი მოქალაქე ერთად ასრულებს ქართულ ხალხურ საბრძოლო ცეკვას - ხორუმს
ფოტო: კოკა ვაშაკიძე

ფოტო 1997 წლით თარიღდება — იმ პერიოდით, როდესაც სოლოლაკის ფერდობზე ერთდროულად ორი „ქართლის დედა“ იდგა. სავარაუდოდ, ფოტო გადაღებულია იმ მომენტში, როცა ძველი ქანდაკება ახალი მონუმენტით იცვლებოდა და ორი დღის განმავლობაში ორი „ქართლის დედა“ ერთმანეთის გვერდით იდგა.

მონუმენტის ავტორია ელგუჯა ამაშუკელი. ქანდაკების პირველი ვერსია სოლოლაკის ფერდობზე 1958 წელს დაიდგა, თბილისის 1500 წლის იუბილეს აღსანიშნავად. თავდაპირველად ხისგან შექმნილი სკულპტურა მოგვიანებით ალუმინით დაიფარა, ხოლო 1997 წელს 20-მეტრიანი „ქართლის დედა“ ახალი ვერსიით ჩანაცვლდა.

წყარო: ეთ.ჯი
ფოტო: ბ. ზურაბიშვილი

12 დღეში
ივანიშვილის რეჟიმმა
500-ზე მეტი ადამიანი დააკავა

300-ზე მეტი ადამინი
წამების და არაადამიანური
მოპყრობის მსხვერპლია

მარცხნივ:
საახალწლო სუფრაზე დემონსტრანტებმა ავტოგრაფები დატოვეს. მოგვიანებით, სუფრა შეინახეს და შემდეგ მსვლელობაზე საპროტესტო ბანერის სახით გამოფინეს.
ფოტო: კოკა ვაშაკიძე
მარჯვნივ:
აქციის მონაწილეების მიერ, საახალწლო სუფრის შემდეგ შეგროვილი ნარჩენები. რუსთაველის გამზ.
ფოტო: ეკა ელოშვილი

11 იან / 2025

სილა რეჟიმს

შეურაცხყოფის შემდეგ, ჟურნალისტმა, მზია ამაღლობელმა აჭარის პოლიციის უფროსს - ირაკლი დგებუაძეს სილა გააწნა
წყარო: ონ.ჯი
ვიდეო: ტვ იმედი

“ბათუმელების” და “ნეტგაზეთის” დამფუძნებელი და დირექტორი, მზია ამაღლობელი 11-12 იანვარს ორჯერ დააკავეს. პირველად სტიკერის გაკვრისთვის, რომელსაც ეწერა: “იფიცება საქართველო 15 იანვარს 15:00 საათზე”. მანამდე ამავე საბაბით აქციაზე დააკავეს კიდევ 9 ადამიანი. რამდენიმე საათში დაკავებულთაგან ოთხი — მზია ამაღლობელი, თეონა ბერიძე, ციალა ქათამიძე და ნანა შავაძე გაათავისუფლეს. მალევე აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მოულოდნელად ჩოჩქოლი ატყდა და მზია ამაღლობელი მეორედაც დააკავეს ორ სხვა პირთან ერთად.

ტელეკომპანია იმედის გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ მზია ამაღლობელი აჭარის პოლიციის უფროსს ირაკლი დგებუაძეს ელაპარაკება, ის ზურგს აქცევს ამაღლობელს, შემდეგ ამაღლობელი მკლავზე მოქაჩავს დგებუაძეს და სილას აწნავს, რის შემდეგაც მას აკავებენ.



15 იან / 2025

იფიცება საქართველო

ნინო მხეიძე საუბრობს გაფიცვის მნიშვნელობაზე
წყარო: ტაბულა

ძალიან მნიშვნელოვანია თვითონ გაფიცვა იმ თვალსაზრისით, რომ ამ გაფიცვასაც ერთადერთი მოთხოვნა აქვს, რომ უკანონოდ დაპატიმრებულები, რომლებსაც ბრალს ვერ უმტკიცებენ, არ არსებობენ მოწმეები, არ არსებიბენ დაზარალებულები და მაინც პატიმრობაში ამყოფებენ, ეს ადამიანები უპირობოდ უნდა გათავისუფლდენენ. ჩვენ ჯერ კიდევ ქვეყანა არ ვიფიცებით ალბათ ეკონომიკური პირობების გამო, არ ვიფიცებით სოციალური პირობების გამო იმიტომ, რომ ეტყობა ეს კულტურა ჯერ არაგვაქვს, მაგრამ ამ ჯერად ვიფიცებით უსამართლობის გამო... და ეს უსამართლობა აუცილებლად უნდა აღიკვეცოს...
და ის, რომ ამდენ ადამიანს აქვს უსამართლობის განცდა, უნდა დაფიქრდეს ალბათ ხელისუფლება, რომ რატო აქვს ამდენ ადამიანს... ვერ გვთვლიან მართალია და სულ ვეცოტავებით მართალია, მაგრამ ჩვენი რაოდენობა იზრდება და იზრდება, ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია...



იფიცება საქართველო - პოსტერი

16 იან / 2025

სოლიდარობა მზიას

ნინო ზაუტაშვილი, დაკავებული ჟურნალისტის, მზია ამაღლობელის სოლიდარობის აქციაზე
წყარო: ნეტგაზეთი

საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ, დღეს რვა საათზე დაიწყო მზია ამაღლობელის – ბათუმელებისა და ნეტგაზეთის დამფუძნებლის სოლიდარობის აქცია... წარმოდგენილია ძალიან ფართო სპექტრი ჟურნალისტების, ძალიან ბევრი კოლეგა არის მოსული აქ იმისთვის, რომ დავიცვათ მზია ამაღლობელის უფლებები და მისი მხარდასაჭერა გამოვხატოთ... აი ეთერს ითხოვენ ეხლა. უნდათ რომ შევიდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და გამოხატონ მის მიმართ მხარდაჭერა. მითუმეტეს, რომ მე რამდენადაც ვიცი საზოგადოებრივი მაუწყებელის ყურების საშუალება აქვთ ადამიანებს, მათ შორის საპატიმროშიც... ძალიან გულსაკლავია ეხლა რასაც ვამბობ და ვერ წარმომიდგენია, რომ მზიაზე ვლაპარაკობ... ეს ადამიანი დღეს, ამ წუთას, ჩემი აზრით აბსოლუტურად უსამართლოდ, მას გაუხანგრძლივდა პატიმრობის ვადა და ორი თვე, მარტის თვის 4 რიცხვამდე, მას მოუწევს ასევე საპატიმროში ყოფნა... რაც იყო ძალიან მძიმე გადაწყვეტილება მასთან დაკავშირებით და რავიცი, ჩვენ ვთვლით რომ მაქსიმალური მხარდაჭერა უნდა იყოს გამოხატული მის მიმართ, რომ არავინ არასდროს არ დაისაჯოს ისე მწარედ, როგორც ეს მზიას შემთხვევაში მოხდა. და უსამართლოდ, მე ასე ვიტყოდი. და ზოგადად სანამ არ იქნება სამართლიანობა, სიმშვიდე არ იქნება...

რომელ კანონიერ მოთხოვნას?

მარიამ სიჭინავა, ზუგდიდის პოლიციის შენობის წინ აპროტესტებს ახალ აკრძალვას, ფოერვერკის გამოყენების შესახებ.
-
რამდენიმე დღით ადრე, "ქართულმა ოცნებამ" საჯარო სივრცეში ნიღბის ტარების აკრძალველი კანონი გამოსცა.
-
სიჭნავა ორივე მათგანის გამო დააკავეს. მის ერთერთ სასამართლოზე, ის ზედაპირზე დაბეჭდილი ივანიშვილის სახიანი ნიღბით მივიდა.
ტვ პირველის ეთერი

- შეგიძლიათ ვიდეობი ჩამიგდოთ? – პოლიცია უღებს სანამ სიჭინავა ფოერვერკებს ისვრის

- წამობრძანდით - ოფიცერი

- რატომ?

- წამობრძანდით პოლიციაში

- რატომ მიგყავართ?

- თქვენ დაკავებული ხართ

- რისთვის ვარ დაკავებული

- გაუწიეთ წინააღმდეგობა პოლიციელს

- სად გაგიწიეთ აბა წინააღმდეგობა, მითხარით?

- არ დაემორჩილეთ კანონიერ მოთხოვნას

- რომელ კანონიერ მოთხოვნას? განმიმარტეთ, რომელ კანონიერ მოთხოვნას... მოვდივარ დედას ვფიცავარ, არ გაგიწევ წინააღმდეგობას, უბრალოდ მითხარი რომელ კანონიერ მოთხოვნას არ დავემორჩილე

23 იან / 2025

მანიფესტი

ნანკა კალატოზიშვილი კითხულობს ახალი თეატრის მანიფესტს — სპექტაკლის რეგიონალური ტურნეს შემდეგ, მისი რეჟისორი - დავით დოიაშვილი კულტურის სამინისტრომ თანამდებობიდან გაათავისუფლა



ლიკა გუნცაძე - პოლიტპატიმრის - ანდრო ჭიჭინაძის დედა, იმავე სპექტაკლის პრემიერაზე, რომელიც ღია სივრცეში, თეატრის შესასვლელთან გაიმართა და ყველა ოპოზიციური არხის მეშვეობით პირდაპირ ეთერში გადაიცა.
ვიდეო: ბუთა ორჯონიკიძე

რეალობას გავუსწოროთ თვალი და ხმა მაღლა ვილაპარაკოთ იმაზე, რაზეც ლაპარაკი ბევრს ერიდება, თითქოს დამნაშავეები ვიყოთ. დამამცირებლად მიგვაჩნია თუ კი ვიტყვით, რომ გვშია, გვწყურია, არ გვაქვს წამლის ფული... არ გვაქვს სწავლის ფული... გვიჭირს ოჯახების რჩენა... ეს სიღარიბეა, პრობლემა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით და მერე თავად ვუწყობთ სახელმწიფოს ხელს, რომ ვერ დაგვინახოს... გვერდი აგვიაროს, ჩვენი სიამაყოთ ისარგებლოს... არადა აქ, ამ ქვეყანაში ყოველი მეოთხე ბავშვი საარსებო შემწეობას იღებს... აქ, ამ ქვეყანაში, მაღალი ტრიბუნიდან, ეკონომიკურ წინსვლაზე გველაპარაკებიან... ცხოვრების დონის ამაღლებაზე... ვერც ამჩნევენ სამათხოვროდ გაწვდილ, გალეულ ხელებს...

აქ, ამ ქვეყანაში ბედავენ და არ ერიდებათ ოლიგარქის ქონებაზე იღელვონ და თქვენც გაიძულებენ ამაზე იდარდოთ... ტყუილებით გაბრუებენ და არც კი აღელვებთ, როგორ ირჩენს თავს უაღრესად გაჭირვებული ადამიანი და როგორ არჩენს მის ოჯახს იმიტომ, რომ სახელმწიფოსთვის ესეთი ადამიანები დიდი თავის ტკივილია... იმიტომ, რომ გაჭირვებული ადამიანები მათ მხოლოდ წინასაარჩევნოდ ახსენდებათ... ისიც დროებით, სანამ გაიმარჯვებენ...

აქ, ამ ქვეყანაში უმუშევრობას სპეციფიური მეთოდებით ებრძვიან... კი, რეალური ქარხნები ვერ აამუშავეს, თუმცა წარმატებით ხსნიან სამუშაო ადგილებს თავისივე შექმნილ ტროლ-ბოტების ქარხნებში... აქ, ამ ქყვენაში ფულის სანაცვლოდ, ენერგიას ახარჯინებენ ერთმანეთის ლანძღვაში... ზიზღს თესავენ, რადგან სინამდვილეში ეშინიათ, რომ რეალურმა ბრაზმა სადმე არ გაიელვოს სამართლიანი მოთხოვნით... აქ, ამ ქვეყანაში ბედნიერები იქნებიან თუ კი გავქრებით, აღარ ვიარსებებთ, თავს არ შევახსენებთ გაუთავებელი პრობლემებით, გაძვირებვული ფასებით, უმუშევრობით... ურჩევნიათ ყურადღება სხვა რამეზე გადაგატანინონ... ოღონდ არავინ ილაპარაკოს რეალურ პრობლემებზე... ოღონდ არავის წამოცდეს და არავინ დაძრას კრინტი სიღარიბეზე. აქ, ამ ქვეყანაში 600 ათასზე მეტი ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას... ამ ქვეყნისთვის ეს წარმოუდგენლად დიდი ციფრია იმისთვის, რომ ვერ დაინახონ... იმისთვის, რომ ვერ გაიგონონ... იმისთვის, რომ ეშინოდეთ ამ ადამიანების ხმის ამოღების... აქ, ამ ქვეყანაში იღებენ კანონებს, რომელიც ყველა ჩვენგანის დადუმებას ისახავს

მიზნად. არადა, როგორ უნდა დადუმდეს ყოველი მერვე მოქალაქე, რომელიც სიღარიბის მიღმაა. აქ, ამ ქვეყანაში პენსიონერს პენსიას 35 ლარით უზრდიან და მადლობას ელიან მაშინ, როდესაც თავად ათასებსაც არ სჯერდებიან... აქ, ამ ქვეყანაში ბავშვი შემწეობად ორას ლარს იღებს... თუმცა პრემიერ მინისტრი 14600 ლარამდე იზრდის ხელფასს. მარჩენალ-დაკარგულს ეუბნებიან, რომ თვეში ასი ლარით უნდა დაკმაყოფილდეს. თუმცა პარლამენტის თავმჯდომარე თვეში 14600 ლარამდე იზრდის ხელფასს... მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებისთვის 195 ლარს იმეტებენ, როცა პარლამენტარს 11680 ლარამდე უზრდიან ხელფასს... აქ, ამ ქვეყანაში ომის ვეტერანებს, იმ ქვეყნის ბიუჯეტიდან, რომლისთვისაც იბრძოდნენ... რომლისთვისაც თავს აკლავდნენ – 100 ლარს სთავაზობენ და იქვე მინისტრები – 12410 ლარამდე იზრდიან ხელფასს. აქ, ამ ქვეყანაში, ამ ქვეყნის დევნილებს, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სადღეგრძელოების მთქმელნი – 45 ლარად აფასებენ... თუმცა საპენსიო სააგენტოს დირექტორს ხელფასს – 14500 ლარამდე უზრდიან... ეს სია გრძელია... თუმცა ეს სია არც თქვენთვის, არც ჩვენთვის არ არის. მხოლოდ საკუთარ თავზეა გათვლილი ისევე, როგორც მათ მიერ მიღებული ყველა კანონი.

მათ ქვეყნის წინაშე დანაშაეულისთვის ასანქცირებენ... და ახალი კანონით ისევ ჩვენ გვძარცვავენ... დასანქცირებულ მილიონერს ისევ ჩვენი ფულით სთავაზობენ დახმარებას... და მერე ყველას ჩვენ, აი ამ ყველაფერზე გვეუბნებიან – გიხაროდენ... აქ, ამ ქვეყანაში ხელისუფალთ ბიუჯეტი საკუთრად მიაჩნიათ. საჯარო მოხელე მონად, რომელიც თავის ხელფასის საფასურის ფასად უნდა დადუმდეს და იყოს მორჩილი. საჯარო მოხელის ხელფასი – ქრთამი არაა... და არც სახელმწიფო ბიუჯეტია ვინმეს პირადი ჯიბე... აქ, ამ ქვეყანაში ხელისუფალნი საკუთარ ხალხთან ომით დაკავდნენ... ომით, რომელსაც მშვიდობად ასაღებენ... ასეთ ომში და მშვიდობაში სიღარიბე აბა რა მოსატანია... სიღარიბე არაა სამარცხვინო... სამარცხვინო სიღარიბემდე ამ ადამიანების მიყვანაა.

ხოდა ეხლა ადექი და კითხვა დასვი: რატომ არის მტერი ყველა, ვინც ამაზე იწყებს ლაპარაკს? დასვი კითხვა: რაში ჭირდება და რაში აწყობს ხელისუფლას ღარიბი ხალხი? მე არ მენდო, დასვი კითხვა, მიმოიხედე და საკუთარ თავს დაუჯერე... და მიხვდები, რომ მოვიდა დრო ხმა ამოიღო და თქვა, რომ სოციალურ პრობლემებზე ჩვენ აღარ გავჩუმდებით... ეხლა ჩვენი დროა ვუთრათ – გიხაროდენ, ჩვენ გავიღვიძეთ, არ გავჩერდებით, არ გავჩუმდებით, არ დავიღლებით იმიტომ, რომ ჩვენ ვართ საქართველო და ეს ქვეყანა – ჩვენია!

23 იან / 2025

მკვლელი ხარ

პოლიტიკურმა პატიმარმა, გიორგი ახობაძემ, საქმის პროკურორს - დედამისის სიკვდილზე პასუხისმგებლობა დააკისრა. ახობაძე ნარკოტიკების შენახვის მუხლით იყო დაკავებული, თუმცა ვიდეო მტკიცებულებებისა და მოწმეების არ ყოლის გამო, ის ექვს თვიანი პროცესის შემდეგ, უდანაშაულოდ გამოცხადეს.

მიმართვა მინდა ამხანაგი გობეჯიშვილის მიმამართ... როდესაც მან წინა პროცესზე აღკვეთი ღონისძიება მოითხოვა ჩემს მიმართ, მის განხორციელებული მოქმედება, ჩემი მხირდან, შეიძლება ეს სუბიექტური არის, შეფასებული არის როგორ მკვლელობა... მე შენ გთვლი მკვლელად ამხანაგო გობეჯიშვილი და რატომ... იმიტომ არა, რომ დედაჩემი დღეს ცოცხალი არ არის და საფლავში წევს... იმიტომ, რომ შენ დედაჩემს, პალიატიურ პაციენტს...

განვმარტავ: პალიატიური პაციენტი, არის ის პაციენტი, რომელსაც აქვს მძიმე ქრონიკული დაავადება, რომლის გამოსავალიც არის არა კეთილ-საიმედო და ის ცხოვრების ბოლო დღეებს ან თვეებს გადის... აი ესეთ პაციენტს, თქვენ როდესაც მე – როგორც ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, მაღალი კომპეტენციის... და მე თამამად შემიძლია ვთქვა, არა მარტო ამ ქვეყანაში, მათ შორის პლანეტარული მასშტაბის, ნებისმეირ ჩემს კოლეგას შემიძლია გვერდზე დავუდგე და შევეჯიბრო ციოდნაში, გამოცდილებაში და უნარჩვევებში...

მე და ჩემი მეგობარი, რომელიც გარეთ მელოდება, მეხმარებოდა საერთო საქმიანობაში... ორად ორი კონტაქტი ჰყავდა ესეთ პაციენტს... ესეთი პაციენტები არიან მოწყვლადი ნებისმიერი დამატებითი ჯანმრთელობის პრობლემის მიმართ... ნებისმიერმა ვირუსულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს მათი გარდაცვალება... აი მხოლოდ ამ მომენატმდე გთვლით თქვენ, თქვენი გადაწყვეტილების და მოთხოვნილი აღკვეთი ღონისძიების გამო მკვლელად იმიტომ, რომ იძულებული გავხდით ჩვენ, რომ გადაგვეყვანა იმდენ კონტაქტის მქონე ადგილას...

მართალია ეს ჰოსპიტალია, მაგრამ მე ჩემს კომპეტენციიდან გამომდინარე იგივე პირობები სახლში მქონდა შექმნილი... ჰოსპიტალში ხუთი ცვლა მუშაობს ექთნების, ხუთი ცვლა მუშაობს ექიმების... დაახლოვებით ორმოც კაცამდე არის ლაპარაკი... ადმინსტრატორები, რეგისტრატორები, თანმხლები პირები, რომლებიც მოდიან სანახავად პაციენტების... თქვენ გაზარდეთ პაციენტის ავადობის და სიკვდილობის რისკი... აი ამიტომ ხართ, თორემ მერე მიზეზ-შედეგობრივად რა მოხდა, თქვენგან განსხვავებით მე სიმართლის და სამართლის მხარეს ვარ... და არ ვიკადრებ იმას, რომ ის დაგაბრალოთ, რაც თქვენ არ გაგიკეთებიათ...

და ის რაც მე შემოგთავაზეთ აღკვეთის ღონისძიების ალტერნატივად... ერთ რაღაცას ვიტყვი მხოლოდ, ვიქნებოდი მე მისამართზე საბურთალოზე, თუ ვიქნებოდი მე გლდანში... დანარჩენი ყველა თავისუფლება, რომელიც შეიძლებოდა შეზღუდულიყო ჩემი აღკვეთი ღონისძიებით გლდანში, ზუსტად იგივე და მათ შორის შემოგთავაზეთ, თუ კი რამე კიდე არის, ის რაც გამომრჩათქო, დაამატეთ და შევასრულებთქო.

არცერთი არ გაითვალისწინეთ და არ მომეცით საშუალება მიმეხედა დედაჩემისთვის. მათ შორის არ მომეცით საშუალები ჩემი ცხოვრების მთავარი პაციენტისთვის გამეწია ის დახმარება, რომელიც აბსოლუტურად ყველა პაციენტს აქვს ჩემი პრაქტიკის მანძილზე გავლილი... არცერთი პაციენტი არ გამიშვია ამ ქვეყნიდან იმ დამატებითი ძალისხმევის გარეშე, რომელიც ყველა სამედიცინო პროტოკოლს ცდება გარეთ. და შეიძლება ზოგ შემთხვევაში ჩემმა კოლეგებმა წყლის ნაყვად შემიფასონ, მაგრამ კონკრეტული ადამიანები დადიან დღეს დედამიწაზე, რომლებიც მხოლოდ იმიტომ არიან ცოცხლები რომ მე ორმოცი წუთის მაგივრად, ორი საათი არ შევწყვიტე მათი დახმარება. დღეს ეგ კონკრეტული ადამიანები ცოცხლები დადიან... პატარა ბავშვები იყვნენ, რომლებიც დღეს თინეიჯერები არიან...

თქვენ, თქვენი დაუსაბუთებელი და უსისხლო, საერთოდ უგრძნობი გადაწყვეტილებით, როცა შეგეძლოთ ეს ყველაფერი სხვნაერადაც მიგეღოთ, არ მომეცით საშუალება ჩემი ცხოვრების მთავარ პაციენტთან ზუსტად იგივე ნაბიჯები გადამედგა, რომელიც თითოეულ ჩემს პაციენტს აქვს მიღებული და ამიერიდანაც მიიღებს...

ცეცხლი ოლიგარქიას - თაკო ხელაძის პორტრეტი, რომელიც ღია ეთერის მოთხოვნით საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ყოველდღიურ მარშს უძღვებოდა ავტორი: თამუნა ბუდაგაშვილი

25 იან / 2025

შიმშილობის მე-14 დღეს იწყებს

ნობელის პრემიის ლაურეატის მარია რესსას გამოსვლა ვატიკანში

პროტესტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს — ვენესუელიდან მოზამბიკისა და საქართველომდე, სადაც მასშტაბური საპროტესტო აქციები დაიწყო გასულ წლის აპრილის შუა პერიოდში. დეკემბრიდან კი პროტესტები ყოველდღიურ ხასიათს ატარებდა, ხოლო დღეს საქართველოში მასობრივი საპროტესტო აქციები ქუჩებში 60-ე დღეა მიმდინარეობს.

ჟურნალისტებს და აქტივისტებს ძალადობით ემუქრებოდნენ და დააპატიმრეს. ერთმა ჟურნალისტმა ჩემი წიგნი მიიტანა სასამართლოზე — სათაურით: როგორ დავამარცხოთ დიქტატორი. საგამოძიებო ჟურნალისტი მზია ამაღლობელი დღეს იწყებს შიმშილობის 14-ე დღეს ციხეში. მან თქვა: „არ შემიძლია სიჩუმით გვერდზე დგომა.“

27 იან / 2025

შიმშილობის მე-16 დღე

მზია ამაღლობელის სოლიდარობის ნიშნად, “ბათუმელების” მთავარმა რედაქტორმა - ეთერ თურაძემ, ღამე პარლამენტთან გაატარა და სოციალური ქსელებით პირდაპირ ეთერში გადასცა.
ვიდეო ფეისბუქის ლაივიდან

მზია ამაღლობელი მის სასამართლო პროცესზე ხელში წიგნით: „როგორ დავამარცხოთ დიქტატორი“

2 თებ / 2025

დემონსტრანტ ქალებს პოლიციელი ას ლარიანებს უწოდებს
წყარო: დაფიონი

ას ლარიანები

- მუნდირი გაცვია და ქალს ეუბნები ას ლარიანები ხართო... ვინ არის ბიჭო ას ლარიანი? გადამიღე ეხლა, გადამიღე ეხლა, რო დაიმახსოვრო ვინ ვარ! სამი შვილის დედა ვარ, გაიგე?

- არ გრცხვენია? ას ლარიანებს გვეძახდი?

- შენნაერებს არ ვაჭმევ ამ ქვეყანას. ნუ იცინი კიდე, ნამუსი იქონიე!



გამოუძიებელი თავდასხმების სერია

- გენეტიკაში გაქვთ მოღალატეობა? კარგად დაიმახსოვრეთ ეს სახე... რამდენი გადაგიხადეს? არ გადაგიხადეს? ქეში არ მოგაქვთ ხოლმე, თუ გერიცხებათ თქვენ? ვის გადახდაზე ლაპარაკობთ თქვე მოღალატე... ვის უხდიან? თქვენ არ გიხდიან? თუ თქვენ უფრო ქეშად იღებთ ხოლმე. მოღალატე! – კვერცხებს ესვრიან... მონა შენ, შენი დედას შევეცი – აგრძელებენ კვერცხების სროლას...

– მოღალატე, მონა ხარ. ესე გარბის მონა, ეს არის მონის ხვედრი. ვერასდროს ვერ მიაღწევთ იმას, რო თავისუფლად დადიოდეს თვქნნაერი მონა, გასაგებია – გრძელდება კვერცხის სროლა.

ზურაბიშვილი პირად დაცვასთან ერთად მანქანაში ჯდება.

ეს დაბალი ხარისხის ვიდეო კადრები, თავად თავდამსხმელების მიერ არის გავრცელებული. მცირე ჯგუფი, საქართველოს მე-5 პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს აეროპორტში დახვდა და შეურაცხყოფასთან ერთად, კვერცხები დაუშინა. კამერების მიუხედავდ ეს და სხვა საქმეები ჯერ ისევ გამოუძიებელია

მიჯაჭვული პრომეთე

ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე გრძელი წუთები. ყველაფერი, რაც ბოლო დროს გამოვიარე, თვალწინ ჩამიფრინდა. დიდი ხანია სცენაზე არ ვყოფილვარ და მორალურად უბრალოდ ვერ შევძლებდი გამოსვლას ამ პროტესტის გამოხატვის გარეშე. ჩემს სოლიდარობას ვუცხადებ სინდისის ყველა პატიმარს. მე ყოველთვის, ყველგან და ნებისმიერი ფორმით გამოვხატავ ჩემს გულწრფელ პოზიციას. სიტყვის თავისუფლების გარეშე მე უბრალოდ ვერ ვიცხოვრებ.



ანა ამილახვარმა - "მიჯაჭვული პრომეთეს" დასრულების შემდეგ, რუსთაველის თეატრის სცენაზე, სინდისის პატიმრებს სოლიდარობა გამოუცხადა. აქციიდან მალევე, ის როლიდან გაათავისუფლეს. იგივე ბედი ეწიათ, მსახიობებს სხვა თეატრებშიც.
მაისურზე:
თავისუფლება სინდისის პატიმრებს

6 თებ / 2025

ამათი დასაჩაგრი ვინაა?

შორენა გაბუნია,
ეთო ბიჭიკაშვილზე

ეს გოგონა და სხვა გოგო-ბიჭები, ყოველდღე, მთელი აქციის განმავლობაში დგანან ხოლმე რუსთაველის თეატრის მხარეს ასე, დროშებით. კიდევ თორნიკეც აქაა ხოლმე, ჩვენი სალამურა, და ჰიმნს უკრავს. ჰოდა, ახლა ამ ადგილას უჩვეულო ხალხმრავლობა შევნიშნე. მივედი და შევიტყვე, რომ თურმე ეს ძუნძგლიანი მილიციელები ამ გოგონას ადგილიდან აძევებდნენ, მაგრამ ხალხი რომ მივიდა ადგილზე, ასე ნაგვად მიეყარნენ.

ჰოდა: ამათი დასაჩაგრი აქ ვინაა?!

9 თებ / 2025

უკანონო მოსმენები

ნინა მაჩაბელი, ჟურნალისტებისა
და პოლიტიკოსების უკანონო
მოსმენებზე საუბრობს
მთავარი არხის ეთერი

ის, რომ რეჟიმი უკანონოდ გვისმენს ეს არ არის ახალი. ამას მოწმობს ის მასალები, რაც სუსიდან გავრცელდა რამდენიმე წლის წინ. აქ იყო გაშიფრული ჩვენი და ჩვენი კოლეგების საუბრები. ასევე ჩვენი და ჩვენი რესპოდენტების საუბრები... თბილისის პროკურატურამ დაზარალებულად გვცნო, მაგრამ არ დაუსჯიათ ის პირები, რომლებიც ამავე მასალებში აგენტებად იყვნენ მოაზრებულები. მათ შორის მობილურის ტელეფონის ნომრები ვიცოდით ამ ადამიანების. რამდენიმეს ჩვენც კი მივაკვლიეთ, მაგრამ პროკურატურას საბოლოოდ არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ გამოეძიებინა ეს საქმე სრულფასოვნად. მხოლოდ ის ქნეს, რომ ჩვენ მოგვანიჭეს დაზარალებულის სტატუსი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და ის, რომ რეჟიმი უკანონოდ კვლავ აგრძელებს ჩვენს მოსმენას, ჩვენი ექსპერიმენტითაც დადასტურდა. მხოლოდ ჟურნალისტებს არ გვისმენენ, უსმენენ პოლიტიკოსებს, სასამართლოს აქტივისტებს და ყველას პრინციპში, ვინც ქართული ოცნებისთვის და ამ რეჟიმისთვის არის მიუღებელი

ვალენტინობის დღისთვის ქალებმა სარკეების ჰერფორმანსი გამართეს — ისინი პოლიციის თანამშრომლებს სარკეებით პირისპირ დაუდგნენ, რომლებიც სამართალდამცველებს საკუთარ გამოსახულებას აჩვენებდა. თითოეულ სარკეზე გამიზნული გზავნილი იყო დატანილი.

ჯარიმა

შენ ქალს შეაფურთხე და ის ციხეშია

ფოტო: მაკუნა გოჩიაშვილი

ვითხოვ თავისუფლებას

ცივი და თოვლიანი ამინდის მიუხედავად, 74 წლის მზისა გაბეშია მარტვილის მუნიციპალიტეტის შენობის წინ უწყვეტ პროტესტს აგრძელებს.

— ყველა ამინდში ვდგავარ იქ და ვაპროტესტებ. ვითხოვ მზიას და ყველა პატიმრის გათავისუფლებას. დიახ, ვითხოვ უდანაშაულო დაკავებულებისთვის თავისუფლებას — სამართლიანობა მინდა. ადამიანები სიკვდილის ზღვრამდე მიიყვანეს და არავინ დასჯილა. ყველამ ერთად უნდა დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას.

პირველად ბათუმელებმა მოკლე ცნობა გამოაქვეყნა მზისა გაბეშიაზე — პენსიონერზე მარტვილიდან. მოგვიანებით იგი პროტესტის და წინააღმდეგობის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა; და მასზე სიუჟეტი თითქმის ყველა წამყვანმა ტელევიზიამ და მედიასაშუალებამ მოამზადა.
ფოტო: სალომე ქინქლაძე

23 თებ / 2025

ცაროს შესახებ

დათო სიმონიას პორტრეტი ცარო ოშაყმაშვილსა და პოლიტპატიმარ - არჩილ მუსელიანცზე.

რეჟიმის ტყვეებს აქციებზე ოჯახის წევრები წარმოადგენენ. არჩილ მუსელიანცს არავინ ჰყავდა, ვისაც შეიძლებოდა დაეჭირა ბანერი მისი გამოსახულებით, დასწრებოდა სასამართლოებს ან ესაუბრა ჟურნალისტებთან რეგიონში გაზრდილ ობოლ ბიჭზე, რომელიც კამერის დაზიანებისთვის დააკავეს.

ეს როლი ცარომ იკისრა. სახელდახელოდ დაამზადა ტრანსპარანტი პატიმრის ფოტოებით და ცდილობს, ბიჭს გააგებინოს, რომ ის ახსოვთ. ცარო მიყვებოდა, არჩილი აქციებზე გავიცანი და მეუბნებოდა, მომკითხავი არავინ მყავს, თავს არ დავზოგავო. თავი მართლა არ დაზოგა, მაგრამ ამასობაში მომკითხავი გაუჩნდა.

ასე შეიძინა დედობილი ობოლმა პატიმარმა, რომელსაც ციხიდან გამოუგზავნა საკუთარი ხელით დახატული საქართველოს დროშა და გალაკტიონის ლექსი:

“ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...

დროშები ჩქარა!”

25 თებ / 2025

წერილი მამას

საყვარელო მამა

მე ჯერ-ჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისგან 112 ვერსზე ვართ. მეორისგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან.

ცოტა თხილი და თუ შესაძლებელია რამე ტკბილეული გამოგზავნეთ. თავს გაუფრთხილდით, გკოცნით ბევრს. ისე არა ცივა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეშინიათ. გავიმარჯვებთ სახელოვნად.

-

სპორტული საზოგადოება "შევარდენის" მარში, 26 მაისი 1919

რამდენიმე წელიწადში საბჭოთა რეჟიმი "შევარდენს" ანტი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გამოაცხადებს და დაშლის. მარო მაყაშვილიც მათი წევრი იყო

მარო მაყაშვილის წერილი მამას ფრონტის ხაზიდან. მეორე დღეს, 1921 წლის, 19 თებერვალს - 19 წლის სტუდენტი, წითელი არმიის აფეთქებულმა ყუმბარამ იმსხვერპლა

2015 წელს, მარო მაყაშვილის, საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა

8 მარ / 2025

ბოლომდე ვიყვირებ

ეს ვრცელი ჩანაწერი 8 მარტის ღამის სცენას ასახავს — ქალთა საერთაშორისო დღეს, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებით აღინიშნება. თუმცა თავად სცენა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ეპყრობა პოლიცია ქალ დემონსტრანტებს. საგულისხმოა, რომ მოვლენები უშუალოდ გდდ-ს შესასვლელთან ვითარდებოდა. წყარო: ია მელითაური

- აბა კაცებივით მოვიქცეთ, კაცებივით – ღამეა, 8 მარტი უნდა გათენდეს. ისმის ხმა და ფონზე შავებში ჩაცმული თანამშრომლები ჩანან

- ხარებას ელაპარაკე ეგრე – ყვირის მეორე ხმა, კადრს მიღმა

- დედას შევეცი თქვენი – ისმის კაცის ხმა

- მადლობა

- დავი თქვენზე, ორჯერ შენ, ორჯერ

- კიდე მიდი ბიჭო...

- ნამუსი არ გაქვს ბიჭო? კაცი გგონია შენი თავი?

ერთი გოგო უახლოვდება ჩანთით და რაღაცას ეუბნება. - დავაი გააჯვი აქედან - ისმის კაცის ხმა და გოგოს ქეჩოთი ათრევს.

- ხელი ბიჭო, ხელი ბიჭო – ისმის ქალის ხმა ახლოდან

- ვის აგინებ, შენ კაცი გგონია შენი თავი – ჩხუბობს გოგო, რომელიც გამოათრიეს. გარშემო შავებში ჩაცმული თანამშრომლები დგანან. რამდენიმეს ნიღაბი უკეთია – შენ ხარ ჩმორი, იუბკა უნდა ჩაგაცვა – აგრძელებს ეს გოგო

- ქალის გარდა ყველაფერი ხარ – პასუხობენ იქიდან

- დედაშენს ელაპარაკე ეგრე, უზრდელო შენ

- დაწყნარდით, დაწყნარდით – მოდი სხვა რამდენიმე ადამიანი, რომელიც მოშორებით იდგა.

- ისინი დააწყნარეთ

- დაწყნარდით

- დაწყნარდით კი არა ამოვიდნენ ყელში. სახლში ელაპარაკეთ ქალებს ეგრე

- გაიარეთ

- გვაგინებენ და კიდე ჩვენ უნდა გავიაროთ?

- ნუ წივიხარ, ხო ხედავ...

- რას ქვია, გვაგინებენ. როგორ არ უნდა ვიწივლო

- ნუ წივიხარმეთქი

- ხელს რო არ ვურტყავ არ გიკვირს? რას ქვია ნუ ვწივივარ

- მიბრძანდით

- ნუ გვიწყვიტავთ სად გავივლით

- ნუ კივიხარ გოგო

- ჩემი მიწაა, ეს არის ჩემი მიწა, მე ვარ ქართველი

- მაგრა იყვირე კიდე, ეუბნება კეპკიანი ოფიცერი, რომელსაც კეპკაზე ლათინურად პოლიცია აწერია

- კიდე ვიყვირებ, კიდე, ბოლომდე ვიყვირებ

- კიდე უფრო ხმა მაღლა იყვირე...

- დედის მუტელი რატო მაგინე, როცა წყნარად ვიდექი – სხვას მიმართავს

- გაიმეორე, კიდე გაიმეორე – ხელის გაშვერით პასუხებს ერთერთი

ქალი პროტესტანტების პატივსაცემად თინა ცხადაძემ 8 მარტის დემონსტრაციისთვის სპეციალური საფოსტო ბარათები შექმნა და მონაწილეებს დაურიგა.

17 მარ / 2025

სახის დაფარვა აკრძალულია

ახალი შემზღუდავი კანონის მიხედვით, დემონსტრაციის დროს სახის დაფარვა შესაძლოა 5 000 ლარამდე ჯარიმით დასრულდეს, მთავარი გამზირის გადაკეტვაში მონაწილე მომიტინგეების იდენტიფიცირებაში სახის ამომცნობ კამერებს დახმარების მიზნით. თუმცა, დემონსტრანტებმა ამას კრეატიულად უპასუხეს და, მათივე შეფასებით, აბსურდული და არალეგიტიმური კანონი, კარნავალის მსგავს მსვლელობად აქციეს.

ფოტო: დათო სიმონია

გაყინული ფონდები

ნანუკა ჟორჟოლიანი, მის საქველმოქმედო ფონდის ანგარიშის გაყინვაზე, რომელიც აქციაზე დაჯარიმებულებს, ჯარიმის გადახდაში ეხმარებოდა

დაყადაღებულია სხვა ფონდებიც.

prosperitygeorgia.org - ნიკა გილაურის ფონდი.

Human Rights House Tbilisi - თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

ფონდები, რომლებიც ბოლოს ძირითადად ჯარიმებს იხდიდნენ.

ბოლო ინფორმაციით ყადაღა მოითხოვა პროკურატურამ.

18 მარ / 2025

წყარო: ბათუმელები

არ ვაღიარებ

ნეტგაზეთისა და ბათუმელების თანადამფუძნებელი და დირექტორი მზია ამაღლობელი პატიმრობაში რჩება. აღნიშნული გადაწყვეტილება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვიქტორ მეტრეველმა მიიღო. განაჩენს სასამართლო დარბაზში ხმაური მოჰყვა:

- პუტინის სასამართლო“
- მონები
- სირცხვილი, სირცხვილი - სკანდირებდნენ შეკრებილი მოქალაქეები.

სასამართლო სხდომა დაახლოებით ცხრა საათს გაგრძელდა.

მე არ ვაღიარებ და არც ვაპირებ ბრალდების მიღებას. თავს უკანონოდ დაკავებულად მივიჩნევ. საბედნიეროდ, დიქტატურა ჩვენს სამშობლოში ჯერ სრულად არ გამყარებულა. ამიტომ მჯერა, რომ მე და სინდისის სხვა პატიმრები შევძლებთ ჩვენი უდანაშაულობის დამტკიცებას - მზია ამაღლობელის წერილი სასამართლო დარბაზიდან. ამ დროისთვის, მზია ამაღლობელის სასამართლო პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს.

19 მარ / 2025

ჟურნალისტები გზას კეტავენ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ OC Media-ს მულტიმედია ჟურნალისტი, მარიამ ნიკურაძე, რომელიც ამავე გამოცემის თანადამფუძნებელიც არის, „გზის გადაკეტვისთვის“ ორჯერ დააჯარიმა, ჯამში 10 ათასი ლარით. ისე, როგორც სხვა დღეებში, 11 და 15 მარტსაც ნიკურაძე ჟურნალისტურ საქმიანობას ასრულებდა, ეკეთა პრესის აღმნიშვნელი ნიშანი და ჰქონდა ფოტოკამერა, თუმცა პოლიციამ მაინც დააჯარიმა

როცა აქციებზე ვარ, ყოველთვის ჟურნალისტურ საქმიანობას ვასრულებ. ახლაც მეკეთა პრესის ბარათი, მქონდა კამერაც... – უთხრა მარიამ ნიკურაძემ რადიო თავისუფლებას

მარიამ ნიკურაძე „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში 2024“-ის ერთ-ერთი გამარჯვებულია. ის ყოველდღიურად აშუქებს დედაქალაქში მიმდინარე პროევროპულ აქციებს, რომლის მთავარი მოთხოვნებიც, ახალი არჩევნების ჩატარება და სისხლის სამართლის წესით დაკავებული ადამიანების გათავისუფლებაა

წყარო: რადიო თავისუფლება
ფოტო: მოსე

ეთო მადლობა

დღეს ბესიკის ქუჩიდან ჩამოვუხვიე რუსთაველზე აქციის მერე და პატრულის ეკიპაჟებთან რომ ვატრიალებდი, ეთო დავინახე საქართველოს დროშით, ყოველ დღე რომ ეკიპაჟებს შორის დგას და ყველას ამცნობს, რომ იმ დღესაც რუსთაველი პროტესტისთვისაა გადაკეტილი.

ფოტოს ვუღებდი ნაწვიმარი შუშის მიღმა, რომ აი, წვიმაშიც, ქარშიც და ავდარშიც ეთო არ გვღალატობს, სულ აქ დგას, რომ უცბად თავში დამარტყა, ეთოსთვისაც შემეძლო მენიშნებინა ჩემი მხარდაჭერა მანქანიდან და დავიწყე სიგნალი. ეთოს უცბად სახე გაუნათდა, გაეღიმა და ხელის ქნევა დაიწყო. მისმა ბედნიერმა სახემ სხვა შემართებით დამაბრუნა სახლში!

იმედი მაქვს, ეს სხვასაც ბევრჯერ გაუკეთებია ჩემამდე მაგრამ ვისაც ჯერ არა და ეთოსთან მანქანით მოხვდებით, აუცილებლად გააგონეთ თქვენი მხარდაჭერა, ეს ყველას გვჭირდება!

ეთო, მადლობა! შენი იმედი ნამდვილად მაქვს!



ნათია ბუკია
ეთო ბიჭიკაშვილზე

28 მარ / 2025

ანწუხელიძე უკვდავია

ანო ჯიშკარიანი პარლამენტის შენობის შესასვლელთან ბანერის ჭერის გამო დაკავებულ თამარ კურატაშვილზე.
პროტესტი თეა წულუკიანის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც რუსეთის არმიის მიერ ნაწამები გიორგი ანწუხელიძის სიკვდილი - ვიღაცის ეგოს დაკმაყოფილებას შეადარა
ფოტო: ლევან ზაზაძე

მინდა რომ პასუხი გამცეს ყველა იმ ადამიანმა, ვისაც ერთხელ მაინც უთქვამს - 'ყველა აქციის მონაწილე დასაჭერია', 'როგორ ექცევიან პოლიციელებს, ეგენი ყველა უნდა ჩააყუდო' - როგორ გიბრუნდებათ ენა ამის სათქმელად? როგორ გგონიათ რომ აქციის მონაწილები 'რევენ ქვეყანას და ეს მთავრობა ცდილობს დაალაგოს? დიქტატურა მეტი კი არაფერი არ არის, ყველა საწინააღმდეგო აზრის მქონეს იშორებენ და ეგ გგონიათ წესრიგის დამყარება?

ამ ვიდეოში მარტო მდგომ პლაკატიან გოგოს იჭერენ, რომელმაც სცადა გაეპროტესტებინა - თვითგამოცხადებული 'ომის მოსამართლე' თეა ამმაზრზენი წულუკიანის ჩატარებული დღევანდელი სხდომა. მაგის ყურებისას კი ვისაც გული არ აგერიათ მაგათზე ლაპარაკიც არ მაქვს...

29 მარ / 2025

ხოშტარიაც დააკავეს

წერს ელენე ხოშტარია იზოლატორიდან გამოგზავნილ წერილში
ცნობისთვის: ელენე ხოშტარია, გუშინ, 28 მარტს პროტესტის მსვლელობისას დააკავეს
წყარო: მთავარი

ყოველთვის ვერიდები ჩემი პირადი ემოციების ან შემთხვევების საზოგადოებისთვის თავს მოხვევას. განსაკუთრებით, როდესაც უამრავი ახალგაზრდაა რეჟიმის და წამების მსხვერპლი.

ამასთანავე, ამჯერად გადავწყვიტე, გაგიზიაროთ, ჩემი დაკავების დროს ჩადენილი დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, მე თუ ასე

მომექცნენ, უამრავ ადამიანს კიდევ უფრო უარესად შეიძლება მოეპყრონ. ეს არც სიახლეა და არც გასაკვირი, თუმცა, ასეთ შემთხვევებში, საჯაროდ საუბარი სოლიდარობა და ერთმანეთის დაცვა არის ბრძოლის იარაღი.

მოკლედ, დაკავების შემდეგ, პოლიციის განყოფილებაში (რამიშვილზე „შუშებიანში“), პოლიციელებმა ნინო ჩხარტიშვილმა და დავით ბოლოთაშვილმა, მას შემდეგ, რაც თანამშრომლობაზე ვუთხარი უარი, ზურგისკენ ხელები ბორკილებით მჭიდროდ შემიკრეს. შემდეგ ნინო ჩხარტიშვილმა და დავით ბოლოთაშვილმა ყბებზე და კბილებზე მომაყენეს დაზიანება. არ შეგარცხვინეთ მეგობრებო, „ოლე, ოლას“ სიმღერით მაგრად ვაწვალე და ვერც ვერაფერი დამაკლეს. კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი ეპიზოდი მოხდა დიღომში, დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ასევე ჩემი ნების საწინააღმდეგოდ პოლიციიდან გამოძახებული ბრიგადის მეშვეობით, ისევ უკან შემიკრეს ხელები. ორ პოლიციელს ვეჭირე (ნინო ჩხარტიშვილს, სალომე ლაშხიას და კიდევ ერთს) მეჭიდავებოდნენ და სრულად გამაშიშვლეს. ეს ძალადობრივი გაშიშვლების პრაქტიკა არის ადამიანის ღირსების შელახვისა და მათზე ფიზიკური ძალადობის უღირსი რუსული საძაგელი მეთოდი.

კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენი პრობლემის ფონზე, ჩემს თავზე გესაუბრებით, მაგრამ ჩავთვალე, რომ საქმეს ასე სჭირდება და ჩემს პირად დისკომფორტს გადავაბიჯე.

პოლიტიკური პატიმრის, ირაკლი მიმინოშვილის დედა, ღამეს პარლამენტთან ატარებს
ფოტო: საქართველოს სამსახურში

1 აპრ / 2025

ნუ იყურები უკან

ანი ქარქაშაძე, როგორც ყოველთვის პოლიციელებს მიერეკება
წყარო: კესო ქინქლაძე

ნუ იყურები უკან, ნუ გეშინია აქედან არავინ გესვრის – ანი ქარქაშაძე პოლიციელს – რამენაერად, აქეთკენ დასაცავები გამიხდებით მერე და არ იფიქროთ, რომ რომელიმე დაგიცვათ. თქვენს წინააღმდეგვე იქნება გამოყენებული, თქვენივე სიტყვები. ცრუ მოწმეები რო ხართ... ჩვენი ბავშვები რო ჩააჯინეთ ციხეში, სამშობლოს რო უღალატე და რუსეთს რო ემსახურები... თქვენ ეს კანონი მოგიბრუნდებათ უკან... რუსეთი არის ოკუპანტი, რუსეთმა დაიწყო ომი...

6 აპრ / 2025

შენი სახელით ვიბრძოლებთ

მარჯვნივ:
მაიკო მაჭარაშვილი პროტესტზე დროშით. მოგვიანებით მისმა მეგობარმა, ანანო სამუშიამ, საჯაროდ გამოთქვა ეჭვი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა მაიკოს გარდაცვალებას კავშირი ჰქონოდა დარბევების დროს გამოყენებულ ქიმიურ ნივთიერებებთან.
ფოტო: ანანო სამუშია

არ გიცნობდი მაგრამ ამავე დროს ძალიან ახლობელი იყავი. მთელი დღე შენზე ვფიქრობ და ვეკითხები განგებას რატომ? ჯოჯოხეთი და სამოთხე არსებობსო ამბობენ, ჰოდა შენ სამოთხეში წახვედი, რადგან აქ ჯოჯოხეთია. უსამართლო და უსინდისოა ეს ოხერი ცხოვრება. კარგად ლამაზო გოგო, შენი სახელით ვიბრძოლებთ ქალები

-

ანი ქარქაშაძე გლოვობს აქტივისტ მაიკო მაჭარაშვილის გარდაცვალებას — მისი სასამართლო-სამედიცინო დასკვნა ოჯახს ივნისში გადაეცა; თუმცა, თვეების შემდეგ საქმე კვლავ გამოუძიებელია, ხოლო მისი პირადი ნივთები — მათ შორის ტელეფონი — კვლავ პოლიციის განყოფილებაში ინახება.

9 აპრ / 2025

ორსულად ვარ, არ დამარტყა

წყარო: აშკარად
ფოტო: ელეფტერ ლაპაჩი / ეროვნული ბიბლიოთეკა
9 აპრილს დაღუპული 19 ადამიანიდან 17 ქალი იყო.

9 აპრილს მოკლული, ერთ-ერთი გმირი, ელისო ჭიპაშვილი 25 წლის იყო

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა სანიტრად

6 თვის ორსული გავიდა აქციაზე

იმ ღამით ვიღაც ბავშვისთვის დაურტყამთ რუსებს და იმას გადაეფარა. მერე თვითონ ელისოს მოუტრიალდა ის რუსი

არ დამარტყა, ფეხმძიმედ ვარო, უთხოვია

და იმას კიდევ უფრო გამეტებით დაურტყამს: „იშჩო ლუჩშეო!“ (მთლად უკეთესიო)
...
36 წლის თავზეც ამ ძალასთან გვაქვს საქმე, ოღონდ ქართული სახელებით

9 აპრილის სიმბოლო

ნანა მახარაძე - ქალი დროშით, 9 აპრილის ერთერთი სიმბოლო
ფოტო: მოსე

აქ შეკრებილ ადამიანებს ე.წ. მთავრობა უსამშობლოებს გვეძახის, მაგრამ შეგვეჯიბრეთ ჩვენ სამშობლოს სიყვარულში — 9 აპრილის სიმბოლო, ქალი დროშით, ნანა მახარაძე

ფოტო: სოფო აფციაური

პოლიტპატიმრების მშობლები 9 აპრილის მემორიალთან დარაჯობენ. მათ ღამე იქ გაათენეს, რათა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს არ მისცემოდათ ადგილზე მიახლოების შესაძლებლობა. სივრცესთან, რომელსაც ყოველწლიურად ტრადიციულად სტუმრობენ როგორც პოლიტიკოსები, ისე საერთაშორისო დიპლომატები.

10 აპრ / 2025

გააუქმეთ ჟურნალისტიკა

ჟურნალისტ ელისო ჯარიაშვილს გზის გადაკეტვაში ადანაშეულებენ
წყარო: პუბლიკა

„ფორმულას“ ჟურნალისტი, ტელეწამყვანი ელისო ჯარიაშვილი ამბობს, რომ შსს გზის გადაკეტვას ედავება. მისი თქმით, საქმე ეხება 12 მარტს, როცა უკვე გადაკეტილ რუსთაველის გამზირზე გადაცემისთვის მოქალაქეებთან ინტერვიუებს წერდა.

ჯარიაშვილი „პუბლიკასთან“ ამბობს, რომ შსს-ს წარმომადგენელმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ოქმი შედგენილია, თუმცა არ აცადა თქმა, რომ ის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა.

„კი აღარაფერი აღარ გვიკვირს, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო, ჟურნალისტურ საქმიანობას ვასრულებდი, უკვე გადაკეტილ რუსთაველზე ინტერვიუებს ვწერდი, ზუსტად მახსოვს ეს დღე, რომელზეც მედავებიან, 12 მარტია. [...] თუ ჩემი პოზიციას გაინტერესებთ და შეფასებაც, უკვე ბარემ პირდაპირ ჟურნალისტიკა გააუქმოს რეჟიმმა, ალბათ ჯობია ამდენ წვალებას, იმიტომ, რომ არაფერი არ გვაჩერებს სხვა, ხედავენ“, – ამბობს ელისო ჯარიაშვილი.

16 დაფიქსირებული შემთხვევა

წყარო: ნეტგაზეთი
მოგვიანებით თოზუ გულმამედლი ჰოლანდიის საელჩოსგან ადამიანის უფლებების ტიტით დაჯილდოვდა

“16 თებერვალს, “მაუწყებლის” რეპორტიორი თოზუ გულმამედოვა რუსთაველის გამზირზე საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. 8 აპრილს, შსს-ს წარმომადგენელმა მას დაჯარიმების თაობაზე აცნობა. ჟურნალისტს გზის გადაკეტვას ედავებიან.” – ავრცელებს ინფორმაციას “მაუწყებელი”.

თოზუ გულმამედოვის შემთხვევა პირველი არაა – აქამდე დაფიქსირდა 16 შემთხვევი, როდესაც პოლიცია ჟურნალისტებს, რომლებიც იმ დროს პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ, გზის ხელოვნურად გადაკეტვას ედავება.

13 აპრ / 2025

ქორწილი ციხეში

ავტორი: დათო სიმონია

11 აპრილს რეჟიმის ერთ-ერთმა ტყვემ, ირაკლი ქერაშვილმა და ქეთიმ ციხეში იქორწინეს. ხელისმომკიდეებად ბადრაგები ჰყავდათ. ათწუთიანი აღნიშვნის შემდეგ ირაკლი საკანში დაბრუნდა, ქეთი – ირაკლის გამოსახსნელ ბრძოლაში.
ეგრეა. ზოგ სიყვარულს გისოსები ვერ აკავებს, როგორც ირაკლის და ქეთის შემთხვევაში. ზოგ ტყვეობას გისოსები არ სჭირდება, როგორც ირაკლის დამტყვევებლების შემთხვევაში.

15 აპრ / 2025

სანქცირებული მოსამართლე

დაუშვებელია, სანქცირებულმა მოსამართლემ სასამართლო პროცესი წარმართოს — ელენე დევიძე, მათე დევიძის და ტვ პირველის ეთერი

პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ 2008 წელს ომი დაიწყო რუსეთმა...

ერთი წამი, ერთი წამი... – აწყვეტინებს მოსამართლე – მე გითხარით საწყის ეტაპზევე, საქმესთან დაკავშირებით შეგიძლიათ ისაუბროთ – მოსამართლე, კობა ჩაგუნავა

საქმესთან დაკავშირებით ვსაუბრობ... 1989 წლის 9 აპრილსაც არა-უცხოურმა ძალებმა, როგორც ამას ჩვენი თვითმარქვია და არალეგიტიმური ხელისუფლება ბოდავს, არამეტ რუსეთმა მოაწყო სასაკლაო საქართველოში, რუსთაველის გამზირზე... და თქვენ იმისთვის მიწერთ ჯარიმას, რომ ამ არალეგიტიმური დაჯგუფების აფსურდებს ვაპროტესტებ? იმისთვის მიწერთ ჯარიმას, რომ ჩემი 21 წლის ძმა უკანონოდ გამოამწყვდიეს ციხეში და რაღაც სისულელეებს ედავებიან? იმისთვის მიწერთ ჯარიმას, რომ სინდისის პატიმრების თავისუფლებას მოვითხოვ? თან მაშინ, როცა ამის კანონიერი უფლება მაქვს... გარდა ამისა, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ სანქცირებული მოსამართლე მასამართლებს.

ფაქტთან დაკავშირებით... ფაქტთან დაკავშირებით... კარგით თუ აგრძელებთ, მაშინ არ გსურთ ესე იგი სიტყვით სარგებლობა, რომელიც ფაქტს ეხება...

იმის თქმა მინდოდა, რომ არც თქვენი ჯარიმების მეშინია და არც არაფრის... ვერ შემაშინებთ, უსამართლო სასამართლოს უნდა ეშინოდეს ხალხის ძალის.

23 აპრ / 2025

ბედნიერ აღდგომას

ფოტო: სოფია ტაბატაძე

ბედნიერ აღდგომას, თუ მას შეიძლება ბედნიერი ეწოდოს საქართველოში - სოფია ტაბატაძე დღესასწაულს ტრადიციულად შეღებილი სააღდგომო კვერცხების ფოტოს გამოქვეყნებით გამოეხმაურა — თუმცა მათზე გაკეთებული საპროტესტო სლოგანები, თეთრი ფერის ფლომასტერით დაფარა. იმავე ფორმით, როგორითაც პოლიტიკური გზავნილები თბილისის კედლებიდან იშლებოდა. მოგვიანებით მან ეს ვიზუალური ენა, ღია ბარათების სერიად გარდაქმნა და მას „ახალი ქართული ანბანი“ უწოდა. ბარათების გაყიდვიდან მიღებული თანხა მთლიანად მოხმარდა დაჯარიმებულთა დახმარებას.

ჯარიმა არასწორი პარკირებისთვის

8 მარტს დავჯარიმდი მანქანის არასწორი გაჩერებისთვის, 5000 ლარით. არ მყავს მანქანა. ქეთევან ქერაშვილი – პოლიტპატიმრის, ირაკლი ქერაშვილის და

შეურაცხყოფა არაა - ფაქტია

ალბი კორძაია ერთ-ერთია მათ შორის, ვინც 12 აპრილის ღამეს თეა წულუკიანის სახლთან პროტესტის ნიშნად მას შემდეგ მივიდა, რაც თეა წულუკიანმა რუსთავი 2-ის ეთერში საქართველოს ეროვნულ გმირს, გიორგი ანწუხელიძეს „ვიღაცის ჰიარისთვის უაზროდ გაწირული“ უწოდა.
წყარო: ბათუმელები

აქტივისტი ალბი კორძაია ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ თეა წულუკიანის შეურაცხყოფის ბრალდებით მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო.ალბი კორძია გამომძიებელთან სატელეფონო საუბარს თავის ფეისბუქ გვერდზე ავრცელებს, სადაც გამომძიებელს მიმართავს: „ჩემი პოზიცია ძალიან კარგად არის თქვენთვის გასაგები, რომ თეა წულუკიანი არის რუსი, ქვეყნის მოღალატე, და ეს შეურაცხყოფა არ არის. ეს ფაქტია“.

25 აპრ / 2025

გაზით მოწამლვა

ნინო ხარჩილავა მის გაუარესებულ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თვეების შემდეგ, ბიბისი დოკუმენტურ ფილმს აჩვენებს - "წყალი რომელიც წვავს" და ამ თემას საერთაშორისო სკანდალად გადააქცევს. ხელისუფლების მხრიდან მოკლე პასუხის და საქმის დახურვის მიუხედავად, ხალხი კვლავ ითხოვს საერთაშორისო და გამჭირვალე გამოძიებას.

მეგობრებო, კარგად ვარ. ბევრნი მწერთ და ცალცალკე რომ არ ვწერო, აქვე გიპასუხებთ ყველას. აქციებზე გაზით ინტოქსიკაციის შესახებ ბევრმა დაწერა და მინდა მეც გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება, რადგან ჩემს შემთხვევაში მწვავე შედეგები გამოვლინდა ცოტა გვიან და პიკს მიაღწია ამ დღეებში, თუმცა სიმპტომები მაშინვე, დეკემბერში სახეზე იყო. დამჭირდა ჰოსპიტალიზაცია სისხლის ანალიზში თრომბოციტების მკვეთრი ვარდნის გამო. სიმპტომები იყო ძირითადად ძლიერი სისუსტე, სისხლჩაქცევები და წითელი წინწკლები კანზე, ჭრილობებიდან გადაჭარბებული სისხლდენა. დროულად ვერ მოვახერხე ექიმთან მისვლა და შედეგად, ჩემი მდგომარეობა დამძიმდა, თუმცა, საბედნიეროდ, მკურნალობას დაექვემდებარა და უკეთ ვარ.

ამას იმიტომ არ ვწერ, რომ შეგაშინოთ, მაგრამ მოვალეობად მიმაჩნია, გაგაფრთხილოთ ვინც აქციებზე იყავით გაზის გაშვების დროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში ყურადღებით იყოთ. სისხლში თრომბოციტების მკვეთრმა დაცემამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლჩაქცევა არა მხოლოდ კანზე, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებში, მათ შორის ტვინში და დამთავრდეს ლეტალურად.

ფაქტობრივად ხალხი სასიკვდილოდ დაგვწამლეს და ისე გაგვძარცვეს, რომ მკურნალობის ფულიც აღარ დაგვიტოვეს. ამიტომ, გთხოვთ ვისაც საშუალება გაქვთ, აუცილებლად ჩაიტარეთ გამოკვლევები და ვისაც არა, ერთობლივი ძალებით მოვიძიოთ რესურსი.

ავტორი: დემნა

1 მაისი / 2025

მეორე სართული

მირანდა ბაღათურიას სასამართლოს მანდატურზე თავდასხმაში დასდეს ბრალი — მიუხედავად იმისა, რომ ის საერთოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.
ტვ პირველის ეთერი

- ძალიან სასაცილოა... მე იმედი მაქვს, რომ ამ შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს მოსამართლე იმიტომ, რომ მართლა პრეცენდენტი იქნება ადამიანი ციხეში ადმინისტრაციული პატიმრობით გაუშვან, როდესაც... ანუ იმ ადამიანზე ედავებიან შეურაცხყოფას, ვინც ფიზიკურად არ უნახავს იმ დღეს და გადაკვეთა არ ქონია – მირანდა ბაღათურია

- სად იყავით? – ნანუკა ქაჯაია

- მე მეორე სართულზე ვიყავი, ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა და იქიდან გამომდინარე რომ მისი პრეს-სამსახური ვარ, ჩემი პირდაპირი ვალდებულებაა ამ პროცესზე დასწრება. პარალელურად მიმდინარეობდა ჩემი მეგობრის – საბა სხვიტარიძის პროცესი. როდესაც ატყდა აქ ჩოჩქოლი, მე ვიმყოფებოდი ზედა სართულზე და ნიკა აძლევდა ინტერვიუს ჟურნალისტებს და ბუნებრივია, ბოლომდე ვიდექი იქ. შემდეგ უკვე, როდესაც გარეთ გამოვედი, მირიან ქავთარაძეს უკვე დატოვებული ქონდა შენობა. მთავარი ის არის, რომ მოწმეები არიან, რომლებიც მეუბნებიან, რომ თითქოს ფოიეში დამინახეს. ერთი ამბობს, რომ ფოიეში დამინახა რამდენჯერმე... პირდაპირი ლაივ სტრიმი არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებლის, სადაც ჩანს, რომ ნიკა გვარამიას პროცესზე როგორ შევედი და დასრულების შემდეგ გამოვედი. შსს ჩემი აზრით ითხოვს იმიტომ, რომ ეს არის პირდაპირი დაკვეთა. მირიან ქავთარაძე ვნახეთ, რომ არის ეზოში... მე ვარ ერთერთი მთავარი მოწმე საბა სხვიტარიძის საქმეზე... აქედან გამომდინარე, როგორც ყოფილი ჟურნალისტი და მთავარი მოწმე, ზუსტად ვიცი, რომ როდესაც ხარ საქმის მთავარი მოწმე, არა თუ პროცესზე გეგრძალება დასწრება, ახლოსაც კი არ უნდა იყო, რომ ინტერესთა კონფლიქტი არ მოხდეს. დაშინებაზე მეტად მე მგონია, რომ შურისძიების მცდელობაა. არ ვართ დაშინებულები... მართლა ფეხებზე მკიდია, ბოდიში... მე მგონია რო უბრალოდ შურისძიების ამბავია... ოთხი მოწმე გამოვიდა და ჩემთან მიმართებაში ვერცერთი ვერ ამბობდა ზუსტად რას ვამბობდი და ყველა ამბობდა, რომ მირიან ქავთარაძემ როდესაც დატოვა შენობა, მერე დამინახეს. ორი შსს-ს წარმომადგენელი ქალი ითხოვს პატიმრობას და რავიცი, ვნახოთ... ხუთი დღე თუ გამიშვებენ, დავისვენებ ცოტათი...

1 მაისი / 2025

მშრომელთა დღე

საქართველოში დამოუკიდებელი პროფკავშირები კვლავ იშვიათობაა. რიგ შემთხვევებში პროფკავშირული საქმიანობა ხელისუფლების ჩარევითა და მანიპულაციებით არის დასუსტებული.
ფოტო ალექსანდრე ქეშელაშვილი/ჰუბლიკა

მშრომელთა საერთაშორისო დღეს 10 პროფკავშირისა და „მოძრაობა სოციალური დემოკრატიისთვის" ორგანიზებით, აქცია გაიმართა. მოქალაქეები საღამოს ორბელიანის მოედანზე შეიკრიბნენ, სადაც მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები გამოვიდნენ სიტყვით. შემდეგ აქციის მონაწილეებმა ორბელიანის მოედნიდან მსვლელობით მთავრობის ადმინისტრაციასთან გადაინაცვლეს, ბოლოს კი საპროტესტო მარში რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციას შეუერთდა, სადაც მოქალაქეები უწყვეტად უკვე 155-ე დღეა იკრიბებიან.

3 მაისი / 2025

გზავნილი ჟურნალისტებს

ᲫᲜᲘᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ გზავნილი ჟურნალისტებს
წყარო: ბათუმელები

მოგმართავთ კოლეგებს...

კოლეგებს, რომლებიც ქართულ კრიტიკულ მედიას და საზოგადოებრივ ინტერესებს წარმოადგენთ. შთამაგონებელია თქვენი სოლიდარობა და დასანანია ახლა თქვენს გვერდით რომ არ ვარ. ახლა, როცა სრულიად დაუცველ გარემოში გიწევთ მუშაობა და თქვენს ყოველდღიურ თავგანწირვაზეა დამოკიდებული ისმოდს უსამართლობის და წინააღმდეგობის ხმა.

ხმა, რომელსაც ძალადობით, შანტაჟით, მუქარით და ათასგვარი გამოგონილი სასჯელით ახშობს ოლიგარქის

რეჟიმი. აქ პატიმრობისას განსაკუთრებით გამიძლიერდა რწმენა ჩემი პროფესიის. ჟურნალისტიკა გაცილებით მეტია, ვიდრე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გავრცელება. ბოტების, ტროლების, პროპაგანდის და ოლიგარქების სამყაროში ჩვენ უნდა შევძლოთ გადარჩენა და იდეალებისთვის, უკეთესი, ევროპული მომავლისთვის მუშაობა.

მჯერა, სანამ კიდევ იქნებიან, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გეტყვიან, რომ მარტო არ ხართ, მანამდე შევძლებთ საკუთარი პროფესიის და ქვეყნის შენარჩუნებას და განვითარებასაც. ამიტომაც მოვუწოდებ ჩემს მოქალაქეებს, ითანამშრომლონ მედიასთან და ჟურნალისტებთან ერთად ამხილონ ყველა ის პირი, ის წრე და ჯგუფი, ვინც ნორმად აქცია კორუფცია, უსამართლობა და ძალადობა. ვინც გვძარცვავს, გვაღარიბებს და გვღალატობს.

მოვუწოდებ ქართულ ბიზნესს, რომ აიღოს პასუხისმგებლობა თავისუფალი, კრიტიკული მედიის გადარჩენაზე. მივმართავ თანამედროვე ცივილურ სამყაროს – ნუ დაგვტოვებს რუსეთის და მისი ინტერესების გამტარ ავტორიტარულ რეჟიმთან პირისპირ, მარტო.

ნუ დაკარგავთ თავისუფლების ხმას საქართველოდან!

მაცხოვრებლები მიესალმებიან ქაოტურ ლოკაციებზე მარშების მონაწილეებს
ფოტო: ლიზუ ახალაძე

5 მაისი / 2025

შავი კვამლი სასამართლოში

საპროტესტო აქცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში
ფოტო: ტაბულა

ახალი ქართული ანბანი

ახალი ქართული ანბანი, იყიდება 120 ლარად და ფული მთლიანად ჯარიმების გადახდას ხმარდება.



ახალი ქართული ანბანი
სოფია ტაბატაძის ღია ბარათი

რუსული მეთოდი

წყარო: ნუცა მახარაძე

ერთი თვეა მე და ქეთის დაგვსდევენ,15 წუთის წინ ლიფტის კართან დაგვხდა ერთი არარაობა და წიწაკის სპრეი და საღებავი შეგვასხეს და თქვენი ნაცი დედა მოვტყანო ასე მოგვაძახა! დანარჩენს მერე გეტყვით!

-

პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა თანადგომისთვის ჩემო თანამებრძოლებო! კარგად ვართ, მხნედ, შემართებით და ამათი დაშინებული არ გაიშვას, რა ვერ გაგვიცანით ბიჭო, რაღაც ჩააანალიზეთ ცოტა! აქვე ვიტყვი, რომ მხნეობასთან ერთად ქეთევანს და სალომეს აქვთ პირველი ხარისხის დამწვრობა, სალომეს დაზიანებული აქვს თვალის რქოვანა, აქვს საშინლად შეშუპებული და ეწვის, სიბნელეში ზის, რადგან სინათლეზეც რეაგირებს... გუშინ რაც მოხდა, რუსული მეთოდით თავდასხმაა, რუსული დამოკიდებულებაა მოქალაქეების მიმართ, სიძულვილი, ზიზღი და თან უკიდურესი სიმხდალე და სილაჩრე,სინამდვილეში, შიშით ასეთ არარაობებს მართავს ეს რუსული, ბნელი სისტემა და ვერანაირად ვერ გვიმორჩილებს ჩვენ – ასე იქნება მუდამ! მებრძოლ და წესიერ ადამიანებს ვერ შეაშინებთ,შიშები თქვენკენ მოიკითხეთ ცვედანო არაკაცებო! ყველა დაისჯება, აუცილებლად!

6 მაისი / 2025

პოლიციის მიერ ნათქვამი სიტყვები

ნათია ბუკიამ გააზიარა ადამიანის უფლებათა ანგარიშიდან ამონარიდები, რომლებიც ასახავს იმ ენას, რომელსაც პოლიციის თანამშრომლები დაკავებულების მიმართ იყენებდნენ

- რამდენის ჩადება შეგიძლია პირში ერთად?
- მუხლებზე დაგაყენებთ და პირში მოგცემთ, შე ბოზო, შეგვიძლია პირში ჩაგაჯვათ.
- რო მოგტყნავ, მუტლიდანაც მასე წამოოგივა სისხლი

ეს არის ტექსტები, რომლებსაც ნამდვილ ცხოვრებაში და არა თეატრში ქართველი პოლოციელები ეუბნებოდნენ ქართველ ქალებს აქციების დროს! რა ფარისეველია ხელოვნებაში უხამსობით აღშფოთებული ხალხი ან ვითომ რელიგიის შეურაცხყოფით აღშფოთებული, რომელსაც არც ეს აწუხებს, არც ნაწამებუ და თავ-პირდალეწილი ხალხი აქციების დროს, არც ზილიონკა შესხმული გოგო, არც შემოსავლისგარეშედაეჩენილი მთელი ქალაქი, არც გელათის ფრესკები და არც ციხეში წამებით მოკლული კაცი. სარკეში ჩაიხედეთ, რას გავხართ. იმედია, ამაზე ბოლოჯერ ვწერ.

სამართალი ურმით დადის - პერფორმანსი თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ფოტო: სალომე კვარაცხელია

11 მაისი / 2025

თუ ისევ გამოჩნდები

დას უნდა შევხვედროდი და შემდეგ ერთად ავსულიყავით სახლში. გზაში, დამხვდნენ ორი უცნობი მამაკაცი. ერთმა სახეში წიწაკის სპრეი მომასხა, შემდეგ კი ორივემ ერთად მიწაზე დამაგდო. სანამ მიიმალებოდნენ, მითხრეს: „თუ ისევ აქციაზე გამოჩნდები, უარესისთვის მზად იყავიო.“



თაია ცეკვავს გადაღებული სელფი მასზე უცნობების თავდასხმის შემდეგ

12 მაისი / 2025

ტვინის შერყევა

მარიამ მაკასარაშვილის კომენტარი, ყოფილი ვიცე გუბერნატორის მამის თავდასხმის შემდეგ. მეორე დღეს მას ტვინის შერყევა დაუდგინდა და იძულებული გახდა საავადმყოფოში დარჩენილიყო ტვ პირველის ეთერი

როცა აქ მოვედით გიორგის [შინჯიკაშვილის] სახლთან მამამისი აქ იმყოფებოდა. მივედით და ვკითხეთ შეიძლებოდა თუ არა მასთან გასაუბრება. არსებობს ჩანაწერი, რომ გვითხრა “მობრძანდითო”... ჩვეულებრივად გვესაუბრებოდა, ისიც გვითხრა, რომ ხარებასთან არანაირი დაპირისპირება ჩემ შვილს არ ჰქონიაო... დავასრულეთ ინტერვიუ, რაც მისი ნებაყოფლობით იყო. გამოვედით გარე სივრცეში, ჩემი ოპერატორი კადრს იღებდა, მოულოდნელად გამოიქცა, ოპერატორს წაართვა კამერა, ხელში რომ დაიჭირა მოტეხა განათების ნაწილი და კიდევ რამდენიმე ნაწილი

[კამერას]... რომ დაინახა მობილური რომ მქონდა ეგონა ვიღებდი, ეს მობილურიც გამომართვა... მუშტი მოიქნია და მთელი სიძლიერით მომარტყა სახისა და თავის არეში... თავბრუსხვევა მაქვს, თავის ძლიერი ტკივილი და თვალის ძლიერი ტკივილი. მივდივართ კლინიკაში.

რამდენიმე მანქანა მოვიდა შავი დაბურული მინებით და გვითხრეს: “ამ აპარატურას კი დაგიბრუნებთო, მაგრამ რატომ მოხვედით აქ და ხარებაზე კითხვებს რატომ სვამდითო?

12 მაისი / 2025

გილოცავთ, მზია

ჟურნალისტები და აქტივისტები რუსთავის ქალთა ციხის გარეთ შეიკრიბნენ, რათა მზია ამაღლობელისთვის დაბადების დღე მიელოცათ.

სოლიდარობის ნიშნად, კოლეგებმა სურვილები ფრანებზე დაწერეს და ქალთა ციხის მიმართულებით გაუშვეს.

ნინია კაკაბაძე კედლების მიღმა მზია ამაღლობელს მილოცვას უგზავნის
ფოტო: ელისო ჯარიაშვილი

14 მაისი /2025

სისხლით დავიჭერ

წყარო: ბათუმელები

ირაკლი დგებუაძე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ პოლიციელი, რომელიც მზია ამაღლობელს აგინებს, თვითონ არის. “სისხლით დავიჭერ... ბოზიშვილი ვიყო,” – ისმის ვიდეოში, რომელიც 12 იანვარს, მზია ამაღლობელის დაკავების მომენტს ასახავს. დაკავებულ ქალს, რომელიც ორ პოლიციელს მიჰყავს, ირაკლი დგებუაძე უკან მისდევს და აგინებს.

23 მაისი /2025

ჯარიმა მუშაობისთვის

წყარო: პუბლიკა

მოსამართლე ზვიად ცეკვავამ „პუბლიკის” ჟურნალისტი მარიამ ქავშბაია 5000 ლარით დააჯარიმა. შინაგან საქმეთა სამინისტრო მას 3 თებერვალს გზის გადაკეტვას ედავებოდა. ჟურნალისტი ამ დროს (მანამდეც და მომდევნო პერიოდშიც) პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, მუშაობდა, და რუსთაველზე მიმდინარე უწყვეტ აქციას აშუქებდა.მარიამ ქავშბაიამ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები – ამ დღეს მის მიერ გადაღებული ფოტომასალა – „პუბლიკის” ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნებული მასალები მისი ავტორობით. თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ვიდეომასალაშიც ჩანს, როგორ მუშაობს ჟურნალისტი აქციის მიმდინარეობისას. მიუხედავად ამისა სასამართლომ მარიამი, რომელიც ამავდროულად სტუდენტია, 5 000 ლარით დააჯარიმა.

პროტესტის 167-ე დღე
რუსთაველის გაშზირი
ფოტო:
მარიამ ქავშბაია / პუბლიკა

30 მაისი / 2025

მოკლედ

„შვილთან მისულს ციხეზე, იქ მომიტანეს 5000 ლარიანი ჯარიმის განჩინების ფურცელი“ — წერს სოციალურ ქსელში რეჟიმის პატიმრის თორნიკე გოშაძის დედა

კარმის გეშინოდეთ

წყარო: პუბლიკა

ლიკა ლორთქიფანიძეს სასამართლომ 12-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. მას შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკოს მარიამ ლაშხის შეურაცხყოფას ედავებოდა. საქმე მოსამართლე დავით თეთრაულმა განიხილა. ადვოკატი მიხეილ თათარაძე „პუბლიკასთან“ ამბობდა, რომ ლორთქიფანიძის მხრიდან არანაირ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია.

კარმის გეშინოდეს, შენთანაც მოვა - თათია აფრიამაშვილი მოსამართლეს განაჩენის გამოცხადებამდე. მოსამართლე ცაცუამ ის 12 დღიან პატიმრობაში გაუშვა

მარიამ ლაშხის საჩივრის საფუძველზე, მაგდა მამუკაშვილი 4000 ლარით დაჯარიმდა. ორი მცირე წლოვანი შვილის ყოლის გამო, ის პატიმრობას გადაურჩა.

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა, მარიამ ლაშხმა სამი აქტივისტი ქალის წინააღმდეგ სარჩელი 17 მაისს მომხდარის გამო შეიტანა.
ორი აქტივისტის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას ითხოვს, ერთის მიმართ - ჯარიმის.
ერთ-ერთ კაფეში, სადაც ლაშხი თანმხლებ პირებთან, მათ შორის, ბავშვებთან, ერთად იმყოფებოდა, აქტივისტები მივიდნენ შეძახილებით: „თავისუფლება რეჟიმის ტყვეებს, არა რუსულ რეჟიმს, არა რუსეთის მონებს.. ძირს რუსეთის მონები“.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში თებერვალში შესული ცვლილებით, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის შეურაცხყოფა დასჯადი გახდა - გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარიდან 4000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 45 დღემდე ვადით.

4 ივნ /2025

მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ ალბი კორძაიას 10 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა. აქტივისტის მიმართ სამართლებრივი დევნა თეა წულუკიანის შეურაცხყოფის საფუძვლით დაიწყო. ფორმულას ეთერი

მზად ვართ

ჩვენ მზად ვართ იმისთვის, რომ მე წავიდე პატიმრობაში, რადგან მე ვფიქრობ ეს მინიმალურია რაც შეიძლება გავაკეთო იმის ფონზე, რომ ორი პატარა ოცი წლის გოგო, სტუდენტი დღეს არიან იზოლატორში ორი კვირით გაშვებულები... რაც არის აბსოლიტური,

არ ვიცი აბსურდია ეს ყველაფერი და მე ვიფქრობ ეს მინიმუმია, რაც შეიძლება ამ შემთხვევაში გავაკეთო... რაც შეეხება მოსამართლეს... რა თქმა უნდა მოსამართლეზე აქ საუბარი ზედმეტია... რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს ადამიანმა, რომელიც არის ლიეტუვის, პოლონეთის დასანქცირებული... ჩვენი სასარგებლო გადაწყვეტილება... სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება...

პოლიციის ტატუ

21 წლის სტუდენტის, თათია აფრიამაშვილის მხარდაჭერის ნიშნად, მისმა დედამ და მეგობრებმა რუსთაველის გამზირზე საპროტესტო ბანერი გამოფინეს. პოლიციამ აქცია აღკვეთა და ისინი ძალის გამოყენებით ტროტუარზე გადაიყვანა. ძალადობრივად გაძევების შემდეგ მაგდა მამუკაშვილმა მიყენებული დაჟეჟილობების ფოტო გაავრცელა ტექსტით - Police edition Tatoo

4 ივნ / 2025

მარინა ტერაშვილი

ვიდეო შემხვდა – მეტროსთან შავებში ჩაცმული ქალი დგას, ხელში პატიმრების წერილები უჭირავს და გამვლელებს სთავაზობს, რომლებიც ყურადღებასაც კი არ აქცევენ…

რომ იცოდეთ ვინაა ეს ადამიანი და რამხელა ისტორიას ატარებს, ალბათ მიხვიდოდით და გულში ჩაიკრავდით…

ეს მარინა ტერიშვილია – მამუკა და გიორგი ტერიშვილების დედა.

მამუკა ტერიშვილი 17 წლის იყო, როცა 1992 წლის 2 თებერვალს თამარ მეფის ხიდზე მხედრიონის რეჟიმმა სიცოცხლეს გამოასალმა. იმ დღეს მამუკა დროშით ხელში წინ მიუძღოდა დემონსტრაციას, რომელიც ჯაბა იოსელიანის ბრძანებით სისხლში ჩაახშეს. 23 დაღუპულიდან მამუკა ყველაზე პატარა იყო…

კახა ურიადმყოფელი მარინა ტერაშვილის ოჯახზე ფოტო: მარიამ ნიკურაძე / ოუსი მედია

გიორგი – მარინას მეორე შვილი – გასულ წელს დააკავეს, ასევე აქციაში მონაწილეობისთვის და მრავალწლიანი პატიმრობით ემუქრებიან…

შვილების ნაცვლად ახლა მათი დედა დგას ქუჩაში, მიუხედავად მისი ასაკისა, და ითხოვს ყველასთვის სანატრელ რამეს – თავისუფლებასა და სამართლიანობას…

9 ძმა ხერხეულიძისა და მათი დედის ისტორია ვითომ სხვა რამეზეა? აგერ ახლა ხდება ჩვენს გვერდით ზუსტად იგივე და ჩვენ ამას ვერც კი ვამჩნევთ. უფრო მეტიც – რუსული პროპაგანდისგან მოწამლული ქართველები ქალბატონ მარინას უსამშობლოს ეძახიან, დასცინიან და ლანძღავენ…

როგორ ვახერხებთ, ამ წიგნიერებისა და განვითარების პიკში მყოფ საუკუნეში, ასეთი ტემპით დეგრადაციას?!..

12 ივნ / 2025

სოციალური თვალთვალი

ახალი კანონის თანახმად, გამკაცრდა სოციალურ მედიაზე თვალყური. რიგითი მოქალაქეები და ჟურნალისტები მათი კომენტარების გამო ჯარიმდებიან წყარო: დეა მამისეიშვილი

ხვალ სასამართლოში მიბარებენ, რადგან მამუკას ვაწყენინე. მამუკა მდინარაძემ იგრძნო თავი შეურაცხყოფილად და შსს-მ და სასამართლომ იგრძნეს თავი საჭიროდ. ჰაი, გეკა. მამუკა მიჩივის 25 თებერვლის პოსტის გამო, სადაც ნაბიჭვარს, ნაძირალას და არაადამიანს ვეძახი. და კი, ეს ჩემი გამოხატვის თავისუფლებაა. ასე ვფიქრობ, (უარესადაც) და ვერავინ შემზღუდავს

-

მარიამ ლაშხის საჩივრის საფუძველზე, ფეისბუქ პოსტის გამო, ეკა მიშველაძე 4 000 ლარით დააჯარიმეს

აქტივისტი პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილმა მიღებული ჯარიმის ქვითარი გამოაქვეყნა

აქტივისტად მოვინათლე დღეს!

მე კი ვიდექი იქ სადაც ყველა დედა უნდა მდგარიყო – სინდისის პატიმრების დედების გვერდში!

3 მარტს დედების მარშში მონაწილეობის გამო მეხუთე პრეზიდენტი – სალომე ზურაბიშვილი 5 ათასი ლარით დააჯარიმეს.



ელექტრონული საჯარიმო ქვითარი №ეფ288504

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

1. 10/04/2025 (შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი))

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შედგენის ადგილი)

3. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე: ა) სალომე ზურაბიშვილი (სახელი გვარი / სახელწოდება) ბ) 18/03/1952 (დაბ. თარიღი)

გ) [redacted] (პირადი № / საიდ. კოდი) დ) თბილისი ბორის კოტატინის ქ. N 5 (მისამართი / იურიდიული მისამართი)

4. სამართალდარღვევა: ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

რუსთაველის გამზირი, პარლამენტის მიმდებარედ - 03/03/2025 21:31:33 - „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით, მე-11 მუხლით (გარდა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა1", „ა2" და „ზ" ქვეპუნქტებისა) და 11 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა – გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.;

5. ასკ-ის მუხლი; ნაწილი; პუნქტი: 174-1-5 ჯარიმის ოდენობა: 5000 ლარი

6. სატრანსპორტო საშუალება:

სახელმწიფო №, ტექ. პასპორტის №

12 ივნ / 2025

სასტიკი დაზიანებები სასამართლოში

მათე დევიძის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას - ნათია ჩიქოვანს, მანდატურებმა შენობა ძალის გამოყენებით დაატოვებინეს.
ფოტო და ტექსტი: ნათია ჩიქოვანი

უკვე გარეთ რომ ვიყავი გამოგდებული და ერთ-ერთ იქ მდგომ ზომბ პოლიციელს ვეუბნებოდი ცალ ფეხზე ფეხსაცმლის ჩაცმაც არ დამაცადეს ისე გამომაგდესთქო (მანამდე ბევრჯერ დავეცი ამ ღია ფეხსაცმლის გამო, ე.წ. პლათფორმა აქვს და ფეხი მიბრუნდებოდა თრევაში, რტყმაში, ჭყლეტვაში,) ამ დროს მეცა რომელიღაც მანდატური, მთელი ძალით მკრა ხელი, გამიზნულად, ძალით და ქვის იატაკზე დამახეთქა. ამას უყურა ალბათ 50-მა პოლიციელმა, რომლებიც არც კი შეტოკებულან... ცრემლები მომდიოდა თვალებიდან პოლიციელებს რომ ვუყურებდი ძირს დაგდებული და როგორ არ ინძრევითთქო ვეკითხებოდი.. არც ერთი არ განძრეულა...

ხო, ეს დალურჯებები სახლში მრავლდება და მრავლდება... ამ ფეხით დავასკდი ქვას და თავი ამიტომ არ დავარტყი...

ვერთ ერთმა მანდატურმა, ვერც

მანამდე და ვერც მერე (ერთი გამოვიჭირე მერე გარეთ) ვერ მიპასუხა რომელი კანონის რომელი მუხლით გაგვყარეს სასამართლოდან და გვირტყეს კიდე ზემოდან. ვერ ვათქმევინე რა მიზეზით გამოგვყარეს!

დანარჩენს ხვალ მოვყვები.

18 ივნ / 2025

საფარი

ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია "საფარი", პირადი მონაცემების გადაცემის მოთხოვნას ეხმაურება

ქართული ორგანიზაცია საფარი უკვე 24 წელია საქართველოში ქალებს უწევს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დახმარებას. ჩვენი ორგანიზაციის იურისტები ყოველწლიურად ათასზე მეტ ქალს უწევენ უფასო სამართლებრივ კონსულტაციას, ეხმარებიან საგამოძიებო უწყებაში, თუ სასამართლოში.

17 ივნისს ივანიშვილ-კუპრაშვილის ბიურომ ანტიკონსტიტუციური რუსული კანონების აღსრულება მურუსიძის სასამართლოს მეშვეობით დაიწყო. ისინი ჩვენგან, უფლებადამცველებისგან, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ითხოვენ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქეების — ძალადობის მსხვერპლი ქალების და ბავშვების პერსონალური ინფორმაციის გადაცემას, კერძოდ, ყველა იმ ადამიანის პირადი ნომრების, სახელების, გვარების, ფოტოსურათების, ფინანსური და საბანკო ინფორმაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ინფორმაციის გადაცემას, ვინც გვენდობოდა და ჩვენი დახმარებით უსარგებლია.

საფარი არ ვაპირებთ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქეების ნდობის ღალატს, თუნდაც ამას ჩვენი დევნა და დაპატიმრება მოყვეს. ჩვენ სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად მივმართავთ სამართლებრივ გზებს ამ ბრძანებების წინააღმდეგ. ჩვენთვის მათი მიზანი ცხადია – ივანიშვილი საქართველოში თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების განადგურებას ცდილობს, ზუსტად ისე, როგორც ამას 1920-იან წლებში ბოლშევიკები, ბოლო დეკადაში კი – პუტინისა და ლუკაშენკას რეჟიმები აკეთებდნენ. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ არ ვაპირებთ რუსული კანონებით ცხოვრებას, საქართველოს ევროპული მომავლის საბოტაჟისადმი შეგუებას და გავაგრძელებთ ბრძოლას ქართველი ხალხის უფლებ

19 ივნ /2025

მეტი

წყარო: ელენე ქაიხოსროშვილი

ყველა (შვიდივე) ორგანიზაციას, რომლებსაც რეჟიმი პირველ რიგში მიადგა, მართავენ ქალები! სამაგალითო, პრინციპული, ჭკვიანი, კვალიფიციური, ხმამაღალი, ჯიუტი, მებრძოლი და რაც მთავარია, ადამიანებზე, მათ უფლებებზე მზრუნველი ქალები. ეს ის ქალები არიან, რომლებიც ჩემი ინსპირაცია გახდნენ ჯერ კიდევ ათი წლის წინ, როცა პროფესიულ მიმართულებას ვირჩევდი და ეხლა საერთოდ სუპერძალები აღმოაჩნდათ.

19 ივნ / 2025

სასამართლოდან

კლეოპატრა ქარუმაშვილი დედის დაკავებაზე, სასამართლოს ეზოდან

“ვარ სასამართლოს ეზოში. დედაჩემი წაიყვანეს სასამართლო დარბაზიდან – 2 წლით და 6 თვით – 57 წლის ქალი და დააპატიმრეს. ეს ყველაფერი უკავშირდება ჩემს წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც იმიტომ აღიძრა, რომ ჩემი Facebook პოსტი არ მოუვიდა თვალში ახმეტის ყოფილ მერს. ამის შემდეგ, ჩემი მშობლების კომპანიაში, რომელიც ჩემს სახელზეც იყო გაფორმებული, შევარდა საგადასახადო სამსახური და არასწორად გამოწერილი ანგარიშფაქტურების გამო, რომელიც აბსოლუტურად სუფთა ბუღალტრული შეცდომა იყო, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ძალიან ბევრი წელი მიდიოდა ეს საქმე – მტკიცებულები არ ჰქონდათ არანაირი და ეს იყო მიზეზი, რატომაც ვერც მე და ვერც ჩემს ოჯახის წევრებს ვერ ეხებოდნენ... რამდენიმე თვის წინ დედაჩემს ჩემი დაჭერის დაშინებით აღიარებინეს ბრალი, აღიარებინეს მტკიცებულებები, რომელიც ფაქტობრივად არ არსებობს და ახლა წაიყვანეს სასამართლო დარბაზიდან – 2 წლით და 6 თვით” | ამბობს კლეოპატრა ქარუმაშვილი და სასამართლოს ეზოდან ვიდეოს აქვეყნებს.

22 ივნ / 2025

აქ იცით, რა ხდება? მანუჩარ ცაცუას და ხვდება იზოლატორიდან გამოსულ საბას, რომელსაც მისმა ძმამ მიუსაჯა 30 დღე. ზუსტად ვიცი – ერთად ვიმარჯვებთ!

წყარო: დოდი ხარხელი
ფოტო: ელენე ქაიხოსროშვილი

27 ივნ / 2025

შიშის დათესვა

წყარო: ქეთი მოლაშვილი
შენიშვნა: 2026 წელს საქართველოში პენსია 30 ლარით გაიზარდა და თვეში 450 ლარი შეადგინა

თბილისის საქალაქო სასამართლომ პენსიონერი ქალი შსს-ს წარმომადგენელზე კომენტარის დაწერისთვის 2400 ლარით დააჯარიმა: მე რომ სასამართლო მქონდა, ზოგ ჩემს მეგობარს, სასამართლოზე მოსვლა დააგვიანდა და ვეღარ შემოვიდა სხდომაზე. ჰოდა ერთ-ერთი მეგობრის მონაყოლს გეტყვით ახლა: რომ ვერ შემოვედი შენთან, სინდისის პატიმრის დარბაზისკენ გადავინაცვლეო,

გზაში ერთი ასაკიანი ქალი შემომხვდა, ბებიაო. მკითხა, შვილო გუშინ დამირეკეს, სასამართლოში დამიბარეს და სად რა გავარკვიო არ ვიცი, პირველად ვარ ამ შენობაშიო. მივეხმარე გარკვევაში და თურმე სხდომა ჰქონია, ისე ანერვიულდა ვუთხარი, არ ინერვიულოთ და შემოგყვებით მეცო. შევყევიო.ერთი კაცის ფეისბუქ პოსტის კომენტარის კომენტარში ეწერა შსს-ს წარმომადგენელზე რაღაც და იმას ედავებოდნენო.

ქალი გადაირია, არ ვიცოდი შვილო რომ არ შეიძლებოდა, ის ადამიანი მოიყვანეთ ან მე მივალ და ბოდიშს მოვუხდი, პენსიის ამარა ვარ და რომ დამაჯარიმოთ, მშიერი დავრჩები, რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ, ოღონდ არ გამწიროთო. შსს-ს წარმომადგენელი ჰო გაიწურა, მოსამართლესაც აღარ იცოდა რა ექნა, გავიდა, ითათბირა, ითათბირა და 2400 ლარით დააჯარიმა ფეისიბუქ პოსტის კომენტარის კომენტარში დაწერილი სიტყვების გამო ბებიაო. ჰოდა რატომ დააჯარიმეს ეს ბებია ჰო ვიცით, მე რომ დავწერო, სხვამ რომ დაწეროს, შიში რომ დათესონ. ჰოდა ზუსტად ამიტომ ვწერ... ყველა ქოცი უნდა ძრწოდეთ და ერთ კომენტარსაც ვეღარ წერდეთ, ვაითუ რამე ისე არ დამეწეროს, ლოგიკაში მაჯობონ და მეც სანაგვეზე მომისროლონო.

პოსტებს კი არა, კომენტარის კომენტარებს ვეღარ უნდა წერდეთ ისე გაკონტროლებენ, მესიჯებს ვეღარ უნდა აგზავნიდეთ და სახლში ვეღარ უნდა საუბრობდეთ, აი ეგაა რაც თქვენმა სიჩუმემ მოგვიტანა. აგერ ვწერ საჯაროდ, ვუსრულებ თხოვნას ქოცებს და გეუბნდბით, რომ გეშინოდეთ!

პირველ რიგში თქვენ გეშინოდეთ სოციალურ ქსელში დაპოსტილი ან დაწერილი კომენტარების გამო გეშინოდეთ, მესიჯების გამო და დარეკილების გამო, ყველაფრის გამო გეშინოდეთ და დაე იყავით უტყვი, უუფლებო მხევლები, იმსახურებთ... გილოცავთ, თქვენ ჭეშმარიტად მოგვიტანეთ ის დემოკრატია, რომლითაც ევროპა და ამერიკა გააოცეთ და სანაცვლოდ, სამუდამოდ დადუმდით.

და რაღაა ადამიანი, ვინც ცოცხალია, მაგრამ უტყვი? ანუ ვერ საუბრობს, უტყვია, პირ უტყვი?

3 ივლ / 2025

დაბადების დღის საჩუქარი

ანაკო ტურაშვილი პოლიტპატიმარ გიორგი მინდაძის დედაზე - ნანი წულაიაზე, რომლის შვილსაც მის დაბადების დღეზე 5 წელი მიუსაჯეს
ფოტო: ანაკო ტურაშვილი

შუაში მზესუმზირებით ქალბატონი ნანი წულაიაა, 21 წლის გიორგი მინდაძის დედა. დღეს დაბადების დღე აქვს. გიორგის, 21 წლის ბიჭს, სამედიცინოს სტუდენტს, 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, აქციაზე პიროტექნიკის სროლისთვის, ამ პიროტექნიკით არავინ დაზიანებულა.

უსამართლობის შეგრძნებით გამწარებულები სასამართლოს დერეფნებში და ეზოში ერთმანეთს ვასკდებოდით, ვტიროდით და ვყვიროდით. ფოტო/ვიდეოს გადაღებაც კი აკრძალული გვაქვს, ეზოშიც. ამ დროს ყველა ნანის ვეხუტებოდით რომელიც ყვიროდა: “ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგადაა, არ იტიროთ, ნახეთ რამდენი სტუმარი მოხვედით ჩემს დაბადების დღეზეო!”

ეზოში თითქმის ერთი საათი მიმდინარეობდა ხელჩართული ბრძოლა აბსურდის მცველებთან. ყველას ერთმანეთი გამოყავდა, რადგან ამ დროს თუნდაც შემთხვევით ხელი რომ მოარტყა ვინმეს 7 წელი ციხეა. და არასოდეს დამავიწყდება, როგორ შემოვარდა ქალბატონი ნანი, რომლის შვილსაც რამდენიმე წუთით ადრე 5 წელი მიუსაჯეს და როგორ ყვიროდა: “წავედით ჩემებო, თქვენ ჩემი სტუმრები ხართ, წავიდეთ ჩვენს სახლში რუსთაველზე, დაანებეთ თავი” ვიდექი და ვფიქრობდი, რამხელა ადამიანი ხარ, როცა ასეთ მომენტში ფიქრობ ვინმეს ხელი არ სტაცონ, არ დაიჭირონ და როცა სხვას ეუბნები “ნუ ნერვიულობ, ნუ გეშინია, მაგრად უნდა ვიყოთ”. რაღაც სასწაული ხალხია ჩვენი სინდისის პატიმრები და მათი ოჯახები.

მარჯვნივ
ავტორი: ნინუკა ცინცაძე

ერთ ხელად ჭცეული ჩვენი ხმა,
თავისუფლების არის გზა!

იძულებითი მკურნალობა

მეტრო-მეტრო დავდივარ, დიდია მხარდაჭერა, სადგურებში უფრო მოდიან და მელაპარაკებიან.

ერთმა ვაგონში ორლარიანი გამომიწოდა, ალბათ მათხოვრისთვის კარგად გამოვიყურები!



მას შემდეგ, რაც სისტემა ნინო დათაშვილს იძულებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზით დაემუქრა, თეონა ბექიშვილმა, სოლიდარობის მიზნით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში სოლო პროტესტი გამართა.

ვერ მოვაწერ ხელს

5 აგვისტოს მზია ამაღლობელს ორ წლიანი პატიმრობა მიესაჯა. წინა დღით მან შესაძლო საპროცესო გარიგებაზე განცხადება გააკეთა
წყარო: ბათუმელები

იქ, სადაც მეშვიდე თვეა უკანონოდ გამოკეტილი ვარ, საპროცესო გარიგება, ბევრისთვის სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ჰუმანური ნაბიჯია. ვერ დავივიწყებ პატარა გოგოს ტირილს, რომლის ხმა ჩემს საკანში აღწევდა... დედა მენატრებაო. როცა გავიგე, რომ მის მშობელთან საპროცესო გარიგებას აწარმოებდნენ, ძალიან გამიხარდა.

ჩემს შემთხვევაში ასე არ არის. პირიქითაა. ცოცხლად დამარხვის ტოლფასია. შემოთავაზებაც კი ძალიან შეურაცხმყოფელია. ადვოკატებმა ჩემი პოზიცია უკვე გაახმოვანეს. არა, ვერ მოვაწერ ხელს ამ საპროცესო გარიგებას. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რაც მოხდა, ის არ იყო თავდასხმა. რა სამართალია, ეს არ ვიცი.

ჩემი დაპატიმრების პირველი დღიდან ამ სასამართლო დარბაზში არაერთგზის მკაფიოდ დამიფიქსირებია, რომ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, განსხვავებით, ე.წ. დაზარალებული დგებუაძისგან. კანონში არსებობს ჩემი ქმედების, სილის გაწვნისთვის ადეკვატური მუხლი

წყარო: პროტესტი 24

19 აგვ / 2025

ქალი, რომელმაც შიში დაამარცხა

დათო სიმონია აფხაზეთიდან ომის დევნილ - აზა ჩილაჩავაზე

გაგრა რომ დაეცა, ქალაქი სავსე იყო უსულო ქართველი ჯარისკაცებით. ვინც დამარხვას გაბედავდა, პასუხს სიცოცხლით აგებდა. აზა ჩილაჩავამ გაბედა. ოკუპირებულ ქალაქში 3 თვე დაჰყო. რომ გამოაღწია, წყალტუბოში ცხოვრობდა. ზურგით გასაყიდი შაქრის ტომრებს ეზიდებოდა. მერე ემიგრაციაიში წავიდა და შეკოწიწებული ფულით პატარა ოთახი იყიდა თბილისის გარეუბანში. იქიდან ყოველ დღე მოდის ცენტრში. სიარული უჭირს, მაგრამ საზმაუს მარშს რუსთაველისკენ მიყვება. ხელში ხმარებისგან გაცვეთილი წიგნაკი უჭირავს – თითო გვერდზე თითო გზავნილით. თანამებრძოლებს ხან ტორტებს უცხობს, ხან ნერგებს ჩუქნის. ერთ-ერთ დარბევაზე ახალგაზრდას გადაეფარა, ნიღბიანებს საწამებლად რომ არ გაეტაცებინათ. ისე დაარტყეს, სამი დღე იწვა. მაინც ადგა და პროტესტს ამაგრებს. რამ უნდა გააჩეროს ქალი, რომელმაც დაცემულ გაგრაში შიშზე გაიმარჯვა?

აი, ვინ დგას რუსთაველზე.

9 სექტ /2025

სად ხედავთ ქალებს

კახა კალაძეს, ქალების მიმართ ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით კითხვა გუშინ, 8 სექტემბერს, მისი საარჩევნო შტაბის სიახლოვეს დაუსვეს
წყარო: რადიო თავისუფლება

ქალები არ არიან. რაღაც სხვა ჯიშია – კახა კალაძეს კითხვა დაუსვეს მის შტაბთან გუშინ, 8 სექტემბერს ქალებზე ფიზიკურ ძალადობაზე

- არაფერი დაპირისპირება არ არის... - კალაძე

- ქალები ცემეს თქვენმა... - ჟურნალისტი

- ქალებს სად ხედავ აქ, ქალებს სად ხედავ? - კალაძე

- კი, ქალები არიან... - ჟურნალისტი

- არცერთი არაა ქალი... ქალი არაა აქ არცერთი... - კალაძე

- ვინ არიან აბა? - ჟურნალისტი

- არ ვიცი, რაღაც სხვა ჯიშია. ქალი არაა აქ... სად არის ქალი, აბა მითხარით... ერთი მაჩვენეთ რომელია აქ ქალი. მანახეთ ერთი ადამიანი რომელია ქალი... თქვენ არაფრით არ განსხვავდებით იმ მოძალადეებისგან, რომელიც გუშინ მიუვარდა საარჩევნო შტაბს - კალაძე

შენიშვნა: შენიშვნა: კახი კალაძე 2025 წლის თბილისის მერობის კანდიდატია - მესამე ვადით



12 სექტ /2025

წყარო: ჰუბლიკა

შეგროვდა

მოქალაქეებმა მეგი დიასამიძეს გირაოს თანხა, 2 000 ლარი უკვე შეუგროვეს.

კახა კალაძის ბანერის დაზიანების ბრალდებით დაკავებულ 23 წლის აქტივისტს, მეგი დიასამიძეს მოსამართლე დავით კურტანიძემ აღკვეთის ღონისძიების სახით 2 000-ლარიანი გირაო შეუფარდა და დარბაზიდან გაათავისუფლა.

ელენე ხოშტარია თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან რუსთავის ქალთა კოლინიაში გადაჰყავთ.

კონტექსტისთვის: მეგი დიასამიძის სოლიდარობის ნიშნად, ელენე ხოშტარიამ მეორე დღეს იგივე ბანერი დააზიანა, მას შემდეგ, რაც საღამოს ოფისის თანამშრომლებმა ის გაწმინდეს.

შენიშვნა: ბანერის გაწმენდას 15 წუთი დასჭირდა

25 სექტ /2025

სიურპრიზები არ იქნება

ამ განცხადებიდან მალევე, ნანა სანდერი, სხვა მოქალაქეებთან ერთად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო დააკავეს

დიდგორი 2 არ გაირისკება, დიდგორი 2 – ში არ იქნება სიურპრიზები, ჩვენ სიურპრიზებისთვის არ ჩამოვდივართ სხვადასხვა კონტინენტებიდან!

ჩვენ საბრძოლველად მოვდივართ!

ბავშვები დატოვეთ სახლში

ჩვენ ვართ ის ქართველები, ვინც ბავშვებს ვიცავდით, ვიცავთ და დავიცავთ და მათ რომ უკეთეს ქვეყანაში იცხოვრონ, ამისთვისაც ვიბრძვით და არ არსებობს სამყაროში არანაირი ძვირფასი ინტერესი და მიზანი, რომლის გამოც გამართლება შეიძლება ჰქონდეს ბავშვის გაწირვას! და მშვიდობით კი არ გავდივართ – მშვიდობის დასაბრუნებლად გავდივართ 4 ოქტომბერს, რომელიც არ არსებობს თავისუფლების გარეშე ! და კი ჯერ თავისუფლებას ვიბრუნებთ და ვუბრუნებთ ჩვენს სამშობლოს და მერე მოდის მშვიდობაც.

თავდაცვის საშუალებები წამოიღეთ 4 ოქტომბერს.

აირწინაღი, ჩაფხუტი, ხელთათმანები გაზის კაფსულების ხელით ჩასაქრობად, ბაიკერის ხელთათმანები – წაქცევის დროს ან ყბაში მუშტის მოსარტყამად იდეალურია, და ასევე დანარჩენებსაც უეჭველი გქონდეთ ერთჯერადი ხელთათმანები რადგან ისეთი ნივთიერებები გაუშვეს ნოემბერ-დეკემბერში 5 დღე თითებიდან ვერ გავიყვანე და ლინზების ამოღება და ჩასმა იყო ჯოჯოხეთი.

სათვალეების ნაცვლად გქონდეთ ლინზები და ასევე დამატებით ლინზების მარაგი თან წამოიღეთ. შავი ფერის საწვიმარი(მოკლე) და საწვიმარი შარვალი (თხელი, მსუბუქი) ფეხსაცმელი სისწრაფეზე გათვლილი (ემიგრანტები ვინც მოდიხართ, დამატებითი ფეხსაცმელი 2 წყვილი მაინც წამოიღეთ) სამხედრო შარვალი -მუხლების დამცავით. კარგი ტელეფონები სახლებში დატოვეთ და ისეთი წამოიღეთ რაც “გასუფთავებულია” და რის მოპარვაზეც, დაზიანებაზეც გული არ დაგწყდებათ.

ვისაც დახმარება გჭირდებათ თავდაცვის საშუალებებით, მოგვწერეთ იმ ჯგუფებს თუ ინდივიდებს ვინც თქვენც გაწირვას კი არ ვაპირებთ და კი არ გეუბნებით თვითორგანიზებული უნდა იყოს თავდაცვის საშუალებებიო, არამედ დროს, ნერვს და ენერგიას

ვდებთ რომ თქვენი ჯანმრთელობა არ გაიწიროს – გვაქვს სხვადასხვა ფონდები და ვაგროვებთ თანხებს აპარტიული დიასპორული ჯგუფები. ვინც რეგიონებიდან ჩამოდიხართ, ჩამოდით იმ განწყობით და მზაობით რომ რამდენიმე დღე დარჩებით თბილისში.

ვისაც დასარჩენი არ გაქვთ, ამაზეც სხვა პასუხისმგებლიანი ორგანიზატორები ზრუნავენ პირველ რიგში ემიგრაციიდან ვისაც შეგიძლიათ რეგიონებიდან ან ემიგრაციიდან საბრძოლველად ჩამოსული ადამიანებს დაუთმოთ თქვენი ბინა, სახლი თუ ოთახი, მოგვწერეთ. პასუხისმგებლიანი დიასპორა და პასუხისმგებლიანი ინდივიდები საქართველოდან აკეთებენ ქოლცენტრებს, რომლებიც დაგეხმარებათ ყველაფერში.

პასუხისმგებლიანი ადამიანები ჩაერთვნენ ამ ბრძოლაში და იმედიანად იყავით, უპასუხისმგებლო ინდივიდებისგან თუ ჯგუფებისგან გაზღვევთ ოღონდ თქვენც მოგვეხმარეთ ფიზიკურადაც – საქმის მკეთებელი ადამიანები გვჭირდება და ასევე დიდგორი 2-ის მოგებას სჭირდება ბრმად მიმდობი ადამიანები კი არა, ანუ ცხვრები კი არა, მოაზროვნე ადამიანები! მოაზროვნე ტვინები რომლებიც კითხვებს სვამენ, ბავშვებს სახლებში ტოვებენ და სიურპრიზისთვის კი არა, ბრძოლისთვის ემზადებიან.

26 სექტ /2025

გაჭმევ მაგ რუპორს

ნინო კალანდია თავდასხმაზე

წეღან, აქციიდან სახლში რომ ვბრუნდებოდი, არკაში ვიღაც ტიპი მეცა, ჯერ მხარში ჩამავლო ხელი და რომ მივბრუნდი, ვიღაც მაღალი, კეპიანი ტიპი შემრჩა ხელში. რა გინდა თქო. შემაგინა. სამკერდე ნიშანი მეკეთა, თავისუფლება რეჟიმის ტყვეებს აწერია და მერე ის ჩაბღუჯა, ეს რა არის, რატომ გიკეთიაო. იგინებოდა თან. შენი საქმე არ არის თქო. მერე ხელში ჩამავლო ხელი და დამიწყო ჯაჯგური, ძირს დაგდება უნდოდა, თუ რა უნდოდა არ ვიცი. შევეცადე გამომეგლიჯა ხელი და ბოლოს რომ გავითავისუფლე თავი, ინერციით კედელს დავეჯახე. ამ ჭიდაობაში ზურგჩანთაც ჩამომძვრა და ეს ზურგჩანთა ჩავარტყი. კიდე გამოიწია. თან მეუბნებოდა რუპორებით რომ დარბიხარ, მაგ რუპორს გაჭმევო. რამდენიმე ბიჭმა ჩამოუხვია მერე არკაში და მათ დანახვაზე გაიქცა.

ქოცებო, ნუ გეგონებათ, რომ ასეთი ტიპები თქვენც არ დაგხვდებათ სადმე ბნელ კუთხეში. კრიმინალი დათარეშობს ქუჩებში და არ გაგიკვირდეთ ვინმე ასეთივე ტლუ თუ დაგაყაჩაღებთ ერთ დღესაც

არ მოაკვლევინოთ

პროტესტის დროს, ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დაკავებული ანასტასია ზინოვკინა, რუსთავის ქალთა კოლონიიდან წერილს აგზავნის
წყარო: პუბლიკა

აქციების დროს ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული ანასტასია ზინოვკინა რუსთავის ქალთა პენიტენციური დაწესებულებიდან წერილს აქვეყნებს:

ეს წერილი დახმარების ძახილია.
მე მქვია ანასტასია ზინოვკინა და ტყვედ ვარ აყვანილი რუსთავში, ქალთა №5 კოლონიაში. 12 სექტემბერს 12:00 საათზე მე და არტემ გრიბულს განაჩენი გამოგვიტანეს. 8 წელი 6 თვე. ისევე, როგორც ანტონ ჩეჩინს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საქმეებში განსხვავებებიცაა, ბევრი საერთოც გვაქვს. მაგალითად, პოლიცია, ერთმა და იმავე ხალხმა ჩაგვიდო ნარკოტიკი მასაც და ჩვენც. მაგალითად, “თარჯიმნები”. მაგალითად, სასჯელაღსრულების სისტემის იგივე ქცევა: ჩვენ არ გვიწევენ სამედიცინო დახმარებას, რომელიც გვჭირდება. იმის გამო, რომ რუსთაველზე დაზარალებულ ადამიანებს სამედიცინო დახმარებას ჩვენ ვუწევდით. ციხეში გვკლავენ. ჩვენთან არ მოდიან ექიმები. გთხოვთ, დარეკოთ ციხეებში, სადაც ვიმყოფებით, სახალხო დამცველთან, ყველა ინსტანციაში, ჯანდაცვის სამინისტროში.
დარეკეთ, უთხარით ჩვენი გვარები, მოსთხოვეთ პასუხი, თუ რატომ ბედავენ ასე თავხედურად პოლიტიკური პატიმრების მოკვლას. ზინოვკინა ანასტასია. არტემ გრიბული. ანტონ ჩეჩინი.

რეჟიმის ძაღლების თავხედობა გასაოცარია.
გთხოვთ – არ მისცეთ მათ ჩვენი მოკვლის უფლება.
გთხოვთ – გამოიჩინეთ სოლიდარობა. გთხოვთ – არ დაივიწყოთ პოლიტიკური პატიმრები, დაეხმარეთ ყველა მათგანს ციხეებში საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლაში

ზინოვკინას დაკავების პროცესი მოსკოვში, საპროტესტი აქციაზე, 2012
ფოტო: ელენა როსტუნოვა

1 ოქტ / 2025

გაბრაზებული ქალები

პროტესტში ჩართული ქალები არიან აქტივისტები, განსაკუთრებულად აქტიურები და მათ წინააღმდეგ განსაკუთრებულ მეთოდებს იყენებენ. ჩვენ ვნახეთ სახლში შევარდნა, ორსული ქალის – მარიამ ბაჯელიძის შემთხვევა. 7 თვის ორსულ ქალს შეუვარდნენ, მცირე წლოვან ბავშვთან ერთად, ოჯახში. ასევე ერთერთი სინდისის პატიმრის დაკავების დროს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მის მეუღლეს, რის შედეგადაც მას მუცელი მოეშალა. ქალებს აშიშვლებენ იზოლატორებში... გვყავს სინდისის პატიმარი ქალები... და ხელისუფლების ეგრედწოდებული თანამდებობის პირების რიტორიკაც გვესმის, რომ თურმე აქტივისტი ქალები არ არიან ქალები... აბა დაგვანახეთ რომლები ხართ ქალები და ასეთი რიტორიკაც გვესმის ძალიან ხშირად. საკანონმდებლო დონეზეც ძალიან ბევრი ზომა მიიღეს ქალების წინააღმდეგ. გენდერი ამოიღეს საერთოდ ყველა კანონიდან და დღეს, ყველა დაგროვილ ბრაზს გვინდა, რომ თავი მოვუყაროთ და გავმართოთ გაბრაზებული ქალების მარში...

ელენე ქაიხოსროშვილი - გაბრაზებული ქალების მარშიდან ევრონიუს ჯორჯიას ეთერი
ფოტო:
ბასტი მგალობლიშვილი / პუბლიკა

ქალები არ არიან მარტო, ჩვენ ისევ აქ ვართ. მიუხედავად იმისა, რომ გვებრძვის „ქართული ოცნება“ და ტიტუშკებს გვიქსევს და ძალიან ბევრ განსაცდელს გვივლენს... ჩვენ აქ ვართ, არსად არ მივდივართ... ჩვენ აქ ვართ და სოლიდარობას ვუცხადებთ ქალებს, დედებს, ჩვენს დებს, ქალებს რეგიონებში, რომლებიც მარტო დარჩნენ და აღარ ჰყავთ მხარდამჭერი. თუნდაც ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებოდნენ მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლაში – ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ არსად არ წავსულვართ. ჩვენ დავიცავთ ერთმანეთს, დავიცავთ ჩვენს დებს, დედებს და „ქართულ ოცნებას“ ვეუბნებით, რომ ჩვენ ძალიან გაბრაზებულები ვართ. ჩვენ, ქალებს არ გვეშინია მათი...

ნათია გვრიტიშვილი - გაბრაზებულის ქალების მარშიდან ევრონიუს ჯორჯიას ეთერი
ფოტო:
ბასტი შგალობლიშვილი / ჰუბლიკა

პირველად საქართველოს ისტორიაში ჩვენ გვყავს პოლიტპატიმარი ქალები. ქალები, რომლებიც იბრძვიან ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, ევროპული მომავლისთვის. და გარდა იმისა, რომ არ იკმარეს 60-ზე მეტი პოლიტიკური ტყვე, მათ ქალები – მზია ამაღლობელი, ნინო დათაშვილი, ელენე ხოშტარია ჩასვეს ციხეში აბსურდული მიზეზებით. ჩვენ არ გვაქვს დანებების უფლება. არც იმის ფუფუნება უნდა მივცეთ საკუთარ თავს, რომ დავსხდეთ სახლში წვიმა იქნება, თოვლი თუ ყინვა ჩვენ ვალდებული ვართ იმ რეჟიმის ტყვეებისთვის ვიბრძოლოთ, ვიდგეთ გარეთ და მივაღწიოთ სამართლიანობას. ეს ქვეყანა აუცილებლად გაიმარჯვებს და აუცილებლად მივალთ მშვიდობიან, ევროპულ საქართველომდე.

ნანა ტოხვაძე - გაბრაზებულის ქალების მარშიდან ევრონიუს ჯორჯიას ეთერი

პროვოკაცია

დემონსტრანტი მიმართავს პრეზიდენტის სასახლესთან განლაგებულ სპეცრაზმს

როდემდე? როდემდე? რატო ჩატარდა არჩევნები მაინც ვერ გავიგე? თვითონ დაესვათ პირდაპირ, ხო იყვნენ? დღეს დილას მე სპეციალურად სამი უბანი შემოვიარე... სამივე უბნიდან ერთი ოცი კაციც არ მისულა, ორი საათი ვიჯექი ხან ერთ სკვერში, ხან მეორეში... გადაღებულიც მაქვს... სირცხვილია ქართველებო. მეტირება, ვიზე აღმართეთ ხელი, ვიზე? პოლიციელებო, ვინ გაგხადათ თქვენ ნორმალური პოლიციელები? დღეს რას გვიშვებით ჩვენ, ქართველებს? დედებს, შვილებს, რას ეუბნებით თქვენ? სირცხვილია, როდემდე, როდემდე? მშვიდობიანად მოვედი, რად გინდათ ეს ფარები? უნდა დაგვარტყათ? უნდა გაგვსრისოთ? 9 აპრილი გაიხსენეთ. 9 აპრილსაც ვიდექი მანდ და გადავრჩი. სირცხვილია, გადმოდით ხალხის მხარეს, დიდ ხანს არ იქნება ბიძინა. ბიძინას თავისი ფულები უნდა... ხო გითხრათ – ჩემი ფულები მინდა მეო. შიგნით იმხელა დარღვევა აქვთ, ერთმანეთს ჭამენ ხალხო. გაიგეთ, გაიგეთ

დღეს რუსთაველი ჩვენია, მაგრამ აშკარად მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩვენი დაშლა. მეტი ხალხია საჭირო.
თამარ ჯაყელი ვიდეო აქვეყნებს, სადაც რუსთაველის გაშზირის გადაკეტვის პროცესში ახალგაზრდა ქალი მოულოდნელად ავტობუსს გადაუდგა

14 ოქტ /2025

მოქმედების დროა

მარია რესსამ
ევრო პარლამენტს მიმართა
წყარო: ნეტგაზეთი

ევროპარლამენტის პატივცემულო წევრებო, ვწუხვარ, რომ დღეს ბრიუსელში თქვენთან ერთად არ ვარ. მზია ამაღლობელს და მე ერთი ადვოკატი გვყავს, კილან გალაჰერი, რომელიც მართლსაჯულებისთვის ბრძოლაში ჩვენს ინტერესებს იცავს. ევროპარლამენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რაც საქართველოში ხდება.

სტუდენტები ყველაფერს რისკავენ დემოკრატიული ღირებულებებისთვის. ჟურნალისტები ნათელს ჰფენენ სიმართლეს. მზია ამაღლობელი იქცა იმ მამაცი პროტესტის სიმბოლოდ, რომელიც დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის დასრულების წინააღმდეგ აღმოცენდა. საერთაშორისო სოლიდარობამ გამაძლიერა მე მძიმე პერიოდში და შემახსენა, რომ მარტოები არ ვიყავით. მზიას ასეთივე სოლიდარობა სჭირდება ახლა. ის უკვე 9 თვეა პატიმრობაშია და მისი კოლეგები ამუშავებენ მის მედიას უზარმაზარი ზეწოლის პირობებში. მაგრამ ამას მარტო ვერ აკეთებენ... ეს კრიტიკული მომენტია მზიასთვის და საქართველოსთვის. 310 დღეზე მეტია გრძელდება პროტესტი. ღირებულებები, რომლებზეც ევროპა აცხადებს რომ დგას, ახლა თბილისში იტესტება. სიჩუმე სახიფათო სიგნალს აგზავნის.

მზია იმსახურებს თქვენ სოლიდარობას. საქართველო იმსახურებს თქვენ სოლიდარობას.

მოქმედების დრო არის ახლა!

15 ოქტ /2025

წასვლის უფლება

თინა ბოკუჩავა, სოციალურ ქსელში ქვეყნის დატოვებისას შექმნილ პრობლემებზე წერს

ვილნიუსში მივფრინავ ევროპის სახალხო პარტიის (EPP) პოლიტიკურ ასამბლეაზე. საზღვარზე გამაჩერეს თბილისის აეროპორტში და არ მიშვებენ. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, მამისამართებენ სასაზღვრო დეპარტამენტის სხვა წარმომადგენელთან სხვა ლოკაციაზე, რომელიც ასევე დაყოვნების შემდეგ მიცხადებს: “თქვენ ჯარიმა გაქვთ, იცით, ხო?”. ერთი ჯარიმის შესახებ ვიცოდი და მეორეც მქონია, აპრილის თვეში დაწერილი, რომელიც ოქტომბერში გაახსენდა რეჟიმს საზღვარზე, მაშინ როდესაც მხოლოდ ბოლო 2 თვეში 6-7-ჯერ მაინც ვიქნები გასული ქვეყნიდან ივანიშვილის რეჟიმის არაღიარების, დელეგიტიმაციის და სანქცირების მიზნით .

მოკლედ, გამიზნულად ისე მაყოვნებენ, რომ ჩასხდომა დასრულდეს, უკვე საბოლოო გამოცხადების გაფრთხილება ისმის, მოდის პოლიცია, რომელსაც განვუმარტავ, რომ უკანონოდ მიზღუდავს თავისუფლებას. ვიწყებ გადაღებას, ფრთხებიან, "კარგით, კარგით" და ბოლოს მატარებენ. პარტიების და პიროვნებების აკრძალვასთან ერთად, რეჟიმი ქვეყნის დატოვების აკრძალვასაც განიხილავს და სატესტო ნაბიჯებს დგამს უკვე, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით. როცა მოლდოვა და უკრაინა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფად მიიწევს და შესაძლოა, სომხეთმაც კი მოისურვოს კანდიდატის სტატუსი, საქართველოს საზღავრზე შესაძლოა სულ მალე რკინის ფარდა დაეშვას და საბოლოოდ დიქტატურაში აღმოვჩნდეთ. გავაგრძელებთ საჯარო ურთიერთლანძღვას, ქილიკს და კრიტიკას თუ შევკავშირდებით ადამიანები, ვინც რეალურად ვებრძვით რეჟიმს? ჩემთვის დღესდღეობით ერთადერთი რელევანტური კითხვა ეს არის. გავერთიანდებით? – გავიმარჯვებთ. თან ძალიან მალე. არა? – ქვეყანაში დამყარდება დიქტატურა და საზღვარზე გასვლასაც ვეღარ შევძლებთ მალე ან თუ გავალთ – სამუდამოდ

ეუთოს თავჯდომარე დაჯარიმებულია

წყარო: ნეტგაზეთი

ეუთოს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) მოქმედი თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელინა ვალტონენი, დელეგაციის წევრებთან ერთად, რუსთაველის გამზირზე მივიდა და უწყვეტი პროევროპული პროტესტის მონაწილეებს შეხვდა.
ვალტონენი საქართველოში ჩამოვიდა სამხრეთ კავკასიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. ის შეხვედრებს გამართავს აზერბაიჯანსა და სომხეთშიც.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გარდა, ვალტონენი შეხვდა "ქართული ოცნების" ლიდერებს. მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრს, მაკა ბოჭორიშვილს.
-
შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეუთო-ს თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელინა ვალტონენი „გზის გადაკეტვისთვის" 5 000 ლარით დააჯარიმა. ინფორმაცია „ფორმულას" შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. ვალტონენი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ის 14 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე მივიდა, სადაც აქციის მონაწილეებს შეხვდა.

15 ოქტომბერს ოცნების მთავრობამ გაავრცელა განცხადება, რომ კობახიძემ საქართველოში მყოფ ვალტონენთან შეხვედრა „კანონსაწინააღმდეგო საპროტესტო აქციაზე გასვლის გამო" გააუქმა. მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ შეხვედრა თავად ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააუქმა

17 ოქტ /2025

მათ შორის

მარიამ მეყანწიშვილის დაკავება
წყარო: ბათუმელები
ფოტო: ლევან ზაზაძე

წუხელ დაკავებულთა შორისაა მარიამ მეყანწიშვილი, რომელიც არის მარტოხელა დედა.

ოჯახის წევრების ინფორმაციით, სპეცრაზმი მეყანწიშვილის სახლში მაშინ შევიდა, როცა 7 წლის შვილთან და მშობლებთან ერთად იმყოფებოდა.

მეყანწიშვილი რუსთაველზე მიმდინარე უწყვეტი საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილეა და 4 ოქტომბრის შემდეგაც არაერთხელ იყო აქციაზე. მათ შორის, 14 ოქტომბერს, როცა პარლამენტთან ეუთოს თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელინა ვალტონენი მივიდა. მეყანწიშვილი მაშინ წერდა, რომ თარჯიმანმა, "რომელიც სავარაუდოდ ჩვენმა არალეგიტიმურმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიაწება მათ", ეუთოს თავმჯდომარე და მისი დელეგაციის წევრები "ტურისტების ჯგუფად" გააცნო. თუმცა, მეყანწიშვილმა საერთაშორისო დელეგაციის წევრები იცნო, ესაუბრა და მიმდინარე უწყვეტი პროტესტის შესახებ მოუყვა.

პროტესტი როგორც კრიმინალი

თეო ხატიაშვილი საუბრობს კანონის ახალ შესწორებაზე, რომელიც გზების გადაკეტვას ეხება და რომლის მიხედვითაც განმეორებითი დაკავების შემთხვევაში დემონსტრანტს სისხლის სამართლის კოდექსით გაასამართლებენ.
წყარო: ნეტგაზეთი

შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ბოლო ცვლილება, რაც მიიღეს საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით არა გამკაცრებაა, არამედ ამ უფლების ჩამორთმევაა. მითუმეტეს, რომ მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში, იგივე დაკავებული ადამიანების თუ მათი სასამართლოების მიხედვით, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ფსევდო-ხელისუფლებას არ ჭირდება არანაერი რეალური სამხილი... არანაერი კანონიერი არგუმენტაცია... მას თუ აქვს გადაწყვეტილი, რომ უნდა დასაჯოს მისი მოწინააღმდეგე, ის დასჯის. ეს კანონიც, იქნება ეს რამდენიმე დღიანი ციხე, მერე კიდევ უფრო დამძიმებული, ესეც ძალიან პირობითია ალბათ. ისევ და ისევ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ჩვენი აქ ყოფნა ბეწვზე კიდია ფაქტიურად. ყველა ჩვენგანი, ჩვენს თავისუფლებას ვაყენებთ ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ. მაგრამ ეს საფრთხე იმასთან არაფერია, რაც გველის მომავალში. თუმცა არ ვიცი, ყოველდღიურად ისე მძიმდება სიტუაცია, რომ ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს. გაფორმებული საბოლოოდ ავტორიტარიზმი, ყველას და ქვეყანას საბოლოოდ გადაიყოლებს. ამიტომაც შემართება... შეუძლებელია, რომ იყოს სხვანაერად... უნდა ვიბრძოლოთ, თუმცა ვფიქრობ რომ რაღაცა ვრძოლის ფორმები, თუნდაც იგივე საპროტესტო აქციების სტრატეგია რაღაცნაერად შესაცვლელი და გადასახედია ალბათ, რომ ისედაც ამ გამრავლებული სინდისის პატიმრების ფონზე კიდევ უფრო ბევრი აქტივისტი არ მოექცეს მათ ხელში

20 ოქტ /2025

ზეწოლის მექანიზმები

დაჯარიმებული პროტესტანტების მზარდი რაოდენობა ერთსა და იმავე პრობლემაზე იწყებს საუბარს: ქვეყნის დატოვების მცდელობისას შეზღუდვებსა და სირთულეებს აწყდებიან.
წყარო: თამთა დოლენჯაშვილი

ფსიქოლოგიური ზეწოლის ახალი მექანიზმი მოუფიქრებია შსს -ს , ნახევარ საათზე მეტი მაყურყუტეს პასპორტ კონტროლთან თბილისში. მეთქი რა ხდება? მერე მითხრეს , აი, იქ ორი ქალი რომაა, იმათთან მიდიო. მივედი და ჯარიმა გაქვთ გზის გადაკეტვის გამოო. მეთქი ჯერ არ ჩამბარებია უწყება და რა შუაშია ახლა ეს ჩემს ფრენებთან. ჰოო.. აი რავიცითო, აქ არ ჩანს რა პროცესშიაო. მეთქი, წიგნის წარგენა მაქვს ფრანკფურტში დღეს 3 საათზე, ან მიშვებთ , ან ჩემს გერმანელ გამომცემელს ვურეკავ და საქართველოს აეროპორტს, როგორც შსს – ს ფილიალს და მისი სამარცხვინო ბრძანებების შემსრულებელს, საერთაშორისო სკანდალში გაგხვევთ. არა , გიშვებთო, – დაშინდნენ. ხელი მოგვიწერე ოღონდ ამაზეო, ამოიღეს შსს განაცხადი ჯარიმაზე.

20 ოქტ / 2025

ჩემამდეც მოვიდნენ

ფორმულას ცნობა მის დაკავებულ ჟურნალისტებზე
ფოტო:
მარიამ ნიკურაძე / ოუსი მედია

„ფორმულას“ ჟურნალისტი ქეთა ციცქიშვილი, სავარაუდოდ, გზის გადაკეტვის მიზეზით დააკავეს

„ჩემამდეც მოვიდნენ! მომაკითხეს მილიციელებმა“ რო გონიათ ან მე შემეშინდება ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ან ჩემს რომელიმე მეგობარს!

ბოლოს მაინც ჩვენ მოვიგებთ. „ქართული ოცნება“ — რუსებო!!!

p.s დე-მა ბებო/ბაბუ არ ინერვიულოთ“ — დაწერა ქეთა ციცქიშვილმა სოციალურ ქსელში

„ოცნების“ პოლიციამ 19 ოქტომბერს ფორმულას კიდევ ერთი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი ვახო სანაია გზის გადაკეტვით დააკავა. მას 6-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს

22 ოქტ / 2025

ეს მზიასთვის

მზაი ამაღლობელს სახაროვის სახელობის პრემია გადაეცა
წყარო: რადიო თავისუფლება

„ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი და მედიამენეჯერი, პატიმრობაში მყოფი მზია ამაღლობელი ევროკავშირის ადამიანის უფლებათა უმაღლესი ჯილდოს, სახაროვის პრემიის მფლობელია. მასთან ერთად პრემია მიიღო ბელარუსელმა ჟურნალისტმა ანდჟეი პაჩობუტმა. სახაროვის პრემია ევროკავშირის უმაღლესი ჯილდოა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაწეული საქმიანობისთვის და აღიარებს და ეხმარება იმ ადამიანებს, ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ აზრის თავისუფლების დაცვის საქმეში. პრემია 1988 წელს დაარსდა და საბჭოთა დისიდენტის ანდრეი სახაროვის სახელს ატარებს – პრემია აღიარებს ისეთ სფეროებში გაწეულ ძალისხმევას, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, უმცირესობების უფლებები და კანონის უზენაესობა.
სახაროვის პრემიის ყველაზე გავლენიან მფლობელებს შორისაა ნელსონ მანდელა, პაკისტანელი აქტივისტი მალალა იუსაფზაი, რუსი ოპოზიციური ლიდერი ალექსეი ნავალნი. 2022 წელს პრემია გადაეცა უკრაინელ ხალხს რუსეთის აგრესიის წინაშე გაწეული წინააღმდეგობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისთვის

ეს მზიასთვის - შეძახილის ფონზე თამარ ლორთქიფანიძემ პოლიციის მანქანას გადაურბინა
ფოტო: მოსე

23 ოქტ /2025

დოდი ხარხელის საზოგადოებრივი უსაფრთხოების გზამკვევი. რამდენიმე თვით ადრე ის სოციალურ ქსელებში აქტიურობის გამო, საკუთარი შვილის საბავშვო ბაღთან დააკავეს და მისი ბინა გაჩხრიკეს

ვეცდები

ვეცდები გავითვალისწინო ყველას რჩევები და თავი არავის დავაჭერინო. ანუ ვეცდები:

გზა არ გადავკეტო,

ტროტუარზე არ ვიდგე,

ფეისბუქზე პოსტი არ დავწერო,

რამე ემოჯი არ ვიხმარო,

ვიდეოში არ გამოვჩნდე,

სახლში არ მივდიოდე ჩემთვის, სადაც გამვლელს ხელი მოსტყდება,

სახლში არ ვიყო ბავშვებთან ერთად,

პირბადე მეკეთოს,

პირბადე არ მეკეთოს,

ვინმეს არ მივაწოდო პირბადე ან აირწინაღი,

მილიციელმა შემაფურთხოს და სილა არ გავაწნა,

მილიციელმა შემაგინოს და მანქანაზე არ ავძვრე,

მანდატურმა სახეში მირტყას და თავი არ დავიცვა,

ნაგვის ურნას არ მოვკიდო ხელი,

არ მეჭიროს ხელში “ანწუხელიძე გმირია”,

არ მეჭიროს ხელში საქართველოს დროშა.

შეხსენება

მარჯვნივ:
ავტორი: ეთერ ჭკადუა

ეს ნახატი 1988 წელს შევქმენი — იმავე წელს, როცა საბჭოთა საქართველოდან შეერთებულ შტატებში გადავედი საცხოვრებლად. (მაშინ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო.) დღევანდელმა მოვლენებმა როგორც საქართველოში, ასევე ამერიკაში ეს ნახატი გამახსენა და მინდოდა თქვენთან გამეზიარებინა.

25 ოქტ / 2025

უფლისთვის მიმინდია

მოსამართლე მანუჩარ ცაცუას და, ელენე ცაცუა საჯაროდ აკრიტიკებს მისი ძმის ქმედებებს და პროტესტს სოლიდარობას უცხადებს.

დანარჩენი უფალს უნდა მიანდო! ჩემი ძმა უფლისთვის მიმინდვია! მინდა შეწყვიტოს ადამიანებისთვის ტკივილის მიყენება! ყოველ ჯერზე მეც მკლავს. ზოგჯერ მგონია დავიძინებ და ვერ გავიღვიძებ ამდენი დარდისგან. ყველას ვისაც გული ატკინა, ვიმახსოვრებ და ჩემი დარჩენილი ცხოვრება მათი მსახური ვიქნები.

მე არ ვარ პასუხისმგებელი მის საქციელზე, მაგრამ და უნდა შეეხიდო საკუთარ ძმას როცა ის განსაცდელშია. ასე აღგვზარდეს მშობლებმა! არ შეიძლება ღვთის ხატს, უდანაშაულო ადამიანს გული ატკინო, მითუმეტეს სხვის ბედს შეეხო! მიყვარხართ ყველა და ძალიან განვიცდი ამ ყველაფერს

29 ოქტ / 2025

გთოხვთ, არ ჩამეხუტოთ

წყარო: რადიო თავისუფლება
ფოტო:
მარიამ ნიკურაძე / ოუსი მედია

მასწავლებელმა, სამოქალაქო აქტივისტმა ნინო დათაშვილმა რუსთავის ქალთა პენიტენციური დაწესებულება დატოვა. მან ციხის ეზო ნელი ნაბიჯებით გაიარა

„უბრალოდ, მინდა, რომ დავჯდე... გთხოვთ არ ჩამეხუტოთ არავინ, მტკივა ყველაფერი...“ – მიმართავდა ის მეგობრებსა და მხარდამჭერებს, რომლებიც რუსთავში პენიტენციურ დაწესებულებასთან შეიკრიბნენ

ნინო დათაშვილს საპატიმროს დატოვების უფლება მას შემდეგ მისცეს, რაც პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული პატიმრობის გირაოთი შეცვლა მოითხოვა. მოსამართლე თამარ მჭედლიშვილმა ბრალდებულს 5000 ლარის გადახდა დააკისრა – მხარდამჭერებმა დათაშვილს ეს თანხა რამდენიმე წუთში შეუგროვეს

დაკავებული პენსიონერები

გზის გადაკეტვის გამო პოლიციამ თავისუფლების მოედნის მეტროსთან დააკავა ორი პენსიონერი — აზა ჩილაჩავა და მაია სულაბერიძე. სამართალდამცავების მიერ დალუქულ ნივთებს შორის იყო ერთ-ერთი დაკავებულის კუთვნილი 2.55 ლარი ნაღდი ფული.
ფოტო: მოსე

3 ნოე / 2025

მეორე დაკავება

კარგად მახსოვს როცა დაწერა - თავი ლაჩარი მგონია, დაჭერის შიშით ქვეყნიდან წავედი და უცხოეთიდან ვადევნებ თვალს ქვეყანაში რა ამბებია და რა დღეშია ხალხიო.

ცოტა ხანში დაბრუნდა ქვეყანაში. დღეს, აქციას აზას სასამართლო პროცესიდან შეუერთდა, გზის გადაკეტვაში ღებულობდა მონაწილეობას და სრულიად ჰქონდა გააზრებული, რომ დააკავებდნენ, თუმცა ერთი წამითაც არ დაუხევია უკან.

ანუკა გამსახურდია სამაგალითო ადამიანი ხარ!

აზა ბებო, აქ ვართ, განაცვლებთ - ტექსტი ქაღალდზე. აქედან მალევე, ანუკა გამსახურდია მეორეჯერ დააკავეს, რაც ახალი კანონით სისხლის სამართლის დანაშაულს უტოლდება.
ტექსტი და ფოტო: ლევან ზაზაძე

3 ნეომ /2025

პირველი ვიქნები

71 წლის აზა ჩილაჩავას პირველი ინტერვიუ სასამართლოდან გათავისუფლების შემდეგ ტვ პირველის ეთერი

– ხელისუფლებას იმას ვეტყვი, რომ არ ვემორჩილები მათ კანონს. მე რუსეთი არ მინდა. ოკუპირება გაგვიკეთეს, გენოციდი მოგვიწყეს. მე რუსეთს არ ვეთანხმები რომ იყოს აქ, ჩვენთან რუსეთი და ბობოქრობდნენ. არა ბებო, მე ვიბრძვი. ხვალაც გამოვალ. მე ხვალ იქ დავდგები, მეხვეწებოდნენ არაო ბებო

– თქვენ საქმის კურსში იქნებით ალაბთ, რომ განმეორებით შემთხვევაზე უკვე სისხლის სამართლის საქმე აღიძრება თქვენს წინააღმდეგ

– ვიცი, ვუთხარი... მე არ შევუშინდები, მე მაინც გავაკეთებ ჩემსას.

– ქალბატონო აზა, თქვენ გაგასამართლად დევნილმა მოსამართლეს გალიდან, იცით ალბათ ხო? რა გაქვთ მისთვის სათქმელი?

– არ ვიცი რა უნდა ვუთხრა... ბებოს კი არ უნდა ებრძოლონ, სიმართლისთვის უნდა იბრძოლონ. არაკანონიერი კანონი რომ აქვთ მიღებული, რომ იძახიან კანონიო... თვითონ ირგებენ იმ კანონს

– რა არის მიზანი თქვენი პროტესტის კიდევ ერთხელ რო განუმარტოთ საზოგადოებას და იმ ხელისუფლებას, რომელმაც მიიღო თქვენი, 71 წლის ქალის დაკავების გადაწყვეტილება?

– მე არ ვემორჩილები. მე არ დავემორჩილები.
მე ვიცი რომ ხვალ რო გავალ ვიქნები სისხლით გასამართლებული. ვიქნები, წავალ დავჯდები... მე თუ დავჯდები, სხვაც გამოჩნდება. დღეს იჯდა ახალგაზრდა გოგო, მაგრად იბრძოდა, ანასტასია ჯაფარიძე მე მგონი. ერთად ვიჯექით და ბევრი ვუჩიჩინეთ ამათ, ბევრი ვეწინააღმდეგეთ. ბევრი კიდევ შემოიყვანეს. ბრძოლა ბოლომდე, გავძახოდით იქ, შიგნით. ვიბრძვით ბოლოდე ბებო და რავიცი

– ხვალ ისევ გახვალთ? თქვენ ხომ იცით რომ ერთ წლიანი ციხე გემუქრებათ?

– ვიქნები, ისევ გადავკეტავ ბებო, პირველი გადავალ...

დამ დაინახა და და გადავიდა

დავით ჩხეიძის ჩანაწერი, ოჯახის დაკავებაზე

დამ დაინახა და – გადავიდა; შვილმა – დედა და დეიდა და გადავიდა; ძმამ – ძმა დაინახა და გადაჰყვა.

ზღაპრებში წაგიკითხავთ ასეთი ამბები?

ასეთ მოქალაქეებთან, ასეთ ადამიანებთან ერთად ვცხოვრობთ.

დაუმარცხებელია ეს ქვეყანა!

არასდროს დამარცხდება.

სასამართლომ მანანა ჯავაშვილს ერთ დღიანი ჰატიმრობა შეუფარდა. მის ორივე შვილს, ლადო და გიგა წიბახაშვილებს - 8 დღე მიუსაჯეს ეკა ჯავაშილი კი 5 ათასი ლარით დაჯარიმდა

დღეს, 3 ნოემბერს დააკავეს ქიმიის მასწავლებელი და თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მანანა ჯავაშვილი, გზის გადაკეტვის საბაბით. იმავე საქმეზე სასამართლოში იბარებენ მანანას დას, ასევე მასწავლებელ ეკა ჯავაშვილს. დააკავეს მანანა ჯავაშვილის შვილი გიგა წიბახაშვილი, სასამართლოშია დაბარებული მანანას მეორე შვილი ლადო წიბახაშვილი.

4 ნოემ / 2025

არ უნდა იყოს უკან დახევა

ლეილა ცომაიამ გათავისუფლების შემდეგ კვლავ გადაკეტა გზა.
ფორმულას ეთერი
ფოტო:
მარიამ ნიკურაძე / ოუსი მედია

იცით რა, ქართველი ერი საერთოდ ვართ მებრძოლი ერი... ზოგჯერ იყო ისტორიულად შემთხვევები, რომ ჩვენ ვმარცხდებოდით, მაგრამ არ ვნებდებოდით... და როგორ შეიძლება დავნებდეთ ჩვენ, უკანონო ივანიშვილის ხელისუფლებას. როდესაც ხეისფლების სათავეში არის პირი, რომელიც არის ჩრდილოვანი მმართველი. ეს შეურაცხყოფს ჩვენს ღირსებას. ჩვენში აკუმულირება ხდება პროტესტის და ის რაოდენობა, რომელიც ეხლა აქ არის წარმოდგენილი, ამაზე გაცილებით მეტი, ასჯერ მეტი რაიდენობა არის დღეს დამუხტული პროტესტით. იმისათვის, რომ ჩვენი ევროპული კურსიდან უკან დავიხიეთ და ფაქტიურად უკან, საბჭთა კავშირში გვაბრუნებენ. ამას ვერცერთი ქართველი... საშუალო ფენა იქნება, უმაღლესი თუ საერთოდ ინტელიგენცია, ყველა აუჯანყდება. ჯანყი უკვე დაგროვილი არის ხალხში და ამათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს ის რაოდენობა არ არის, რომელზეც მათ შეიძლება იმედები დაამყარონ. ამიტომ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს უკან დახევა... მე პირადად არასოდეს არ შემშინებია არცერთი რეჟიმის. თვით შევარდნაძის რეჟიმისაც კი, რომელიც გვხრიტავდა ჩვენ... ხომ წავედით წინ... პროგრესი ხომ იყო ქვეყანაში იმის შემდგომ... ასე, რომ პროგრესი ეხლაც იქნება და დადგება ძალიან მალე. უიმედობის საფუძველი არ გააჩნია ქართველ ერს. ამიტომ უნდა მოვიდეს, უნდა იბრძოლოს და არ არის სავალდებული ასეთი რისკები გაწიოს და ცოცხალ ჯაჭვში ჩადგეს. მოვიდეს, ფიზიკურად დადგეს თუნდაც ერთი საათი... ეს არ იქნება დიდი მსხვერპლი მათგან, მაგრამ იქნება მოვალეობა, რომელიც უნდა გააჩნდეს თითოეულ ინდივიდს...

5 ნოემ / 2025

მტკიცედ

რუსიკო კობახიძის კომენტარი დაკავებამდე რამდენიმე წუთით ადრე
ტვ პირველის ეთერი

მე გუშინ არ დავუჭერივართ ასე, რომ არამგონია დღეს სისხლზე წავიდე... მაგრამ ნუ ეგეც არ არის დიდი პრობლემა იმ საშიშროებასთან შედარებით, რაც ქვეყანას უდგას... ჩვენ, ყველას მოგვიწევს მერე ამ რაღაც საშინელ დიქტატურაში ცხოვრება, თუ ჩვენ არ ვივაჟკაცეთ და თუ არ შევაწყვეტინეთ ეს რეპრესიული კანონი...



6 ნოემ / 2025

როგორ კრიმინალი

საღამოს ცხრისთვის, უსამართლო ჩაგვრის და ციხის შიშის მიუხედავად, რუსთაველს ნახევარი საათით კეტავს 20-მდე ადამიანი. დანარჩენები ტროტუარზე ვდგავართ, შევცქერით და ვამხნევებთ ამ უშიშ ხალხს.
ისე მოვარდება ხოლმე პოლიცია, გეგონება ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი დამნაშავეები დავდიოდეთ რუსთაველზე. საქმიანი, გაგულისებული სახეებით დგანან, ან მინივენებით დაქრიან და ღრიალებენ – გაათავისუფლეთ ტერიტორიაო. ამ მცირე დროის განმავლობაში, ჩემს ვიდეოში რომ ნახავთ, ისეთი პროვოკატორები მოდიან ხოლმე. ეს მძღოლი მართლა იმსახურებს წარსულში ცხოვრებას... რომ მოუშვა, სიამოვნებით გადასრესდა ხალხს, მაგრამ წინ ვინც გადაუდგა, იმ ადამიანმა რა დააშავა?! ის ხომ თავისუფალ ადამიანად დაიბადა და ეგეთ ქვეყანასაც იმსახურებს!

წყარო: ელენე თოიძე

ავტორი: მაკა ზედელაშვილი

ბერძნულ მითებს ვკითხულობდი, ქალების ისტორიებს და გმირ, გაწამებულ დედოფლებს ვხატავდი... მერე აზას სურათი შემხვდა, მისი ისტორია წავიკითხე და მივხვდი რომ ჩვენს გვერდით იყვნენ ეს გმირი ქალები. მერე ეთოს და აზას სურათი ვნახე და მისი გამძლეობა, თავდადება, მოთმინება გამახსენდა, ერთად კიდევ უფრო მზრუნველობით ედგნენ მხარში ერთმანეთს. სანამ ამ მცირე ჩანახატს მივუძღვნიდი მათე დევიძეს დის განწირული ხმა ჩამესმა. არ ვიცი გავბედავდი თუ არა იგივეს. და კიდევ ბევრი ქალის ჩამოთვლაა შესაძლებელი, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, თანაარსებობენ და გზას გვინათებენ, ან ეკალს გლეჯენ.

მათ არც ხოტბას ვასხამთ და არც ბალადებს ვუწერთ, მაგრამ საკუთარ არსზე ნამდვილად გვაფიქრებენ. ღირებულებებზე და შინაგან სიმართლეზე, საკუთარი სინდისის ხმას გაგონებენ...

13 ნოემ / 2025

შეჩერებული აკრედიტაცია

წყარო: ბათუმელები

„დროების“ ჟურნალისტ თიკო ერაძეს პარლამენტის აკრედიტაცია ერთი თვით შეუჩერეს. მიზეზი ჟურნალისტის მიერ საჯარო პლენარულ სხდომაზე გადაღებული კადრია, სადაც „ქართული ოცნების“ დეპუტატ ეკა ჭიჭინაძის მობილურის ეკრანი ჩანს — ის ვიკა ბუკიას ეთერს უსმენდა.

წერილში, რომელიც თიკო ერაძემ პარლამენტის აპარატის უფროსისგან მიიღო, წერია, რომ 2025 წლის 12 ნოემბერს მან პარლამენტის სხდომათა დარბაზში, მედიისთვის განკუთვნილი ადგილიდან „ნებართვის გარეშე“ გადაიღო ეკა ჭიჭინაძის მობილური ტელეფონის ეკრანი და კადრები სოციალურ ქსელში ატვირთა.

17 ნოემ / 2025

ჩემო კარგო ქვეყანა

ილია ჭავჭავაძის სახლ მუზეუმთან მოქალაქეებმა - ჩემო კარგო ქვეყანა შეასრულეს.
ვიოლინო - გვანცა ჩხეიძე
წყარო: ნეტგაზეთი

19 ნოემ / 2025

თათია მექვაბიშვილის კომენტარი პროფესორ - ქეთევან ხუსკივაძის დაკავებაზე
ტვ პირველის ეთერი

ქეთი სტუდენტების მაგალითია

წარმოუდგენელი... იმიტომ, რომ ქეთი არის ამ სტუდენტებისთვის მაგალითი როგორი უნდა იყოს ლექტორი, როგორ უნდა იდგეს სწორ მხარეს... ქეთი დგას ამ ბავშვების გვერდით ყოველთვის. ამიტომ ეგ არის ჩემთვის წარმოუდგენელი. მე ამიტომ ვთხოვდი მას პასუხს რომ გაეცა პასუხი... სამართალ დამცავებს თუ დამრღვევებს, რატო დააკავეს ამ სტუდენტებისთვის ყველაზე საპატივცემულო ადამიანი – ქეთი ხუსკივაძე... იმიტომ, რომ აი ამ ადგილას სადაც დააკავეს მათე, სადაც უამრავ სტუდენტს გამოუტანეს განაჩენი, ეხლა მიადგნენ ლექტორებს იმიტომ, რომ ზუსტად ხედავენ საიდან მოდის ეს ჯანსაღი და განათლებული ახალგაზრდობა

მარშის დროს დაკავებულთა სია

ქეთევან ხუსკივაძე / დავით გიუნაშვილი / ლუკა ხიზაძე / ხალიბეგ მაგამედოვი / რეზი დუმბაძე / გიორგი ჟამერაშვილი / ელენე ბერიკაშვილი / ვასო ბერიძე / გია ჯვარშეიშვილი / ნინო ბარძიმაშვილი / ნ.დ. მარიამ სვანიშვილი / ნინო გუდაშვილი

გზის გადაკეტვის აკრძალვის შესახებ ახალი რეგულაციის შემოღების შემდეგ, პროტესტმა უფრო დინამიური ხასიათი მიიღო და ერთი ქუჩიდან მეორეზე გადაადგილება დაიწყო. ამის მიუხედავად, პოლიცია წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩნდებოდა და პროტესტის მონაწილეებს ტროტუარებზეც აკავებდა აქ წარმოდგენილია ერთ დღეში დაკავებულთა სია.

22 ნოემ / 2025

ემიგრანტების ხმა

,,ნუ გამრიყავ! მეც ქართველი ვარ!”

რომში საიუბილეო წელთან დაკავშირებით გორის ქალთა გუნდმა თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით კონცერტი გაიმართა პანთეონის შენობაში, სადაც მიწვეულები იყვნენ ქართველი ემიგრანტებიც. რომში მცხოვრებმა აქტივისტმა, ეკა კაჭარავამ, ერთი ადამიანის პროტესტით დაგმო ემიგრანტებისთვის ხმის უფლების წართმევა..!!

რომში მცხოვრებმა ემიგრანტმა, ეკა კაჭარავამ ემიგრანტებისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ერთი ადამამიანის პროტესტით გააპროტესტა

ემიგრანტი ეკა კაჭარავა აპროტესტებს საარჩევნო სისტემაში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც საზღვარგარეთ ხმის მიცემას ზღუდავს და ფაქტობრივად აიძულებს ემიგრანტებს, მომდევნო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში დაბრუნდნენ.
წყარო: ქარები

24 ნოემ / 2025

პოლიციელის ფიცი

ოთხდღიანი პატიმრობის შემდეგ ელენე ბერიკაშვილი რუსთაველის გამზირზე დაბრუნდა და პოლიციის თანამშრომლებს პოლიციელის ფიცს წაუკითხა. ის ამ მოქმედებას ყოველდღიურად იმეორებდა.
ტექსტი: მოსე
ფოტო: ლევან ზაზაძე

ელენე ბერიკაშვილი პოლიციის ფიცს უკითხავს პატრულის თანამშრომლებს. შეგახსენებთ ის რამოდენიმე დღის წინ ამავე ქმედების გამო დააკავეს და 4 დღე იზოლატორში გაატარა: ნეიტრალიტეტი... კანონიერის პრინციპები და თანაზომიერება... არ დავუშვა ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია... მაგალითად დისკრიმინაცია ფიცის წაკითხვაზე რომ მიჭერდით... ვიყო გამბედავი, დამნაშავეობასთან შეურიგებელი და დისციპლინირებული თანამშრომელი. კეთილსიდნისიერად შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობა...

27 ნოე / 2025

იდენტობის შეცვლა

ანა რიაბოშენკო საუბრობს ოკუპანტების მიერ ქართული იდენტობის ცვლილებებზე ტვ პირველის ეთერი

ცოტა გარედან უნდა შევხედოთ ხოლმე სიტუაციას... ჩვენ იმდენად ვართ შიგნით, ამ პროცესში, რომ ძალიან გვიჭირს ცივი გონებით აღქმა სად ვიმყოფებით და რა ხდება. სინამდვილეშ დღეს დღეისობით გავდივართ ქართული იდენტობის და ქართველი ერის ახალ ფორმირებას. რასაც აკეთებდა საუკუნეები ოკუპანტი და ოკუპანტის ხელით აკეთებს რეჟიმი... ვთქვათ, საკუთარი ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქის წინააღმდეგ... რეალურად ეს არის ფორმირება ისეთი მორჩილი საზოგადოების,

რომელიც ჩვენ გვჭირდება...
ჩვენ 90-იანები როგორ გამოვიარეთ? ყველაფერს არ დავარქვით თავისი სახელი. ძალიან ბევრი, შორსაც რო არ წავიდეთ, გვაქვს ყალბი მაგალითები, ყალბი სახელწოდებებით. ფსევდო ნარატივი, რომელიც ესე ძალიან უყვარს ოცნებას... რომ იდენტობას გვართმევს დასავლეთი, რითიც საკმაოდ აპელირებს პროპაგანდა. ზუსტად ეს, თავს მოხვეული საბჭოური და რუსეთის იმპერიის ნარატივია, რომ ქართველი არის ესეთი ზარმაცი, მორგებული ადამიანი, რომელიც მარტივად მოერგება სისტემას და იქნება კომფორტულად... და ამ კომფორმიზმში გაიტანს თავს იმიტომ, რომ რა ვქნათ სისტემა მძიმეა... რეჟიმი არ გვაძლევს საშუალებას... როგორც შეგვიძლია... მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს რაღაცა პრივილეგიები... ჩვენ უკეთესად ვცხოვრობთ, ვიდრე ბელორუსები მაგალითად...
ამიტომ ამ ნარატივში მთელი ერი გვაქციეს რაღაცა სერვისის, მომსახურე პერსონალად... როცა ჩამოდის დიადი ბატონი, ჩვენ მას ვემსახურებით და ვართობთ... შენი კულტურა და შენი იდენტობა დაიყვანეს აქამდე... დღეს დღეისობით, როცა 90-იანები მოხდა და მოხდა ეს გარღვევა, და რეალურად უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართული იდენტობა, იმდენად ძლიერი იყო ის პროპაგანდის ნაწილი და იმდენად ძლიერი იყო იმპერიული გავლენა ჩვენს საზოგადოებაში, რომ მანდაც მოახდინეს ეს გახლეჩა იმიტომ, რომ არ გვქონდა ჩამოყალიბებული ზუსტად ვინ ვართ ჩვენ და რას ვაკეთებთ... ქრონიკულად ველოდებით ვიღაცას. რომ ვიღაცა ამას ჩვენს მაგივრად გააკეთებს. ზუსტად ამ ნარატივმა, რომ შენ არ წყვიტავ და წყვიტავს ბატონი შენს მაგივრად, მოგვაშორა ეს პასუხისმგებლობის გრძნობა და დღეს მოვედით იქამდე, რომ პირობითად ვიღაცა ელოდება, რომ საჯარო სამსახური დაულაგებს სადარბაზოს. როდესაც ეს სადარბაზო არის შენი და მარტივად შეგიძლია ამის გაკეთება...
არავინ არ გთხოვს რაღაცა განსაკუთრებულს, იმას რისი გაკეთებაც შენ არ შეგიძლია. მაგრამ როგორც მოქალაქეს, შენ შეგიძლია ერთი ნაბიჯის გადადგმა. როდესაც ვამბობთ და ხშირად ვშფოთავთ, რომ აზრი არ აქვს და ხალხი ჭრდება... ვინ არის ეს ხალხი? მე ვარ, თქვენ ხართ, ყველანი ჩვენ ვართ ის ხალხი ხო? ანუ ეს ზეციერი ლიდერიდან კი არ მოდის, რომ ლიდერი გამოჩნდება და ყველა ამას ავყვებით... თან ვითხოვთ, რომ გვინდა სამართლიანი, დემოკრატიული სახელმწიფო, მრავალპარტიული და თან ვითხოვთ ლიდერს... ცოტა არათანხვედრაში ვართ ერთმანეთთან. თუ ვითხოვთ ესეთ სახელნწიფოს სადაც მე მომწონს ერთი პარტია და იმას ვირჩევ... ვიღაცას სხვა და იმას ირჩევს... მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული მსოფმხედველობა აქვთ, განსხვავებული პროგრამები აქვთ, მაგრამ თანხმდებიან და ერთად შეუძლიათ ეს სახემწიფო მიიყვანო რაღაცა კონსესუსამდე... და კი არ იჩხუბონ ერთმანეთთან, არამედ ეს ჩხუბიც იყოს ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი. და საზოგადოება თუ გვინდა რო ვიყოთ ამ პროცესში ჩართული, აი ამ ინფანტილიზმს უნდა დავანებოთ თავი და გავაანალიზოთ, რომ ამ პროცესში დღეს ვართ ყველანი იდენტურები...

უწყვეტი პროტესტის ერთი წელი

უწყვეტი პროტესტის 365-ე დღე
თბილისი, რუსთაველის გამზირი
ფოტო: ნინო თარხნიშვილი

#365

პირველი მსოფლიო ომის დროინდელი

წყარო: ნათია ბუკია

და ვინმე კიდევ გაბედავთ და ხმას ამოიღებთ! ‘BBC-ის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ აჩვენა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლოა გამოიყენა პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ქიმიური აგენტი — “კამიტე” (Bromobenzyl cyanide) დემონსტრანტების წინააღმდეგ.

იწვევს მწვავე წვას, რომელსაც წყალი არ რეცხავს, იწვევს სუნთქვის გაძნელებას, ხველას, გულისრევას, მოქმედება არის ხანგრძლივი, დღეები და კვირები. ეს ის ნივთიერებაა, რომელიც საფრანგეთმა გერმანიის წინააღმდეგ გამოიყენა 1915–1916 წლებში. მერე ამოიღეს მიმოქცევიდან, რადგან ეფექტი იყო მძიმე, ხანგრძლივი და პოტენციურად საშიში. 1930-იანებში ცივილიზებულმა სამყარომ გადაწყვიტა: ეს ნივთიერება ადამიანებზე აღარ უნდა გამოეყენებინათ.

ქიმიური საშუალებაა ხასიათდება ძლიერი ნერვული მოქმედებით.

ადამიანისთვის ძალიან საშიშია და იწვევს: შფოთვას, თავის ტკივილს, თვალების წვას, ცრემლდენას, ცხვირის და ყელის წვას, გულისრევას, გონების დაბინდვას, ხასიათის არასტაბილურობას. მძიმე შემთხვევებში სუნთქვის შეფერხებას, უგონო მდგომარეობას, კუნთების სპაზმს, შესაძლებელია გახდეს სიკვდილის მიზეზიც, თუ მაღალი დოზით შეიწოვება ან დიდ ხანს იმყოფება ორგანიზმში. კამიტე მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და აფერხებს სხეულის ბუნებრივ რეაქციებს.

ჯერ კიდევ არ ვიცით

წყარო: ლიკა ჭელიძე

2024 წლის დეკემბრის დარბევების დროს, გარდა იმისა, რომ საერთო დარბევებში მოყვა ქეთო, ერთ ღამეს დამიზნებით შეასხა სპეცრაზმმა მას და მის მეგობარს რაღაც, ვიდეოს უღებდნენ ადამიანების ცემისას და ამიტომ. მთელი ღამე ცალკე ოთახში იყვნენ ეს გოგოები, რომ სხვებიც არ დაეხრჩო ამ გაზისმაგვარ რაღაცას. მე მხოლოდ მეორე დილით გავიგე, სახლში ძლივს მოიყვანეს.

მანამდე გაზაფხულზეც მოყვა დარბევებში, თუმცა სულ სხვა იყოს დეკემბრის ამბავი. დღემდე შენახული აქვს დროშა, რომელიც ამასწინათ ამოვიღე ყუთიდან და მთელი დღე ცუდად ვიყავი. ახლა ძალიან ვცდილობ ზედმეტი ემოციების გარეშე დავწერო ეს ამბავი და თუ მაინც გეემოციურათ, წინასწარ ბოდიშს გიხდით. სიმწრით მყავს შვილი გაზრდილი.

წელიწადი გავიდა და ჩვენ ისევ ვერ მივაკვლიეთ ქეთის ცუდად ყოფნის მიზეზს (მე კი ვიცი, თუმცა არ ვიცი რა დაუზიანდა). 2024 წლის დეკემბრის შემდეგ ბავშვი ყოველდღე ცუდადაა. სასუნთქი გზების და წიაღების ანთებას ვუმკურნალეთ, თუმცა ცხვირიდან სისხლდენა მაინც გაგრძელდა. წნევები 160-110 და უეცრად 90-50. პულსი მუდმივად 120-ზე მაღალი. თავის უსაშველო ტკივილები და ხმაური ყურებში, რომელიც თვეები გაუგრძელდა. ამ სიმპტომებს რომ ვწერ, იცოდეთ რომ ეს აქვს ყოველდღიურად.

ბოლო კვლევის პასუხები გუშინ მივიღეთ, ამჯერად თირკმლის რაღაცას იკვლევენ (წნევების გამო). ისეთი ანალიზები გაიკეთა, არასოდეს გაგებული არ მქონდა. თუ არსებობდა ასეთი ანალიზები არც ის ვიცოდი.

ენდოკრინოლოგი
ოტორინოლარინგოლოგი
ნევროპათოლოგი

ჩვენი უკარგესი ოჯახის ექიმი ჯული უბერი ხომ დავტანჯეთ უკვე წელიწადია. გარშემო ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც იგივე დღეშია. თავად ვიყავი მძიმე დარბევებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსთაველზე და მთელი ღამე მახველებდახ რადგან ისევ იყო იქ ყველაფერი გაჟღენთილი გაზით თუ რაცაა.

სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, ჩემს შვილს ვუშველი. სამშობლოსაც ვუშველით, მაგრამ სამართლიანობის აღდგენისთვის უკლებლივ ყველას დასჯას ვითხოვ! ბრძანების გამცემიდა თითოეულ შემსრულებლამდე!

1 დეკ / 2025

მაიკოს ამბავზე

წყარო: ანანო სამუშია

5 აპრილს გარდაიცვალა. გამომძიებელი და დანარჩენები რომ მოვიდნენ, რა თქმა უნდა უამრავი კითხვა იყო და ყველა ვერსიაზე მიდიოდა საუბარი, მათ შორის იმაზეც, რომ დედა ყავდა ანევრიზმით გარდაცვლილი და შეიძლება ახლაც ეგ ყოფილიყო??

იმავე ღამეს დამიბარეს ჩვენების მისაცემად, ოჯახს ექსპერტიზა რომ არ დაუგვიანდესო. როგორ მდგომარეობაში მივედი განყოფილებაში, თქვენ წარმოიდგინეთ, მაგრამ ექსპერტიზის პასუხი რომ დაგვიანებულიყო, არ მინდოდა. იქაც დეტალურად გამომკითხეს მშობლებზე, და ვუთხარი, რომ დედა გარდაცვლილი ჰყავს. ექსპერტიზის პასუხს ველოდეთ 2 თვე. ივნისში გამომძიებელმა მითხრა, რომ პასუხი მოვიდა, მაგრამ მე ჯერ ვერ მეტყვის, ამისთვის მშობლები უნდა დაიბაროს განყოფილებაში. ისევ შევახსენე, რომ მშობლებს(!) ვერ დაიბარებს, რადგან დედა გარდაცვლილია.

როგორც იქნა, დაურეკა გამომძიებელმა ნათიას და უთხრეს, რომ ექსპერტიზის პასუხი მოსულია და მშობლებთან(!) ერთად მივიდეს განყოფილებაში. ნათიამ უთხრა, რომ დედა გარდაცვლილია, მაგრამ მამას მიიყვანს.

მივიდა მამა განყოფილებაში და პირველი იცით რა ჰკითხეს?თქვენი მეუღლე სად არისო. ჰოდა, ივნისის მერე ველოდებით, რომ პროკურორმა საქმე დახუროს (რომელიც სულ 5 გვერდია, ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით) და მაიკოს ტელეფონი დაგვიბრუნონ, რომელშიც, ალბათ, მაიკოს უამრავი ფოტო და ვიდეოა.

არ ვიცით რას ელოდებიან, მაგრამ პოლიციის განყოფილებაში დავდივარ ლამის კვირაში ერთხელ, ზოგჯერ გულისხმიერი პოლიციელი მხვდება, რომელიც მართლა ცდილობს, რამე გაარკვიოს, ზოგჯერ სკამზე გადაწოლილი პოლიციელის უხეშ პასუხებს ვისმენ, თუმცა, ჯერჯერობით, ყველაფერი უშედეგოდ. და დღეს ვიგებთ, რომ შეიძლება სულაც ციანიდით რომ მოგვწამლეს, მაგიტომ მოხდა ეს ყველაფერი.

ისეთი ქაოსი მაქვს ახლა თავში და ისეთი გაბრაზებული ვარ, მხოლოდ მაიკოს რომ შეეძლო ჩემი დამშვიდება, მაგრამ აბა...

ახლაც ასე ვარ

წყარო: შორენა გაბუნია

ეს ფოტო 2024 წლის 17 აპრილსაა გადაღებული. ზუსტად არ მახსოვს, ეს დღე იყო თუ რომელიმე მომდევნო დღე, როცა რუსული კანონის გასაპროტესტებელი ერთ-ერთ მსგავსი აქციის დროს, ზედ მარჯვენა ფეხთან ამიფეთქეს გაზის კაფსულა. რა თქმა უნდა, ეს საწამლავი ჩემთვის არც პირველი ყოფილა და არც ბოლო, მაგრამ იმ ღამეს, ალბათ ტოქსიკური ნივთიერებების ჭარბად მიღების გამო, ნამდვილი კოშმარი დაგვემართა. მე ძირითადად მარჯვენა თვალი გამირთულდა, ლევანს კი სუნთქვის პრობლემები შეექმნა და ამ დღიდან დაახლოებით ერთი თვე საშინელებები სჭირდა.

ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში კიდევ უარესად მძიმე ამბები მოხდა, რის გამოც ყოველდღე ვტიროდი და ისედაც მქონდა თვალები დაოსებული. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, როცა დედაჩემი გარდაიცვალა და ტირილს მოვუკელი, აღმოჩნდა, რომ მარჯვენა თვალი არ მირჩებოდა. აი მაშინ მივხვდი, რომ იმ ღამემ რაღაც სამუდამო კოშმარი მაჩუქა.

ახლაც ასე ვარ – ცალი თვალი სხვანაირი მაქვს და უამრავ წამალს ვიღებ. შარშან, ზამთრის დარბევების დროს, ეპიცენტრში უკვე ვეღარ ჩავდიოდი და ძირითადად ოპერასთან ვმოძრაობდი, რადგან ჰაერში გაფრქვეულ საწამლავს შორიდანაც კი ლამის სიბრმავემდე მივყავდი. თურმე ციანიდით დავუსაჩუქრებივართ ივანიშვილს. მიკვირს?
– საერთოდ არა. ჩემი ყველა მეგობარი მსგავსი და კიდევ უარესი სიმპტომებით იტანჯებოდა ამ დარბევებისას. თავს მსხვერპლად ვგრძნობ? – საერთოდ არა. ივანიშვილნაირი საცოდავი ნაბიჭვრის მსხვერპლი ვერავინ იქნება ჩვენ შორის, სულ რომ დავიხოცოთ. ამ დაბოღმილ და უკიდურესად უბედურ არარაობაზე ბედნიერი, მდიდარი და თავისუფალი მართლა ყოველთვის და ყველგან ვიქნები.

3 დეკ / 2025

წყლის ჭავლის შემდეგ

წყარო: მანანა ხუჭუა

ეს არის ის მდგომარეობა ,რომელიც სახლში მისვლისას აღმოვაჩინე იმ წყლის ჭავლით რომ დაგვშალეს პარლამენტთან მაშინ ჩიტაძის ქუჩაზე ვიდექი წყლის შადრევნები რომ გადმოაფრქვიეს და დიდი აურზაური რომ ატყდა...ძალიან დავიბენი ხალხმა რუსთაველის მეტროსკენ იბრუნა პირი და ყველა იქით მხარეს გარბოდა.. წყლის გარდა გაზსაც უშვებდნენ და მივხვდი რომ თავისთვის უნდა მეშველა...მე თავისუფლების მეტროსკენ შევიბრუნე პირი და ხალხს გამოვეყავი.. ქაშვეთის ეკლესიამდე არც ვიყავი მისული ფეხებზე წვის შეგრძნება რომ გამიჩნდა...ჰოდა დავადე თავი და თავისუფლების მეტროსკენ დავიწყე გზის გაკვლევა... ვიღაც ბიჭმა გამომძახა პარლამენტთან არის უკვე წყლის ჭავლი და თანაც რობოკოპები დაგიჭერენო...რუსთაველის მეტრომდე ძლივს მივლასლასდი ფეხები მეწვოდა თუმცა მეგონა დასველებული შარვლის ბრალი იყო... სახლში რომ მივედი და გამოვიცვალე – აი ეს მქონდა

6 დეკ / 2025

ხალხის წინააღმდეგ

ლანა ღოღობერიძის კომენტარი კამიტის შესაძლო გამოყენებაზე ტვ პირველის ეთერი

პირველი რაც მახსენდება, 9 აპრილია. რომ ვიდექი აქ, ეს რაღაცა უცნაური არსებები წამოვიდნენ ჩვენზე ტანკებით და მერე, მე და ჩემს შვილს, ნუცას მოგვსდევდა, რატომღაც ჩვენ ამოგვიჩემა, ერთი ესეთი ნიჩბიანი აი ის... ვინ, რა იყო არ ვიცი. თან აფარებული ქონდათ ეს რაღაცა სახეზე. აი ის მომწამვლელი გაზი, მაშინ ისეთი შოკი იყო მაინც... და მაინც ისინი გახდნენ იძულებული, რომ ეთქვათ რა გამოიყენეს. და დღეს ამ სინამდვილის წინაშე როგორ უნდა ვიყოთ მართალი გითხრა ვერ ვეგუები ამას. ძნელია დაუშვა, რომ შენი ხელისუფლება იბრძვის შენივე ხალხის წინააღმდეგ.

8 დეკ / 2025

სოლიდარობა ბალდას

წყარო: სალომე სიმონია

დღეს, 74 წლის მზისა გაბეშია მთელი დღე გარეთ იჯდა მარტვილის ცენტრში. ასე გამოხატა ბალდელი დედებისა და ბებიებისადმი თანადგომა, რომლებიც უკვე მე-10 ღამეს ათენებენ ღია ცის ქვეშ, ერთი მარტივი მოთხოვნით: გაუქმდეს კორუფციული ხელშეკრულება და ბალდის კანიონი დაუბრუნდეს ხალხს.

დიდებულია მეგრელი ქალების შეუპოვრობის, პრინციპულობისა და ერთმანეთისადმი სოლიდარობის გამოხატვის აქტების ხილვა. დიდებული და აღმაფრთოვანებელია.

11 დეკ / 2025

ტროტუარი

ნინო ლაღიძე მოქმედებისკენ ხალხს მოუწოდებს
წყარო: ქეთი ბაბუნაშვილი

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ. 45 წუთში დადგება ის წელიწადი, როდესაც ჩვენ მთლიანად გავიღვიძებთ დიქტატურაში იმიტომ, რომ არალეგიტიმურმა, რუსულმა ძალამ, რომემაც მიიტაცა სახელმწიფო, თავზე დაგვახია კონსტიტუცია ერთი წლის წინ, მიიღო კანონი დაჩქარებული წესით იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ტროტუარებზე დგომა და გაპროტესტება აღარ შეგვიძლია საზოგადოებას. აქვე მინდა ყველას შევახსენო, განსაკუთრებით ჩემს მეგობრებს, რომლებიც დიდ აქციებზე გამოდიხართ... მინდა გითხრათ, რომ ავტორიტარიზმიდან დიქტატურამდე გზას გადის არა მარტო ოლიგარქი, რომელიც ამ ყველაფერს აწესებს, არამედ ის საზოგადოებაც უწყობს ხელს, რომელიც ამაზე არ რეაგირებს. ამიტომ დროა რო გამოფხიზლდეთ, გამოიღვიძოთ და დადგეთ ფეხზე, თუ არ გინდათ რომ ხვალ თქვენ ოთახებში ჩაგიკეტონ ჰაერი და იმ ფორმებით და იმ ვიზუალით იაროთ, როგორც ბიძინას გაუხარდება, დროა გამოფხიზლდეთ და გამოხვიდეთ რუსთაველზე და გააპროტესტოთ. იმიტომ, რომ ტროტუარზე მე და ჩემს მეგობრებს თურმე გვეკრძალება, რომ დავდგეთ და ვილაპარაკოთ. ამიტომ პროტესტში ჩართვის, მობილიზების და ქართული ოცნებისთვის იმის დამტკიცების დრო დადგა, რომ საზოგადოება ვართ ერთიანი, საოგადოება ვებრძვით ამ ძალას, რომელიც ანტი დემოკრატიულია და ყველანერად არღვევს ყველა წესრიგს და ყველა ნორმას, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოს შეეფერება.

საახალწლო ნაძვის ხის პარალელურად, დემონსტრანტებმა პარლამენტთან ალტერნატიული ნაძვის ხე აანთეს
რუსუდან ჯაყელის ვიდეოდან

12 დეკემბერი წლების შემდეგ

წყარო: სალომე კვარაცხელია

წლების შემდეგ, როდესაც 12.12.2025-ს გაიხსენებს მომავალი თაობა, დღეს, როდესაც საქართველოს არაკონსტიტუციურმა მთავრობამ ტროტუარზე დგომა აკრძალა – ჩვენ გვექნება ამაყი პასუხი:

ვერ შეგვაშინეს!
არ დავნებდით!
სხვაგვარად არ შეგვეძლო!
დიდებული ხალხი ვართ – მართლა!

16 დეკ / 2025

ჩვენთვის და ჩვენთან ერთად

მზია ამაღლობელის წიტყვა ევროპარლამენტში სახაროვის პრიზის გადაცემისას კითხულობს ირმა დიმიტრაძე

სტრასბურგში, ევროპარლამენტში მზია ამაღლობელს და ბელორუს ჟურნალისტ ანდჟეი პოჩობუტს ევროკავშირის უმაღლესი ჯილდო, სახაროვის პრემია გადასცეს. ჯილდოები მათმა წარმომადგენლებმა ჩაიბარეს: ანდჟეი პოჩობუტის შვილმა იანა პოჩობუტმა და „ბათუმელების“ ჟურნალისტმა, ირმა დიმიტრიძემ.

მზია ამაღლობელის სიტყვას „ბათუმელები“ ავრცელებს:

ძვირფასო ევროპარლამენტარებო,

ადამიანის უფლებების ამ უმნიშვნელოვანესი ჯილდოს მიღება უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა – მას ვიღებ ჩემი კოლეგების, იმ ჟურნალისტების სახელითაც, რომლებიც დღეს საქართველოში იბრძვიან ჟურნალისტიკის გადასარჩენად. იბრძვიან იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგობის ხმა გაგაგონონ თქვენ.

ამ ჯილდოს ვიღებ ყველა იმ პოლიტპატიმრის სახელით, რომლებიც უსამართლოდ იხდიან სასჯელს ციხეებში და „ეჭვმიტანილები“ არიან საქართველოს ევროპული მომავლისათვის ბრძოლაში.

ეს ჯილდო იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ხმა, საქართველოს მოქალაქეების ხმა გესმით ევროპაში.

ჩემმა ხალხმა ძალიან გრძელი გზა გამოიარა იმისთვის, რომ ეს ხმა გაგეგოთ, რადგან ჩვენ შორის ყოველთვის იდგა რუსეთი.

ჩემმა თაობამ კარგად იცის, რომ საქართველოს მტერი რუსეთია და ამისთვის ისტორიული წყაროების მოშველიება არ გვჭირდება. საკუთარი თვალით გვინახავს და გვახსოვს საბჭოთა ოკუპაციის წლები, რუსი სამხედროების მიერ ნიჩბებით აჩეხილი და ქიმიური იარაღით მოწამლული ქართველები, გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს ომი და საქართველოს ხელახალი ოკუპაცია.

რუსეთის მუდმივი მუქარის ფონზე ჩვენ მთელი ძალისხმევა, როგორც შეგვეძლო, სახელმწიფოს განვითარებისკენ მივმართეთ.

არჩევნებში საკუთარი ხმის მნიშვნელობა დავინახეთ, კორუფციის გარეშე უმაღლესი განათლების გარემო

შევქმენით, სასამართლოს, მედიის მიუკერძოებლობა მოვინდომეთ, ადამიანის უფლებების დაცვაზე, სახელმწიფოს ვალდებულებაზე და მოქალაქის პასუხისმგებლობაზე ვმსჯელობდით.

ამ წლებში საქართველოში გაიზარდა თაობა, რომელმაც რუსულის ნაცვლად ინგლისური და სხვა ევროპული ენები ისწავლა. ევროპამ გაიცნო თანამედროვე ქართველი მწერლები, მხატვრები და რეჟისორები.

ჩვენ ვცვლიდით ცოდნას, გამოცდილებას და კულტურას თქვენთან, ევროპასთან.

ჩვენ სამსახურები, მეგობრები, საყვარელი ქალაქები აღმოვაჩინეთ და გავიჩინეთ ევროპაში.

დღეს ევროკავშირისკენ სწრაფვას რეპრესიებით პასუხობენ ჩემს სამშობლოში. ხელისუფლება მიტაცებული აქვს რუსული ინტერესების გამტარ რეჟიმს. საქართველოს მოქალაქეები წელიწადზე მეტია, უწყვეტად, ქუჩაში აპროტესტებენ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებაზე განცხადებას. ეს განცხადება ნაკვერჩხალს ჰგავდა – საქართველო აალდა და მას შემდეგ ვიწვით.

ეს რეჟიმი დაუნდობელია: სცემს, წამლავს, აჯარიმებს, აპატიმრებს და აშანტაჟებს პროტესტის მონაწილეებს. ანადგურებს თავისუფალ ჟურნალისტიკას, აუქმებს ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს და ციხეში ამწყვდევს მათ ლიდერებს, ფაქტობრივად აუქმებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, იქ დასაქმებულ ადამიანებს კი აგენტებად აცხადებს და როგორც ახლახან BBC-ს საგამოძიებო ფილმით შევიტყვეთ, სავარაუდოდ, ქიმიური იარაღით წამლავს მოქალაქეებს.

თუმცა პროტესტის ჩახშობა მაინც ვერ შეძლო. ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ ევროკავშირისგან ისეთი ცხადი მხარდაჭერის განცხადებები ისმის ქართველი ხალხის, ქართული საზოგადოების მისამართით, როგორც არასდროს. ამის გამო ძალიან მადლიერი ვარ.

ვისურვებდი ეს განცხადებები მოქმედებაში გადაიზარდოს და ევროპელმა ლიდერებმა ყველა არსებული მექანიზმი გამოიყენონ, რაც გააჩნიათ ავტოკრატიულ მმართველებზე ზეგავლენისთვის. ვისურვებდი ქართული საზოგადოება, მისი დემოკრატიის და ევროპისკენ სწრაფვა დაიცვან ისე, როგორც დაიცავდნენ საკუთარი ქვეყნის თავისუფლებას. რადგან საბოლოოდ, ყველაფერი ერთ რამემდე დადის: ახლა უკვე უდავოდ ნათელი უნდა იყოს, რომ ძალა, რომელიც

ბელარუსში, უკრაინასა და საქართველოში ჩადენილი საშინელებების უკან დგას, ევროპის გულს უახლოვდება. ის თქვენი სახლებისკენ მიემართება – ჩვენ კი უბრალოდ წინაღობა ვართ მის გზაზე.

მალე შობას, ახალი წლის დადგომას იზეიმებს ევროპული სამყაროს უდიდესი ნაწილი. ბოლო დღეებია ვფიქრობ, როგორ მიულოცავთ ევროპის, ამერიკის და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების ლიდერები დანარჩენ მსოფლიოს. რას ეტყვით მათ მომავალზე? ახალ მსოფლიო წესრიგსა და მშვიდობაზე?

ეტყვით, რომ დემოკრატიული მმართველობის და უსაფრთხოების განვრცობა აღარ წარმოადგენს კაცობრიობის სიკეთეს? ეტყვით, რომ ავტოკრატიული და დიქტატორული ძალების შემოთავაზებული „მოჩვენებითი მშვიდობა“ და „საზღვრები“ უნდა მივიღოთ?

ეტყვით, რომ ეკონომიკური გავლენებია უპირატესი და არა თანასწორობაზე, სოლიდარობასა და ნდობაზე დაფუძნებული პარტნიორობა? რომ საერთაშორისო სამართალმა და ინსტიტუციებმა ძალა დაკარგეს და არაფერი შეუძლიათ, მაშინ როცა რეპრესიული რეჟიმი თავისუფლების, დემოკრატიის, სამართლიანობისა და ღირსებისთვის მებრძოლ მოქალაქეებს ატერორებს – ციხეებში კეტავს ან ემიგრაციას აიძულებს?

ჩვენ აქ ვრჩებით, საქართველოში, ქალაქების ქუჩებში, სადაც უკვე აქციების გამართვაც იკრძალება, ციხეებში, სადაც უკანონოდ გამოგვკეტეს.

და ჩვენ, ვინც რუსეთის საფრთხეს კარგად იცნობს, გეუბნებით, რომ თუ ცივილიზებული სამყარო დაუშვებს, რომ მოსკოვმა ცალმხრივად, თავისი იმპერიალისტური მისწრაფებებითა და კარნახით შეადგინოს ე.წ “სამშვიდობო შეთანხმება” და შეცვალოს საზღვრები, ცხადია, ეს იქნება დაუსრულებელი ომების ანონსი ამ მშვენიერ კონტინენტზე.

თუ ჩემი სამშობლოს მსგავსი – უძველესი და მცირე ერები და უკრაინისნაირი მებრძოლი, დამოუკიდებელ სახელმწიფოები დარჩებიან რუსეთის ჰიბრიდული ომის, თუ სამხედრო აგრესიის პირისპირ მარტო, ეს იქნება გამოუსწორებელი ისტორიული შეცდომა.

ჩვენი თავისუფლება მარტო ჩვენს ბრძოლაზე არაა დამოკიდებული. ჩვენ გვჭირდება თქვენი – ევროპის ხალხების და ცივილიზებული მსოფლიოს თავისუფალი ადამიანების სოლიდარობა და მხარდაჭერა.

იბრძოლეთ ჩვენთან ერთად და ჩვენთვის. იბრძოლეთ ისე, როგორც საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოლებდით. გამოიყენეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მექანიზმი, ვიდრე გვიანი არ არის.

მე მჯერა თავისუფალი, დემოკრატიული და ძლიერი ევროპის!

მადლობა.

მზია.

ვიზუალური კონტრიბუცია
ქრონოლოგიური თანმიდევრობით

ფოტო:
ვახო ქარელი / გურამ როგავა / გურამ მურადოვი / თეონა ჭალიძე / ინგა აბიგლუკოზა / ნიკოლოზ ურუშაძე / ფრენსის პრიმერსკი / ბასტი მგალობლიშვილი / მარიამ ნიკურაძე / კოკა ვაშაკიძე / ბ. ზურაბიშვილი / ეკა ელაშვილი / ბუტა ორჯონიკიძე / ეთერ თურაძე / ანა ამილახვარი / შორენა გაბუნია / მაკუნა გოჩიაშვილი / სალომე ქინქლაძე / დათო სიმონია / ია მელითაური / მოსე / ნათია ბუკია / ლევან ზაზაძე / კესო ქინქლაძე / ელეფტერ ლაპაჩი / სოფო აფციაური / სოფია ტაბატაძე / ალექსანდრე ქეშელაშვილი / ლიზუ ახალაძე / ნუცა მახარაძე / სალომე კვარაცხელია / თაია ცეკვავა / ელისო ჯარიაშვილი / მარიამ ქავშბაია / მაგდა მამუკაშვილი / ნათია ჩიქოვანი / ელენე ქაიხოსროშვილი / ანაკო ტურაშვილი / თეონა ბექიშვილი / მეგი დიასამიძე / ელენა როსტუნოვა / რუსუდან ჯაყელი / ელენე ცაცუა / რუსიკო კობახიძე / ეკა კაჭარავა / ნინო თარხნიშილი / მანანა ხუჭუა / სალომე სიმონია / ქეთი ბაბუნაშვილი

ნამუშევრები:
ეკატერინე კატო ბექიშვილი / თამუნა ბუდაგაშვილი / თინათინ ცხადაძე / მაკა ზედელაშვილი / დათო სიმონია / სოფია ტაბატაძე / ნინუკა ცინცაძე / პროტესტი 24 / ეთერ ჭკადუა / დემნა

მედია:
მთავარი არხი / მედია აპრილი / ტვ პირველი / ნეტგაზეთი / ფორმულა / საზოგადოებრივი მაუწყებელი / რადიო თავისუფლება / პუბლიკა / ევრონიუს საქართველო / ოუსი მედია / ეთ.ჯი / ტელე იმედი / ბათუმელები / დაფიონი / ვესმახურები საქართველოს / ეროვნული ბიბლიოთეკა / ტაბულა / პროტესტი 24 / ქარები

ინსტალაციის ლინკი

SilkRoadFragments

გამოცემა: 001 / 2026

მაროს შვილები: ქართველი ქალების
წინააღმდეგობის ქრონიკა 2024-2025

www.silkroadfragments.com